K 242162
3

ელდარ ბუბულაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები



თბილისი
2003

F 80905
3

ქრისტიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი
თბილისის სასულიერო აკადემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელდარ ბუბულაშვილი

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები

„და აღვამაღლე რჩეული ერისაგან ჩემისა"
(ფს. 88, 19)

„წმიდაა იგი, ვისაც ელირსა მამულისათვის
თავის დადება"
(ილია ჭავჭავაძე, „აჩრდილი")

თბილისი
2003

უაკ (UDC)894.631.09+281.9(479.22)
ბ953

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომში შესწავლილია თუ რა ადგილი ეკავა წმიდა ილია მართლის ნააზრევში საქართველოს ეკლესიის საკითხებს. გამოკვლევა ეყრდნობა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკას და საზოგადოებისათვის დღემდე უცნობ საარქივო მასალებს. ნაშრომი განკუთვნილია საქართველოს ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ი.მ.დ. პროფ.
ალექსანდრე ბენდიანიშვილი

რეცენზენტები:
ისტ. მეცნ. დოქტორი **ეთერ ორჯონიკიძე**
ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. **გურამ ყორანაშვილი**
ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. **სერგო ვარდოსანიძე**
ისტ. მეცნ. კანდიდატი **არჩილ კოხრეიძე**

რეკომენდირებულია დასაბეჭდად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (2003 წლის 16 მაისი, ოქმი №6)

კრებული გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე"
მთ. რედაქტორი თ. ჭყონია
კომპიუტერული უზრუნველყოფა: მ. ბუტიკაშვილი,
ა. რუაძე

სპეგ-2003
შეკვეთა

ISBN 99928-0-438-6
ბ 91
2003



ტროპარი წმიდისა ილია მართლისა

ღვაწლითა და სისხლითა შენითა უდაბნოჲ იგი სოფლისაჲ მოიმუშაკე, და გონებითა ღვთივბრწყინვალითა დაკრემულნი კაცლად აღგვადგინენ, ჯეშმარიტებაჲ სთესე და გვირგვინი უკვდავებისაჲ მოიპოვე: სიმართლისათვის დაითმინე და ზესთასოფელი დიდებისაჲ დაიმკვიდრე.

ძეო ქართველთა ერისაო, ერისათვის ნამებულო, წმიდაო ილია მართალო, ყოვლად დიდებულო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათვის, შენყალებად სულთა ჩვენთათვის.

„ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნად და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავეცლეთ მკერდი და მკერდზედ, როგორც კედელზედ, დავუდგეთ ქრისტიანობას საყდარი. ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავნყდით, გავიყლიტენით, თავი გავნირეთ, ულლ-შვილი გავნირეთ, უსნორო ომები ვასნორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჯა ერმა ქრისტიანობა შევინარჩუნეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს საშშობლოს, ჩვენს მამულს საშართლიანი თავმონონებით ვეძახით".

„ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასნაულთ-მოქმედი მხნეობა, თავგანნირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათელით არის განსხივებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჯვმარიტებისამ" ნმიდა ნინოს მადლით და ღვანლით ალმართულმან, მოიმეფინა მთელ ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს ნმიდა სისხლით დანერილი იყო და არის იგი მეწინეა, რომელიც უდიდესია, უძლიერესია ყოველს სხვა მეწინეაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი".

ამ მეწინის მოძღვარს ეთაყვანება ჩვენი ქვეყანა. იგი ალიარა ღმერთად და ამას აუნთო გული თვისი ნმიდა სანთლად, რომელიც დღესაქამომდე არ გამქრალა და არც გაქრება, მინამ არ გაჩქრება თვითონ ქართველიც. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის ენამ ჩვენი ქვეყანა, მას ანაცვლა, მას შესნირა ყოველივე, რაც კი ადამიანს სამეფნიეროდ აქვს მინიჭებული. ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზე, თხუთმეტი საუკუნე გულგაუფრეკელად აგარა თავპირდასისხლიანებულმა, ჩვენ დრომდე შეუმნიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და ნამებულმა, ჩვენ, შვილებს გადმოგვცა, ეხლა თქვენ იცითო".

ნმიდა ილია მართალი (ჯავჯავაძე)

ვუძღვნი პროფესორ გრიგოლ მარგიანის და მისი ქალიშვილის სატვას ნათელ ხსოვნას

შესავალი

1987 წლის 20 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა, ილია მართლის სახელწოდებით წმიდანად შერაცხა ქართველი ხალხის თავდადებული მოღვაწე, „ერის მამად" წოდებული ილია ჭავჭავაძე. მისი ხსენების დღედ დადგინდა 2 აგვისტო, დაიწერა წმ. ილია მართლის ხატი და ტროპარი*. წმ. ილია მართლის წოდება სრულ შესატყვისობაშია მის მოწამეობრივ ცხოვრებასთან. ქრისტოლოგიაში „მართალი" ჭეშმარიტების ერთგულს ნიშნავს და მართლაც, წმ. ილია მართლის სიცოცხლე ჭეშმარიტების ერთგულებას შეეწირა.

სრულიად კანონზომიერია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის გადაწყვეტილება. ილია ჭავჭავაძის წმიდანად შერაცხვა განაპირობა არა მარტო მისმა მოწამეობრივმა აღსასრულმა, არამედ იმანაც, რომ იგი თავისი შემოქმედებით თუ პრაქტიკული საქმიანობით მართლმადიდებელი სარწმუნოების მტკიცე დამცველი იყო. წმ. ილია მართალი ხმალამოღებული იცავდა ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს ეკლესიის უფლებებს, ხოლო როცა XX საუკუნის დასაწყისში ქართველმა სამღვდელოებამ დაიწყო ბრძოლა ავტოკეფალიის აღდგენისათვის, იგი მათ წამოწყებას მიესალმა

---

* ტროპარი ბერძნული სიტყვაა და ძველქართულად ნიშნავს „დასადებელს", „დასდებელს", ახალქართულად „სტროფს". ტროპარში გადმოცემულია წმიდანის ან დღესასწაულის ქება და შესხმა. ტროპარი არის სავედრებელი მუხლი დღის წმიდანისათვის მიძღვნილი და წასაკითხი ჟამნობის დროს.

და წინამძღვრობის მძიმე ტვირთიც იკისრა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს წმიდა ილია მართლის შემოქმედების ქრისტიანული თვალთახედვით განხილვა. იგი ლიტერატურათმცოდნეების საქმეა. ჩვენ კი შევეხებით აქამდე ნაკლებად წარმოჩენილ საკითხს – წმიდა ილია მართლის დამოკიდებულებას საქართველოს ეკლესიისადმი. საკითხის შესწავლის დროს გამოვიყენეთ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა და ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი საარქივო მასალები, რომლის ნაწილი ჩვენს მიერ ადრე იქნა გამოქვეყნებული[1]. ნაშრომში აგრეთვე გათვალისწინებულია იმ მკვლევართა შეხედულებები, რომლებიც სხვადასხვა კუთხით ეხებიან წმიდა ილია მართლის დამოკიდებულებას საქართველოს ეკლესიის ცალკეული საკითხებისადმი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია შალვა გოზალიშვილის, სიმონ სხირტლაძის, შოთა ბადრიძის, გურამ შარაძის, მაია ნინიძის, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის, ქეთევან პავლიაშვილის და სხვათა ნაშრომები[2]. დასახელებულ მკვლევართაგან აღსანიშნავია მ. ნინიძის 1997 წელს გამოცემული გამოკვლევა. მ. ნინიძე ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, რომელმაც ახლებურად, ქრისტიანული თვალთახედვით განიხილა წმიდა ილია მართლის შემოქმედება. იგი თავის ნაშრომში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს წმიდა ილია მართლის სარწმუნოებრივი მრწამსის ჩვენებას. მ. ნინიძის დასკვნით, ქრისტიანული მრწამსი უდევს საფუძვლად წმიდა ილია მართლის შემოქმედებას. იგი საინტერესოდ წარმოაჩენს ილია მართლის შემოქმედებაში საქართველოს ქრისტიანულ წარსულს და ქართველ წმინდანთა სახეებს.

წმიდა ილია მართლის მოღვაწეობას მისსავე სიცოცხლეში ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი მაღალ შეფასებას აძლევდა. თუმცა, ზოგიერთი მათგანი მის კრიტიკასაც არ ერიდებოდა, მაგრამ მათი კრიტიკა ილიას იდეური მრწამსის წინააღმდეგ არ იყო მიმართული და ისეთი ლანძღვა-გინებით არ გამოირჩეოდა რო-

გორც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მის მიმართ წამოიწყეს მარქსიზმის მიმდევრებმა.[3] ჯერ კიდევ, XIX საუკუნის 90-იან წლებიდან მოყოლებული კოსმოპოლიტ-ნიჰილისტურ პოზიციებზე მდგარმა, ვიწრო პარტიულ ინტერესებს ამოფარებულმა ცალკეულმა პიროვნებებმა (ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე და სხვ.) ილია ჭავჭავაძის განქიქება დაიწყეს. წმიდა ილია მართლის ავტორიტეტის შელახვის მიზნით მათმა უსაფუძვლო ბრალდებებმა და დაუმსახურებელმა კრიტიკამ ფაქტობრივად მისი მკვლელობა მოამზადა. წმიდა ილია მართლის მკვლელებს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თანამგრძნობიც ბევრი გამოჩენია. პეტერბურგის უნივერსიტეტის ორმოცდაერთ ქართველ სტუდენტს ერთ-ერთ სხდომაზე „გაუწითლებლად უთქვამთ: „ილია, როგორც მამულიშვილი, მოსაკლავი იყო". მათვე ფეხზე ადგომით პატივი არ უციათ ილიას ხსოვნისათვის და მიუღებლად მიუჩნევიათ, რომ მკვლელობის დაგმობის მიზნით დეპეშა გამოეგზავნათ დამკრძალავი კომისიის სახელზე. პეტერბურგელი ქართველი სტუდენტების ასეთ საქციელს ცნობილი საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა „მძიმედ დავადმყოფებას" უწოდებს და გულისტკივილით წერს: „რა არის ეს? ნორმალური, თუ ავადმყოფურია ასეთი მოვლენა? სად და რომელი განათლებული ან, თუ გინდ, გაუნათლებელ ერში ეკიდებიან ასე უდიერად თავის პირველ მამულიშვილს? განა წარმოსადგენია, რომ ფრანგმა, ინგლისელმა, გერმანელმა, არამც თუ გულით და სულით არ იწყინოს, არ იგლოვოს ტრაგიკულად, ვერაგულად დაკარგვა უკეთესის მამულიშვილისა... სწორედ წარმოუდგენელია, ის ჩვენში ფაქტია"[4].

მართლაც, წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ, როგორც პროფესორი გურამ ყორანაშვილი აღნიშნავს, ილიას მისსავე სიცოცხლეში ქომაგად არავინ დასდგომია. სამაგიეროდ მისი ტრაგიკული დაღუპვის შემდგომ პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებისაგან განსხვავე-

ბით ქართველმა საზოგადოებამ დაგმო ეს ამაზრზენი მკვლელობა და იგი ერის ტრაგედიად მიიჩნია. საზოგადოების უმრავლესობა თავის თავს ადანაშაულებდა, რომ იგი თავის დროზე მხარში არ ამოუდგა სამშობლოსათვის თავდადებულ მოღვაწეს[5].

ქართველმა საზოგადოებამ ამის შემდეგაც ვერ გააცნობიერა ილიას ფენომენი. საბჭოთა წყობილების პირველ წლებში მისი თხზულებები სკოლის პროგრამიდანაც კი ამოიღეს. საბჭოთა იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოქცეული მკვლევრები არაობიექტურად აფასებდნენ მის ნააზრევს. ზოგი მას მატერიალისტად და თავადაზნაურთა იდეოლოგად აცხადებდა, ზოგს იგი რევოლუციონერ-დემოკრატად და გლეხთა ინტერესების დამცველად მიაჩნდა. მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში ჩვენში მიმდინარე პროცესების ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა ობიექტურად შეფასდეს მისი ღვაწლი. თუმცა, თანამედროვე პერიოდში ე. წ. კოსმოპოლიტ-ნიჰილისტ ქართველთა ერთი ჯგუფი ცდილობს ილიას ნააზრევის უარყოფას. ზოგი მას შემოქმედებას უწუნებს, ზოგს კი მისი ეროვნული კონცეფცია აღიზიანებს. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ახალი ხანის კოსმოპოლიტ-ნიჰილისტ ქართველებთან პოლემიკაში ჩართვას. ჩვენი მიზანი მოკრძალებულია – მკითხველთა ფართო წრეს გავაცნოთ წმიდა ილიას ნააზრევში თუ რა ადგილი ეკავა საქართველოს ეკლესიას.

მადლობით მინდა მოვიხსენიო სამეცნიერო დაწესებულებების (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი) თანამშრომლები, რომლებიც დიდად მიწყობდნენ ხელს მასალების მოძიებაში. აგრეთვე, მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სასულიერო აკადემიის ღვთისმეტყველების კათედრის გამგეს, პროფესორ ედიშერ ჭელიძეს, ამავე აკადემიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ანთროპოლოგიის დეკანს მამა მიქაელ გალდავას, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული

საეკლესიო საგალობლების ცენტრის თანამშრომელს ლუარსაბ (ლაშა) ტოგონიძეს, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ისტ. მეცნ. კანდიდატს ნინო ღამბაშიძეს და ამავე ინსტიტუტის ბიბლიოთეკისა და გამომცემლობა „მემატიანეს" თანამშრომლებს.

დასასრულს, ავტორი მკითხველის ყველა სამართლიან კრიტიკულ შენიშვნას მადლიერებით მიიღებს.

თავი I. ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის როლის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული წმიდა ილია მართლის მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მან დროშასავით წაუმძღვარა სამი ღვთაებრივი სიტყვა: „მამული, ენა, სარწმუნოება"[1]. მისი სამართლიანი თქმით: „ეს სამი ერთმანეთის ღირსნი საგანი ისე ჩაეწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა – რჯულის დაცვად"[2]. დამოუკიდებლობის დაკარგვითა და საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მამულს, ენას და სარწმუნოებას დიდი საფრთხე დაემუქრა. რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოქცეული საქართველო ქუთაისისა და თბილისის გუბერნიად იქცა. ქართველი ხალხის რუსიფიკაციის მიზნით მშობლიური ენა აიკრძალა საგანმანათლებლო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. ერთმორწმუნეობის მიუხედავად ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის უწმინდეს სინოდს დაქვემდებარებული საქართველოს ეკლესია, რომელიც საეგზარქოსოს სახით იყო წარმოდგენილი, იმპერიის პოლიტიკის სამსახურში ჩადგა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე წმიდა ილია მართალმა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ თავის თანამოაზრეებთან ერთად აქტიური ბრძოლა დაიწყო დამონებული ქვეყნის, გაქრობის წინაშე მდგარი ქართული ენისა და ქართველთა უძველესი სარწმუნოებრივი ტრადიციების შენარჩუნებისათვის. წმიდა ილია მართალს „მამული, ენა, სარწმუნოება" ერთ მცნებად ჰქონდა წარმოდგენილი, რომლის მკვიდრ საფუძველზე დამოუკიდებელი საქართველოს მყარი კედელი უნდა აშენებულიყო.

წმიდა ილია მართლის აზრით, ქრისტეს მოძღვრების აღიარებით ქართველმა ხალხმა იტვირთა „ჯვარი პა-

ტიოსანი ჯვარცმული ღმერთისა და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყვნევინა"[3]. საუკუნეების განმავლობაში ქართველი კაცი „გულში ჯვრითა და ხელში მახვილით იბრძოდა" და ქრისტეს რწმენისთვის არ უღალატნია. უფლისადმი თავდადება მატებდა მას სულიერ სიძლიერეს, რომლის მეოხებით არის გასხივოსნებული „ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა". ქრისტიანობის გათავისებით უფალმა „კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებრივის ძალღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუნერგა გული რკინისა, წაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და „ძელი ჭეშმარიტებისა"[4]. წმიდა ილია მართლის სამართლიანი დასკვნით, საუკუნეების განმავლობაში „ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება"[5]. სწორედ ამის გამო მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება ქართველი კაცისათვის იმდენად იყო გათავისებული, რომ იგი ქართველობის სინონიმად იქცა, რადგან „ქრისტიანობა ქრისტეს მოძღვრების გარდა ჰნიშნავდა ქართველობას"[6]. უფრო მეტიც, ილიას აზრით, არა მარტო წარსულში ასრულებდა ქრისტიანობა ასეთ როლს, არამედ XIX საუკუნეშიც, როცა საქართველოში თავი იჩინა რელიგიურმა სიჭრელემ. წმიდა ილია მართალი ამის გამო აღნიშნავდა: „დღესაც მთელ ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან – გაქართველდაო"[7].

ქრისტიანობამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის კონსოლიდაციაში. წმიდა ილია მართალი წერდა, რომ მან „ქვითკირივით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობამ გაგვაღვიძა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის"[8].

წმიდა ილია მართალი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ქრის-

ტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად"[9]. აღნიშნული შეხედულებით იგი საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან ამოდიოდა, რადგან პოლიტიკურად დამოუკიდებული სამეფო-სამთავროები (მაგალითად ადრეფეოდალიზმის ხანა) სულიერად გაერთიანებული იყვნენ მცხეთის საკათალიკოსოს გარშემო. სარწმუნოებრივი ერთობა, ილიას აზრით, „ერთობას ერისას მოასწავებდა". ამიტომაც უფრთხილდებოდა და სათუთად ეპყრობოდა ქართველი ხალხი მართლმადიდებელ სარწმუნოებას, რადგან იგი „დუღაბობას უწევდა ერთობას"[10].

წმიდა ილია მართალი შენიშნავს, რომ ქართველ მეფე-მთავრებს იმთავითვე კარგად ჰქონდათ გააზრებული სარწმუნოების როლი და ამიტომაც იყო, რომ „ყოველი მათგანი ცდილობდა... ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა ღირებულებითაც განედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად"[11].

ერის ზნეობრიობის ამაღლებასთან ერთად ქრისტიანობა გამარჯვების რწმენას მატებდა ქართველობას მომხდური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქრისტიანული რწმენის განმტკიცებასა და მის სულიერ სრულყოფაში დიდ როლს ასრულებდა ქართველი სამღვდელოება, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა ქვეყნისა და ერის ინტერესებს. წმიდა ილია მართლის აზრით, ისტორიულად ქართველი სასულიერო პირები, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ, რადგან „ჩვენში სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება რჯულთან ერთად შეერთებული რჯულიდან შეხორცთვისებული, უძლეველი ხმალია და შეუულეწელი ფარი მტრის წინაშე"[12]. ასე იყო წარსულში, მაგრამ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ქართველი სამღვდელოება რუ-

სეთის იმპერიის სამსახურში ჩადგა. დამპყრობლის სამსახურში მყოფი ქართული სასულიერო პირების უმრავლესობა თავის ისტორიულ დანიშნულებას ვეღარ ასრულებად. მათ ნაკლებად ადარდებდათ მონობის უღელქვეშ მყოფი ქართველი ხალხის მომავალი. რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად საგრძნობლად დაეცა სულიერება. მოსახლეობა სასულიერო პირებს აღიქვამდა როგორც რუსეთის ბიუროკრატიულ მოხელეებს. მათი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით წმიდა ილია მართალს მიაჩნდა, რომ სამღვდელოების ვალია ქადაგებით, სწავლა-მოძღვრებით და ერის სულიერი ტკივილის გათავისებით „...მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამ წმინდას (მამულს, ენას, სარწმუნოებას – ე. ბ.) და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს"[13]. უცხო ქვეყნის მორჩილებაში მყოფი სასულიერო პირების გასაგონად წმიდა ილია მართალი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მამულის, ერისა და სარწმუნოების სამსახურში პოულობდა „ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერსა და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, თავის მოძღვრებას, პატივისცემას". ამ პრინციპების დაცვით „გაამაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტესი ამ პატარა ქვეყანაში" და მრავალრიცხოვან მტერთა შემოსევის დროს იგი მტკიცედ დაიცვა[14]. წმიდა ილია მართლის დასკვნით: „აი, რამ მოაგერინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი, მამული და ეროვნება მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს. რჯული მამულისა და ეროვნებისა და ეგრეთვე მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლის ღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა"[15]. წმიდა ილია მართალი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ისტორიულ წარსულში მამული, ეროვნება და სარწმუნოება ქართველი სამღვდელოებისათვის უპირველესი საზრუნავი იყო. თავიანთი თავდადების გამო ისინი მოსახლეობაში

დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და „ამიტომაც უწინ სასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფა დიდ პატივად და ღირსებად მიაჩნდათ". თუმცა მათ იმთავითვე გააზრებული ჰქონდათ, თუ რა მძიმე ჯვარი უნდა ეტარებინათ, „ჯვარი მამულისა და ეროვნებისა და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო. ეს სიმძიმე აპატიოსნებდა ღვაწლსა, ეს სხივი ასხივოსნებდა სამსახურსა და ამ პატიოსნებასა და სხივოსნობაში იყო თავმოწონებაც და ჯილდოც მოღვაწისა"[16].

ქრისტიანობის მიღებით ქართველმა ხალხმა ქრისტეს მსგავსად ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზე, „ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის ეწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი საბედნიეროდ აქვს მინიჭებული"[17]. წმიდა ილია მართლის აზრით, წამებულის გვირგვინი რჩეულთა ხვედრია, რადგან სარწმუნოებისათვის, ჭეშმარიტებისათვის, სამშობლოსა და ეროვნებისათვის თავდადებულთა „ეკლიანი გვირგვინი... უფრო უანგაროა, უფრო მიმზიდველი, უფრო საგულმტკივნეულოა და მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა ჰლოცულობს კაცობრიობა, მარტო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანად და თაყვანს სცემს ლოცვითა და კურთხევითა"[18]. საბედნიეროდ, ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულში ბევრმა ქართველმა მამულიშვილმა დაიდგა თავზე ეკლიანი გვირგვინი და ეწამა სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის, რომელთა მაგალითი მომავალ თაობას რწმენისა და მამულის უსაზღვრო სიყვარულით აღაფრთოვანებდა. მათი თავდადება მისაბაძია და სათანადოდ დასაფასებელი, რადგან „ეკლის გვირგვინი, ჩვენს დღემდე მოტანილი ჩვენთა წინაპართაგან, ამ მშვენიერებით ჰშვენის, ამ სახელითა სახელოვნობს, ამ დიდებით ჰდიდულობს. თუ ვინმეს სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდე-

ბა დიდებულთა და ქება ქებულთა"[19].

წმიდა ილია მართალი თავის შემოქმედებაში, მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ქრისტიანულ მოძღვრებას, საიდანაც ჩანს, რომ იგი კარგად იცნობდა საღმრთო წერილს. ეს შემთხვევითი არაა. მან ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა ღვთისა და სამშობლოს სიყვარული. როგორც თავის ავტობიოგრაფიაში წერს, 8 წლიდან წერა-კითხვას გლეხკაცის შვილებთან ერთად ტკბილმოუბარი სოფლის მთავარდიაკონი ასწავლიდა და თან უყვებოდა „საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა". წმიდა ილია მართლის გადმოცემით: „მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული ენა და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგის მკითხველისა, ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვებისათვის ადვილად გასაგები ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა".

ჭავჭავაძიანთ ეკლესია ყვარელში

მთავარდიაკონმა ილიას ცხოვრებაში დიდი კვალი დატოვა. მისი ნაამბობის საფუძველზე მოგვიანებით მწერალმა შექმნა პოემა „დიმიტრი თავდადებული", ხოლო „გლახის ნაამბობის" ზოგიერთ ადგილს, როგორც ილია წერს: „ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა"[20]. სოფლის მთავარდიაკონთან მიღებული შთაბეჭდილებებით შთაგონებულ პატარა ილიას, როგორც

გრ. ყიფშიძე გადმოგვცემს, ბერად შედგომა დომებია[21]. მართალია, მან ბავშვობის ოცნება ვერ აისრულა, მაგრამ თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით და მოწამეობრივი აღსასრულით ნათელი გვირგვინი დაიდგა.

წმიდა ილია მართალი დიდად აფასებდა საღმრთო წერილის მნიშვნელობას. მის პუბლიცისტიკაში ხშირად გვხვდება სახარებისეული შეგონებები და ციტატები. წმიდა წერილი მის სამაგიდო წიგნად ითვლებოდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მის მიერ 1863 წელს დაარსებულ ჟურნალ „საქართველოს მოამბეს" თავფურცელზე ამშვენებდა მარკოზის სახარების სიტყვები: „ხოლო ლეღუისაგან ისწავლეთ იგავი ესე: რა ჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩუიან და გადმოვალნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული" (XIII, 28).

წმიდა ილია მართალი ქრისტიანული წესით ცხოვრობდა. მემუარისტები გადმოგვცემენ, რომ დიდი საეკლესიო დღესასწაულების დროს იგი თბილისის ყველა ეკლესიას მოილოცავდა[22]. 1880 წლის 31 მარტს პ. უმიკაშვილისადმი გაგზავნილ წერილიდან ჩანს, რომ იგი მარხვას ინახავდა და აღდგომა დღეს აპირებდა გახსნილებას[23]. მწერლის ახლობლები „აღდგომის მისაგებებლად" ილიას სახლში იყრიდნენ თავს[24]. იგი თავისი წმიდა ანგელოზის, ილიაობის დღეს ყოველწლიურად აღნიშნავდა.

თბილისის სამების ტაძრის მოძღვარი ნიკოლოზ არდაზიანი, რომელმაც ჯვარი დაწერა ილია ჭავჭავაძესა და ოლღა გურამიშვილს (ლუარსაბ ტოგონიძის ფოტო-არქივიდან)

წმიდა ილია მართალს აქვს ცალკეული თხზულებანი, რომელიც საღვთისმეტყველო ნაწარმოებად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთი ხასიათისაა „შობა მაცხოვრისა", „სააღდგომო" და სხვა, სადაც იგი ამჟღავნებს ქრისტიანობაში ღრმა განსწავლულობას. თავისი შინაარსითა და დატვირთვით დასახელებული ნაშრომები ქადაგების ჟანრს შეიძლება მივაკუთვნოთ. მეტად საინტერესოა აგრეთვე მისი წერილები წმიდა ნინოზე, წმიდა დავით აღმაშენებელზე, წმიდა ლუარსაბ მეფეზე და ნარკვევები ახლახან წმიდანებად შერაცხულ გაბრიელ და ალექსადრე ეპისკოპოსებზე. ღვთიური მადლითაა შთაგონებული წმიდა ილია მართლის ლექსი „ლოცვა", რომელიც „საკვირველი წინასწარმეტყველებაა". მასში კარგად ჩანს ავტორის ქრისტიანული მსოფლმხედველობა. მხატვრულ ნაწარმოებში იგი შთამბეჭდავად წარმოგვიდგენს სასულიერო პირთა სახეებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია პოემა „განდეგილის" მთავარი გმირი. ცალკე განხილვის საგანია „გლახის ნაამბობის" მოძღვარი, რომლის სახე ზნეობრივად ამაღლებული პიროვნების ნიმუშს წარმოადგენს. საარქივო მასალებით დასტურდება, რომ ილია ჭავჭავაძეს „გლახის ნაამბობის" მოძღვრის პროტოტიპი ცხოვრებიდან აუღია. ასეთი პიროვნება ყოფილა მღვდელი ფილიმონ კარბელაშვილი სოფელ ქვემო ჭალიდან, რომელიც გარეკახეთში მსახურობდა და მრევლში დიდი პატივისცემით სარგებლობდა[25].

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ წმიდა ილია მართალს საინტერესოდ აქვს გააზრებული ქართველი ერის ცხოვრებაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის როლი. „ქართველმა ამ რჯულს – წერდა იგი, – ამ ახალ აღთქმას შეუერთა ძველთაგან ყოველივე ის, რაც თავის დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს – შეუერთა მამული და ეროვნება"[26]. მისი აზრით, ქრისტიანობამ დიდი როლი შეასრულა ეროვნული ცნობიერების, ეროვნული ერთიანობის, ეროვნული იდეოლოგიისა და ქართული კულტუ-

K 24,162

რის ჩამოყალიბებაში.

წმიდა ილია მართალი სამართლიანად მიუთითებდა, რომ საუკუნეების განმავლობაში ქრისტეს ჯვარიტ მოძღვრებაზე დაფუძნებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. „მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ იხსნა ქართველი კაცი სულიერად და ხორციელად. მანვე „... იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება და ერთსაც და მეორესაც დღემდე უპატრონა"[27]. წმიდა ილია მართალი 1861 წელს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე მკაცრად აფრთხილებდა ქართველობას: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას"[28]. წმიდა ილია მართალმა მთელი თავისი მოღვაწეობა „მამულის, ენისა და სარწმუნოების" ზრუნვას მოახმარა და კიდეც შეეწირა მას. წმიდა ილია მართლის მოწამებრივ აღსასრულს კარგად წარმოაჩენს მისივე სიტყვები: „დიდი წამება დიდ-ბუნებოვანების ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილობა. დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ჰხვდება ხოლმე დიდ-ბუნებოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თითონა სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს და წამებული – კი თვით იწვის სანთელივით და სხვას კი უნათებს"[29].

მართალია, წმიდა ილია მართლის „დამოკიდებულება ყველანაირი ქრისტიანული აღმსარებლობისადმი ერთნაირი არ იყო"[30], მაგრამ იგი დიდი პატივით ეპყრობოდა სხვადასხვა სარწმუნოების – მაჰმადიანური, იუდაისტური, სომხურ-გრიგორიანული, კათოლიკური და სხვა რწმენის მიმდევართ. წმიდა ილია მართალი საქართველოს ისტორიული გამოცდილების საფუძველზე სამართლიანად მიუთითებდა, რომ „ქართველმა, თავის სარწმუნოებისადმი ჯვარცმულმა იცის პატივი სხვისი სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალი-

თი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისი სარწმუ-
ნოების დაჩაგვრა და დევნა... სხვა ქვეყანაში სარწმუნოე-
ბისათვის დევნილნი და დაჩაგრულნი – აქ ჩვენში პოუ-
ლობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანეს და სინდისის
თავისუფლებასა"[31]. ეს მართლაც ისტორიულად ასე იყო.
საქართველოს მეფე-მთავრები დიდად მფარველობდნენ
უცხო ეროვნების სხვადასხვა აღმსარებლობის წარმო-
მადგენლებს, რომელთაც საქართველოში ყოველი პირო-
ბა ჰქონდათ შექმნილი თავიანთ სალოცავებში ღვთის-
მსახურება აღესრულებინათ. საქართველოს ხელისუფ-
ლების ასეთი დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, იმით იყო
განპირობებული, რომ მათი სარწმუნოება საფრთხეს არ
უქმნიდა მართლმადიდებლურ ქრისტიანობას. ჩვენში
მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების
წარმომადგენლები თავს არ ახვევდნენ ადგილობრივ მო-
სახლეობას თავიანთ რწმენას. სამეფო ხელისუფლება
მათ ამის საშუალებას არ აძლევდა. ამით იყო განპირობე-
ბული, რომ ქართველი ხალხი და საქართველოს მართლ-
მადიდებელი ეკლესიაც სხვა სარწმუნოების მიმდევართ
ადვილად ეგუებოდა და მათ მიმართ აგრესიას არ ამ-
ჟღავნებდა.

თავი II. ილია ჭავჭავაძე ავტოკეფალიაწართმეულ საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში

წმიდა ილია მართლის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს ეკლესია ფაქტობრივად აღარ არსებობდა. ქართველი ხალხის სულიერი მწყემსმთავრობა საეკლესიო კანონების დარღვევით რუსეთის უწმიდეს სინოდს დაქვემდებარებული, სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების გამტარებული რუსი ეგზარქოსების ხელში იყო. აღარ შევუდგებით იმის აღწერას, თუ რა ზიანი მოუტანა ქართულ ეკლესიას რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მოვლინებულმა საქართველოში მოღვაწე რუსმა ეგზარქოსებმა[1]. მათ მიერ წირვა-ლოცვასა და ლიტურგიკულ პრაქტიკაში სლავური წესის შემოღებამ საქართველოს მრავალსაუკუნოვან მართლმადიდებელ ეკლესიას ის შინაარსი და ისტორიული მემკვიდრეობა წაართვა, რითაც იგი ეროვნულ იერსახეს ინარჩუნებდა. ასეთ ვითარებაში ეკლესიის როლი მწერლობას უნდა შეესრულებინა. XIX საუკუნის 60-იან წლებიდან წმიდა ილია მართლის მეთაურობით საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულმა ახალმა თაობამ ერის სულიერი მესაჭეობა იტვირთა. მათვე ავტოკეფალიადაკარგული ეკლესიის ტვირთიც უნდა ეზიდათ, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. წმიდა ილია მართალმა კარგად იცოდა, რომ მწერლობას შეიძლება გარკვეული სულიერი საზრდო მიეწოდებინა მკითხველისადმი, მაგრამ იგი ღმერთსა და ხალხს შორის შუამავლის როლს ვერ შეასრულებდა. ეს ღვთაებრივი კავშირი მხოლოდ ეკლესიის საშუალებით შეიძლება განხორციელებულიყო.

წმიდა ილია მართლის მოღვაწეობის დროს სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა საზღვარგარეთ არსებული ქართული ქრისტიანული ცენტრები. სახელმწიფოებრიობის არსებობის დროს, თვით ილია მართლის აზრით, „...ქართველნი, ცნობილნი სულიერის მოღვაწეობითა და აღტკინებულნი ღვთისმოსაობით და სარწმუნოების

გრძნობითა, გამოდიოდნენ გამავრცელებლად და მოსარჩლედ მართლმადიდებელის სარწმუნოებისა აღმოსავლეთში"[2]. ქართველი მეფე-მთავრები დიდ დახმარებას უწევდნენ სირიაში, პალესტინაში, წმიდა ათონის მთაზე არსებულ ქრისტიანულ სავანეებს. მათი შემწეობით, საქართველოდან დიდძალი შემოწირულობები იგზავნებოდა უცხოეთის ქართულ მონასტრებში. ამ სავანეებს საქართველოში ჰქონდათ მეტოქი ეკლესია-მონასტრები თავისი ადგილ-მამულებით. საქართველოს სამეფოს შესუსტების შემდეგ, ქართული სავანეების უმრავლესობამ არსებობა შეწყვიტა. XIX საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ათონის მთაზე არსებულ მონასტერ ივირონში შემორჩენილი რამდენიმე ქართველი ბერი აგრძელებდა წინაპართა ტრადიციებს.

სახელმწიფოებრიობის მოსპობისა და ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებას უნდა ეზრუნა საქართველოს ეკლესიის კუთვნილ საზღვარგარეთ არსებულ სიძველეებზე, მაგრამ იგი ამ უფლება-მოვალეობას არ ასრულებდა. ცარისტული რუსეთის უმოქმედობით გათამამებული ბერძენი ბერები XIX საუკუნის 60-იან წლებში მთლიანად დაეპატრონენ ათონზე არსებულ ქართულ სავანეებს. ბერძნებისაგან დევნილი ქართველი ბერები ათონის მთის სხვადასხვა მონასტერში განთავსდნენ. ისინი დახმარებას საქართველოდან ელოდნენ. ქართველი საერო და სასულიერო საზოგადოების გადაწყვეტილებით, ათონის წმიდა მთაზე ახალი ქართული მონასტერი უნდა დაარსებულიყო. შემდგომ ეტაპზე კი, ათონზე ქართველთა ისტორიული უფლებების დაბრუნებისათვის უნდა ებრძოლათ. 1869 წელს იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსების კურთხევითა და შემოწირული თანხებით ბერმონაზონი ბენედიქტე ბარკალაია, თორმეტ სასულიერო პირთან ერთად ათონის მთაზე გაემგზავრა. მათ ივირონის მონასტრის ახლოს ბერძენი ბერებისაგან შეისყიდეს X საუკუნის დანგრეული, გაპარტახებული ძველი ქარ-

თული იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია. ბერძენი ბერების წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოდან მიღებული შემოწირულობების ხარჯზე, ქართველთა ძმობამ აღნიშნული ტაძარი აღადგინა, გარს შემოიკრიბა ათონის მთაზე გაფანტული ქართველი ბერები და აქტიური ბრძოლა დაიწყეს ქართველთა კანონიერი უფლებების აღდგენისათვის. ამ მიზნით მათ არაერთხელ მიმართეს დახმარებისათვის კონსტანტინოპოლში მყოფ რუსეთის ელჩს და კავკასიის მეფისნაცვალს, მაგრამ, დიდი მცდელობის მიუხედავად დადებითად ვერ გადაწყდა ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერების მოთხოვნები[3]. კიდევ უფრო მძიმე ვითარება იყო იერუსალიმში არსებულ ქართულ სავანეებში, რომელიც ბერძენი ბერების ხელში იყო და თითო-ოროლა ქართველი ბერი პილიგრიმის სახით თუ ეწვეოდა და მოილოცავდა ქართულ სიძველეებს. არადა, იერუსალიმის ქართულ სავანეებში მოღვაწე ბერძენ ბერებს დიდძალი შემოწირულობები გაჰქონდათ საქართველოდან. რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ 1873 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სავანეებს შემოწირულობები შეუჩერა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ვერ განხორციელდა, რადგან საქართველოში არსებულ მეტოქი ეკლესია-მონასტრებს საზღვარგარეთიდან მოვლინებული ბერძენი ბერები განაგებდნენ. ისინი კი აკრძალვის მიუხედავად ფულად თანხებს კვლავ გზავნიდნენ. ფულადი შემოსავლების გაზრდის მიზნით 1885 წლის 21 ივლისს იერუსალიმის პატრიარქმა ნიკოდიმემ საქართველოში მოავლინა თავისი წარმომადგენელი არქიმანდრიტი კირ-დამიანე, რომელსაც დავალებული ჰქონდა გაეყიდა მონასტრის მამულები, ხოლო შემოსავალი იერუსალიმში გაეგზავნა. 1885-1886 წლებში არქიმანდრიტ დამიანეს მარტო ქუთაისის გუბერნიაში გაუყიდია 3284 ქცევა მიწა, რომელიც 47494 მანეთად იქნა შეფასებული. საქართველოში მოღვაწე ბერძენი ბერების უკანონო ქმედების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა წმიდა

ილია მართალმა. მან ამ საკითხთან დაკავშირებით 1886 წელს გაზეთ „ივერიაში" გამოაქვეყნა წერილი „ათონის ქართული სავანის შესახებ", რომელშიც იგი ქართველი საზოგადოებას მოუწოდებს, რომ „... ამ საერთო საქმეს უპატრონოს და ეცადოს ჩვენივე ჩვენებს დაუბრუნოს! დიდი შემოსავალი აქვს ათონელ ბერებს ჩვენგან... განა არა სჯობია იგი შემოსავალი ან აქვე მოხმარდეს სკოლებს და ეკლესიებს, ან სხვა სამადლო საქმეს". იერუსალიმის საპატრიარქოს წარმომადგენლის არქიმანდრიტ კირ-დამიანეს უკანონობის გამო იგი აღნიშნავს, რომ რადგან ამჟამად საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილია, ბუნებრივია, მანვე უნდა აღკვეთოს მისი ქმედება, იერუსალიმს მიწერილი მიწები სახელმწიფოს კუთვნილებაა და „ამიტომ გაყიდვა იმ მონასტრის მამულების ბერძენთა ბერ-მონაზონთაგან რუსეთის საკუთრების მართლიერების დარღვევად უნდა ჩაითვალოს"[4].

წმიდა ილია მართალი მძიმედ განიცდიდა, რომ ეგზარქოსობის პერიოდში რწმენის დაქვეითებასთან ერთად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ეკლესია-მონასტრები, იძარცვებოდა და ინგრეოდა ძველი ქართული საეკლესიო ცენტრები და იქ დაცული სიწმინდეები, გამკითხავი კი არავინ იყო. ილიას „ივერია" ამ პრობლემებთან დაკავშირებით ხშირად აქვეყნებდა საინტერესო მასალებს და ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა, რომ ეზრუნათ ისტორიული ნაშთების გადარჩენისათვის. ამ მხრივ, წმიდა ილია მართალს წინგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნდა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით 1889 წელს სიონის საკათედრო ტაძართან საეკლესიო მუზეუმის დაარსება. ილია მოწონებით შეხვდა აღნიშნულ ფაქტს და წერდა: „ამ მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენი ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიყვარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს"[5]. იგი იმედოვნებდა, რომ მუზეუ-

მის ხელმძღვანელობა იზრუნებდა ეკლესია-მონასტრებში უპატრონოდ მიტოვებული სიძველეების გადასარჩენად. ილიას აზრით, მუზეუმში არა მარტო თავს მოიყრიდა საეკლესიო სიძველეები, არამედ „ყოველი მოწადინესათვის ადვილად ხელმისაწვდენი და სამეცნიეროდ თუ სასწავლებლად გამოსაყენი იქნება"[6]. აქვე აღვნიშნავთ, რომ ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკლესია-მონასტრებში არსებული ხელნაწერების მეცნიერულ ღირებულებას საქართველოს წარსულის გაშუქებაში. აღნიშნული ხელნაწერების მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანის მიზნით იგი წინადადებით მიმართავდა ქართველ სწავლულებს, შეედგინათ ძველი საეკლესიო ხელნაწერთა კატალოგი. „გვერწმუნეთ – აღნიშნავდა ილია, – რომ ეს დიდი და სასახელო საქმეა, დიდს და სასარგებლო სამსახურს გაუწევენ ამით ჩვენს ქვეყანას და თვით მეცნიერებსაც"[7]. ილია აგრეთვე დიდად იყო დაინტერესებული 1860 წელს დაარსებული „ქართული საეკლესიო გალობის აღმდეგელი კომიტეტის" საქმიანობით და მას პრაქტიკულ დახმარებასაც უწევდა.

ქართველი სასულიერო პირები ილია ჭავჭავაძეში თანადგომსა და ერთგულ თანამებრძოლს ხედავდნენ და ხშირად მიმართავდნენ დახმარებისათვის. 1904 წლის 21 აპრილს ახალციხის წმ. მარინეს ეკლესიის მრევლის სახელით მღვდელმა ვასილ გამრეკელმა, საერო პირებმა იაკობ ორბელიანმა და ნიკოლოზ ასათიანმა თხოვნით მიმართეს ილიას, შუამდგომლობა გაეწია ეგზარქოსის წინაშე, რომ აღნიშნულ ეკლესიაში ახლად შემოღებული რუსული წირვა-ლოცვა ისევ ქართულით შეეცვალათ. ეგზარქოსის განკარგულებით დანიშნულ ბერძენ მღვდელს ქართული ენის უცოდინარობის „გამო არ ძალუძს შეასრულოს მრევლის რაიმე საღმრთო წესები. ამის გამო, განვლილ დიდ მარხვაში თითქმის ყველა ქართველი დარჩა უაღსარებლოდ, რასაკვირველია ამნაირი მდგომარეობა მოელის მათ შემდეგშიაც". უკმაყოფილო მრევლი აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ ეს

მოხდა იმ ეკლესიაში, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე თურქთა ბატონობის მიუხედავად იგი ერთადერთი მართლმადიდებელი ეკლესია იყო, რომლის „...სიყვარულმა მისცა ძალა ქართველთ, რომ აეტანათ ყოველივე მწუხარება და ტანჯვა და არ ეღალატნათ არც სარწმუნოებისათვის და არც სამშობლო ენისათვის". რუსეთთან შეერთებამდე „ამ ეკლესიაში განუწყვეტლივ სრულდებოდა ყოველი ქრისტიანული წესი ქართულ ენაზე, რადგან მომეტებულმა ნაწილმა მრევლთაგან გარდა ამ ენისა არავითარი სხვა ენა არ იცის". ისინი ითხოვდნენ დაენიშნათ ისეთი „სასულიერო პირი, რომელმაც იცოდეს ქართული ენა და ამ ენაზე შეეძლოს საღმრთო წესების შესრულება". „თვითონ კარგად იცით, – წერდნენ ილიას, – ახალციხეში მცხოვრებთ ქართველების საჭიროება და მდგომარეობა, თუ ეხლა ეს მდგომარეობა დამკვიდრდა, შემდეგში საუკუნოთ მოესპობა აქაურს ქართველობას სმენა სჯულის წესებისა სამშობლო ენაზე"[8]. წმიდა ილია მართალმა მრევლის ეს მოთხოვნა შეასრულა. ეგზარქოსი დეკანოზ ივ. ვოსტორგოვთან ერთად ესტუმრა ახალციხეს, ადგილზე გაეცნო საქმის ვითარებას და 1904 წლის ივლისში მრევლის დაჟინებული მოთხოვნით წმიდა მარინეს ეკლესიაში გაამწესეს ქართველი მღვდელი[9].

ძეტად საინტერესოა 1903 წელს ათონის წმინდა მთიდან მღვდელმონაზონ იოანეს წერილი. იგი ილიას სთხოვდა გაეღო გარკვეული შესაწირავი წმინდა თეოდოსის ეკლესიის აღსადგენად. ჩვენთვის უცნობია ილიამ მატერიალური დახმარება აღმოუჩინა თუ არა ათონელ ქართველ მამებს, ის კი ვიცით, რომ იგი დიდად იყო დაინტერესებული იქაური ქართული სავანეების ბედით[10]

წმიდა ილია მართალი მტკივნეულად განიცდიდა, რომ ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი ქართველი სასაულიერო პირები თავიანთ ძირითად დანიშნულებას ვეღარ ასრულებდნენ. მატერიალურ სახსარს მოკლებული სამღვდელოება რელიგიურ წეს-ჩვეულებებს გასამრჯელოს

გარეშე არ ასრულებდა, რამაც მრევლსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა დაძაბა. ასეთი სასულიერო პირების შესახებ ილია გულისტკივილით წერდა: „ჩვენს ერს მღვდელი არა ჰყავს, ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკმა პურის ძიებაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ველარ იცლიან. ერი ველარ გასვლია მღვდლის ხარჯსა... ერი ამით ძალიან შეწუხებულია და მომდურავი. ამას ერთდროულად წამალი რამ უნდა დაედვას, თორემ ერს ლამის ქანცი გადაუწყდეს"[11].

როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე, ილია ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებულ სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების საკითხს. იგი ზრუნავდა, რომ სამრევლო თუ სხვა სახის სასულიერო სასწავლებელში ახალი თაობის აღზრდა ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებულიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით მას დიდი ბრძოლების გადატანა უხდებოდა რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ. მის პუბლიცისტურ წერილებში არაერთი საკითხია დასმული თბილისის სასულიერო სემინარიის საქმიანობისა და იქ გამეფებული აუტანელი მდგომარეობის შესახებ. საქართველოში თბილისის სასულიერო სემინარია ერთადერთი უმაღლესი ტიპის სასწავლებელი იყო. მის კედელში აღიზარდა არაერთი თაობა, რომლებმაც თავი ისახელეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე. სემინარიაში გამეფებული მძიმე სასწავლო პროცესი ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა, რაც ქართველი საზოგადო მოღვაწეების სამართლიან კრიტიკას იწვევდა. თერგდალეულები, მათ შორის ილია, პრესით, მთავრობის უმაღლეს მოხელეთადმი მიმართვებით თუ სხვა საშუალებებით დაუნდობლად ამხელდა სემინარიაში გამეფებულ მძიმე რუსიფიკატორულ რეჟიმს.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში სემინარიის მოს-

წავლეთა მძიმე მდგომარეობის გამო იზრდება უკმაყოფილება. ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი სემინარისტები სულიერ საზრდოს სასწავლებლის კედლებს გარეთ ეძებდნენ, არალეგალურად ეცნობოდნენ აკრძალულ ლიტერატურას.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სემინარიაში ჩამოყალიბდა მოსწავლეთა ფარული წრე, რომელიც ხელს უწყობდა მათ პოლიტიკურ გათვითცნობიერებას და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. 1893 წლის 30 ნოემბერს თბილისში, საბურთალოზე მოეწყო სემინარიის მოსწავლეთა პირველი ფარული კრება, რომელიც მიმართული იყო სემინარიის ხელმძღვანელების წინააღმდეგ. მათი ინიციატივით იმავე წლის პირველ დეკემბერს მოეწყო სემინარიელთა გაფიცვა. გაფიცულები ეგზარქოსისაგან მოითხოვდნენ სემინარისტთა უკანონო დევნის შეწყვეტას, ანტიქართველი პედაგოგების დათხოვას, ქართული ენის, ლიტერატურისა და მშობლიური ისტორიის სწავლებას.

საარქივო მასალებით ირკვევა, რომ მოსწავლეთა გაფიცვას მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძე და მათ პრაქტიკულ დახმარებასაც უწევდა[12] გაფიცულებს რჩევისათვის მიუმართავთ ილიასათვის. ბუნტის მონაწილე იპ. ვართაგავა თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ გაფიცულებმა ილიას „ივერიის" რედაქციაში მიუტანეს „პეტიცია". ილიას მოსწონებია მისი შინაარსი და თან „რჩევა მიუცია, რომ ისეთი რამ არ ჩაედინათ, რაც პოლიციასა და ჟანდარმერიას საბაბს მისცემდა მომხდარ ინციდენტში ჩარეულიყვნენ და გაფიცვისათვის პოლიტიკური ხასიათი მიეცათ და გაფიცვის მეთაურები ან საერთოდ ადმინისტრაციის მიერ ათვალწუნებული მოწაფეები დაეპატიმრებინათ. მართალია, აუცილებლად მსხვერპლი იქნებოდა, მაგრამ დათმობაზე წასვლა მაინც უმიზნო იქნება" – დასძინა ილიამ. ილიას მხარდაჭერამ მოწაფეები ისე გაამხნევა, რომ როგორც იპოლიტე ვართაგავა წერს: გადაწყვიტეს „როგორც არ უნდა დაჯდომოდათ,

გაფიცვისათვის მტკიცე ხასიათი მიეცათ"[13].

შეშინებულმა სემინარიის ხელმძღვანელობამ რომ ვერაფერი მოახერხა, შეწყვიტა მეცადინეობა და მოსწავლეები სასწავლებლიდან დაითხოვა. აქტიური სემინარისტები კი გარიცხა. ილიამ გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე დიდი ადგილი დაუთმო სემინარიაში მიმდინარე ამბებს. ამ ნიადაგზე ცენზურასა და ილია ჭავჭავაძეს შორის დიდ უსიამოვნებას ჰქონდა ადგილი. 1893 წლის 6 ოქტომბერს ცენზორმა აკრძალა გაზეთ „ივერიაში" დასაბეჭდად გამზადებული ფელეტონი „მთავარი საჭიროებანი სასულიერო უწყებისათვის", რომელიც მკვლევარ შ. გოზალიშვილის აზრით, ი. გოგებაშვილს ეკუთვნოდა[14]. ფელეტონის ავტორის მტკიცებით, სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელი იყო სემინარიის რეორგანიზაცია და ქართულ ენაზე სწავლების შემოღება. ამ მოთხოვნამ ეგზარქოსის გულისწყრომა გამოიწვია და მისი მითითებით ცენზორმა გამოსაქვეყნებელი მასალა აკრძალა. ხელისუფლების ზეწოლის მიუხედავად, ილია მაინც ახერხებდა თბილისის სასულიერო სემინარიის შესახებ კრიტიკული წერილების გამოქვეყნებას, რის გამოც გაზეთი „ივერია" და მისი რედაქტორი არასაიმედოდ იყო მიჩნეული. 1896 წლის 17 აპრილს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ საიდუმლო მიმართვა გაუგზავნა მთავარმართებლის კანცელარიას და ბეჭდითი სიტყვის მთავარი სამმართველოს გაზეთ „ივერიისა" და მისი რედაქტორის მავნებლური მოქმედების შესახებ და მოითხოვა სათანადო ზომების მიღება[15]. მთავრობის ზეწოლის შედეგად 1897 წელს გაზეთი „ივერია" რვა თვის განმავლობაში აღარ გამოსულა. ილიას დიდი ძალისხმევა დასჭირდა გაზეთის გასაახლებლად და 1897 წლის დეკემბერში იგი კვლავ აღდგა.

ილია ჭავჭავაძე კვლავ დაინტერესდა სემინარიის ამბებით, მაგრამ მოერიდა გაზეთის მეშვეობით ემხილებინა იქ არსებული მდგომარეობა. როგორც გადმოგვცემენ, იგი მთავრობის მოხელეებისაგან მოითხოვდა ძირ-

ფესვიანად შეცვლილიყო სემინარიაში სწავლების პროცესი. ილია წარდგენილ მიმართვებში აღნიშნავდა, რომ სემინარიის დანიშნულებაა სასულიერო პირთა მომზადება, მაგრამ რუსულ ენაზე სწავლება უკურეაქციას იწვევს – სემინარისტთა რელიგიური შეგნება ნელდება. სემინარიის კურსდამთავრებულები მღვდლად კურთხევის დროს ცოდნის დაბალ დონეს ამჟღავნებდნენ, რაც ლახავდა მრევლში მათ ავტორიტეტს.

ილიას, დიდი ავტორიტეტის გამო, ანგარიშს უწევდნენ რუსი მოხელეები. ამიტომ მისი ეს მოთხოვნა უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. 1898 წლის 22 ოქტომბერს სემინარიის რექტორმა სერაფიმემ მას წერილით მიმართა და სცადა გაემართლებინა რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკა. იგი არ დაეთანხმა ილიას აზრს და აღნიშნა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულები არა თუ ჩამორჩებიან, არამედ ხშირ შემთხვევაში ცოდნით მაღლა დგანან იმპერიის შიდა გუბერნიების სემინარისტებთან. რაც შეეხება ენის საკითხს, მის შესახებ არქიმანდრიტი სერაფიმე აღნიშნავდა, რომ: „არა, საქართველოს ბედნიერება და სიხარული სრულად იმაში კი არ მდგომარეობს, თუ რა საზღვრებში იხმარება საეკლესიო და სამოქალაქო ენა, არამედ წრფელ სამსახურში ქრისტესადმი". იმავე წლის ნოემბერში ილიამ ვრცელი წერილით უპასუხა სემინარიის რექტორს და ამხილა მისი რუსიფიკატორული პოლიტიკა. იგი რელიგიური თვალთახედვით აკრიტიკებს რექტორის აზრს და წერს: „გარუსების იდეა თავისი არსებით ანტირელიგიურია, ვინაიდან ამ სახით ის სხვა არაფერია, თუ არა უარყოფა ღვთის ნებისა, რომელიც გამომჟღავნდა ღვთიურ მიზნებისათვის სხვადასხვაგვარ ტომთა შექმნაში". ასეთ შემთხვევაში, განაგრძობს ილია, – „რადგან ღვთის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან, ცოდვად არ მიიჩნევა, რომ ისეთმა სუსტმა არსებამაც, როგორც ქართველებია, სასოება იქონიონ ღვთის ყოვლისძლიერებისა და ეცადონ არ დაფლან მიწაში ის მცი-

რედიც კი, რაც მათ მიეცათ მაინც განგებისაგან ზრდისა და განვითარებისათვის"[16]. როგორც ვხედავთ, წმინდა ილია მართალი რექტორის აღნიშნულ მოსაზრებას არ დაეთანხმა და შემდგომშიც აქტიურად იბრძოდა თბილისის სემინარიაში შექმნილი სიტუაციის შესაცვლელად.

თავი III. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდა ილია მართალს სამართლიანად მიაჩნია, რომ საეკლესიო მმართველობაში შექმნილი მძიმე სიტუაცია, რაც გამოწვეული იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვით, იყო მიზეზი ქართველ ერში სარწმუნოების დაქვეითების, ეროვნული თვითშეგნების დაცემის, მოუწესრიგებელი სასულიერო განათლების, ეკლესია-მონასტრების გაპარტახებისა და ძარცვისა. სწორედ ამიტომ იგი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. მაგრამ, როგორც მკვლევარი შ. ბადრიძე მიუთითებს, ილიას თავისი მოღვაწეობის დასაწყისში სათანადოდ არ ჰქონდა გააზრებული საქართველოს ავტონომიის იდეასთან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კავშირი[1].

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვას ქართველი ერი არასოდეს შერიგებია. ავტოკეფალიის გაუქმებისთანავე (1811 წ.) იგი სხვადასხვა ფორმით გამოხატავდა თავის პროტესტს. XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაში მონაწილე ქართველი სასულიერო პირები ეროვნულ ინტერესებთან ერთად, სარწმუნოებრივ მოთხოვნებსაც აყენებდნენ. 1905-1907 წლების რევოლუციის დროს ეროვნული ძალების გამოფხიზლებასთან ერთად პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა სასულიერო პირებმა დაიწყეს ბრძოლა ცარიზმის უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენისათვის. ამდენად ავტოკეფალისტების მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად იქცა და მან პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. არაერთგვაროვანი იყო ქართველი საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება ავტოკეფალიის მიმართ. სოციალისტ-ფედერალისტები და მასში შემავალი ფრაქციული ჯგუფი, მომავალი ეროვნულ-დემოკრატები, მხარს უჭერდნენ ავტო-

კეფალიის აღდგენას, სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთა (მენშევიკები და ბოლშევიკები) ათეისტურ პოზიციაზე იდგნენ და ეკლესიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მასების გათვითცნობიერების მიზნით ამავე პერიოდში გამოქვეყნდა კირიონ საძაგლიშვილის, კალისტრატე ცინცაძის, ალექსანდრე ცაგარელის, თედო ჟორდანიას, სერგი გორგაძის და სხვათა საინტერესო ნაშრომები. გამოქვეყნებული ნაშრომებით დასახელებული მკვლევრები მეცნიერულად ასაბუთებდნენ ავტოკეფალისტთა კანონიერებას.

ავტოკეფალისტთა მოძრაობას უარყოფითად შეხვდა რუსეთის რეაქციული წრეები, რადგან ამ მოთხოვნაში პოლიტიკური სეპარატიზმი დაინახეს. ამიტომ ისინი ყოველგვარი ხერხების გამოყენებით წინააღმდეგობას უწევდნენ ქართველი საზოგადოების კანონიერ მოთხოვნას. ილია ჭავჭავაძე იმთავითვე ავტოკეფალისტთა მხარეზე დადგა. როგორც მემუარისტები გადმოგვცემენ, იგი საფუძვლიანად ეცნობოდა ავტოკეფალიის შესახებ არსებულ მასალებს. საეკლესიო სამართლის საკითხებზე მას კონსულტაციას უწევდა ს. გორგაძე, ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები. ილია აღაშფოთა 1905 წლის 31 მაისს თბილისში ავტოკეფალიის მოთხოვნით შეკრებილი სასულიერო პირთა ყრილობის დარბევამ. მას გადაწყვეტილი ჰქონდა ამის შესახებ იმპერატორისათვის ეცნობებინა.

წმიდა ილია მართალი აქტიურად ჩაბმულა ავტოკეფალისტთა მოძრაობაში. 1905 წელს იგი წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიასთან არსებულ სასულიერო სასწავლებლის შენობაში, დასწრებია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მიძღვნილ ყრილობას, სადაც მოხსენებით გამოსულ მღვდელ კალისტრატე ცინცაძეს ისტორიული მასალების მოშველიებით დაუსაბუთებია ავტოკეფალიის კანონიერება. როგორც ამ ამბის თვითმხილველი ვ. ახმეტელი გადმოგვცემს, დარ-

ბაზში დაგვიანებით შემოსულ ილიასათვის სიტყვის თქმა უთხოვიათ, მაგრამ მას ცუდი ჯანმრთელობა მოუმიზეზებია და უარი განუცხადებია. ყრილობაზე ილიას ერთი განცხადება გაუკეთებია. როცა დარბაზში მსხდომნი მოითხოვდნენ, რომ ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ეკლესიას თავისი კუთვნილი მამულები დაბრუნებოდა, ადგილიდან პოეტს უთქვამს: „თქვენ მოითხოვთ საეკლესიო მამულების აღდგენას, გარეთ კი ხალხი მოითხოვს საეკლესიო და სათავადო მამულების ჩამორთმევას. ამას თავი დაანებეთ, ჩვენი ხალხი მორწმუნეა, სარწმუნოების მათაყვანებელი და მორწმუნე და ღვთისმოსავი ხალხი მუდამ შეინახავს თავის სულიერ მამას"[2].

ქართველმა სასულიერო პირებმა ავტოკეფალიის მოთხოვნით რამდენჯერმე მიმართეს მეფისნაცვალ ილ. ვორონცოვ-დაშკოვს, რომელმაც გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით მათ კანონიერ მოთხოვნას დუმილით უპასუხა. სასულიერო პირების მოთხოვნას მხარი დაუჭირეს ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა: ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ცხვედაძემ, ექვთიმე თაყაიშვილმა, ვლადიმერ მიქელაძემ, ვ. ყიფიანმა და სხვებმა. მათ გადაწყვიტეს დეპუტაცია გაეგზავნათ მეფისნაცვალთან ავტოკეფალიის მოთხოვნით. ამ მიზნით ზემოთ დასახელებულმა პირებმა 1905 წლის 24 სექტემბერს წერილით მიმართეს იმ ხანად ფოთის ქალაქისთავს ნიკო ნიკოლაძეს: „მოგახსენებთ, რომ საქართველოს სამღვდელოებამ და ინტელიგენციამ წარუდგინეს მთავრობას პეტიციები, რომ ჩვენს ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალია, რადგან ეს პეტიციები, თანახმად იმპერატორის ბრძანებისა, გამოეგზავნა ნამესტნიკს განსახილველად და თავის დასკვნის წარსადგენად უმაღლეს მთავრობისათვის. ქართველ ინტელიგენტთა კრებულმა ფრიად საჭიროდ და სასარგებლოდ სცნო წარუდგინოს ნამესტნიკს დეპუტაცია მთელი საქართველოს მოურავებისა, როგორც ხალხისაგან ამორჩეული პირებისა, და სთხოვოს მას, რომ ეს შუამდგომლობა საქარ-

თველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ შეწყნარებული იქნას და საქართველოს სამწყსოს მიენიჭოს უფლება სრულიად საქართველოს კათოლიკოსის ამორჩევისა. მოურავების დეპუტაცია უნდა წარუდგეს ნამესტნიკს შვიდს ღვინობისთვეს და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ამ დღისათვის უეჭველად ჩამობრძანდეთ. მოკლე მოხსენება უკვე დამზადებულია. თუ თქვენი ჩამოსვლა ყოვლად შეუძლებელია, ამ შემთხვევაში თქვენი მოადგილე გამოგზავნეთ"[3].

წყაროები გადმოგვცემენ, რომ იმავე წლის 11 ოქტომბერს მეფისნაცვალ ილ. ვორონცოვ-დაშკოვს ეწვია ქართველთა დეპუტაცია ავტოკეფალიის საკითხზე. დეპუტაციის შემადგენლობა უცნობია. მხოლოდ ვიცით, რომ მასში ილია ჭავჭავაძე მონაწილეობდა[4]. წყაროს ამ ცნობას ადასტურებს ექვთიმე თაყაიშვილის მონათხრობი, რომელიც აღნიშნავს, რომ სეპარატიზმით დამფრთხალ ილ. ვორონცოვ-დაშკოვს ილიასათვის განუცხადებია: „დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსათვის და რუსეთისათვისაც და მაშინ დაგიჭერთ მხარსო". ილიას გადმოცემით, მეფისნაცვალი იმ აზრს ეჭიდებოდა, რომ „ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთო, განა გაგონილა ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდესო". ამის გამგონე ექვთიმე თაყაიშვილს ილიასათვის უთქვამს: „ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტიის იმპერია ერთი სამართლმადიდებლო სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: „კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიისა?" ექვთიმეს შენიშვნით გაოგნებულ ილიას უთქვამს: „აკი გითხარით, რომ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და მე ნუ გამგზავნით მეთქი". რა თქმა უნდა, ილია, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი გადმოგვცემს, ავტოკეფალიის საკითხში კარგად იყო გარ-

კვეული, მაგრამ რუს ბიუროკრატ მოხელეებთან საპაექ-
როდ ყველა წვრილმანი გათვალისწინებული არ ჰქონდა.

ექვთიმესვე მონათხრობით, ქართველი სამღვდ-
ელოება, მასწავლებლები და მორწმუნეები ხშირად ილია ჭავჭავაძის ბინაზე იკრიბებოდნენ. ამ შეკრებას ესწრებოდა იაკობ გოგებაშვილი და ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე – ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის ვაჟი, რომელიც საეკლესიო საკითხებში საკმაოდ იყო გათვითცნობიერებული[5]. ილიას ბინაზე შეკრებილი ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, განსხვავებული აზრის მიუხედავად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას უჭერდნენ მხარს და მისი წარმატებით დაგვირგვინებისათვის სამომავლო პროგრამის შედგენაზე მუშაობდნენ. გიორგი ჟურულის გადმოცემით, წმიდა ილია მართალს არ გაუზიარებია ავტოკეფალისტთა ერთი ნაწილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუკი სახელმწიფო ჯამაგირის მიცემას შეუწყვეტდა სამღვდელოებას, მაშინ სასულიერო პირების დიდი ნაწილი უარს განაცხადებდა ეკლესიის დამოუკიდებლობაზე. მათ საწინააღმდეგოდ ილიას განუცხადებია, რომ ხაზინის კმაყოფაზე მყოფი სამღვდელოება ყოველთვის სახელმწიფოს ინტერესების დამცველი იქნება, რადგან „ვინც ფულს იძლევა, ბატონიც ის არის და მაგისთანა პირობებში ავტოკეფალიაც კაპიკად არ ეღირებაო"[6]. მოტანილი მასალიდან ირკვევა, რომ ილიას აზრით ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ სასულიერო პირები შემოწირულობების ხარჯზე უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთ სხდომაზე გადაწყდა, რომ ავტოკეფალიის მოთხოვნით, მოეწყოთ დიდი დემონსტრაცია ბაირაღებითა და პლაკატებით, ილიას განუცხადებია: „თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო!" 1905 წლის რევოლუციის სიმწვავის გამო ასეთი დემონსტრაცია არ განხორციელებულა[7].

მკვლევარ შ. ბადრიძის მიერ მიკვლეულ იქნა ილიას მიერ ავტოკეფალიის საკითხზე წარმოთქმული მოხსენების ნაწილი, რომლის ადრესატი და წელი უცნობია. დასა-

ხელებული მკვლევრის აზრით, იგი შეიძლება მან 1905 წელს ილ. ვორონცოვ-დაშკოვს გააცნო აუდიენციის დროს ან იმავე წლის შემოდგომაზე ობერპროკურორ ა. დ. ობოლენსკის მიართვა[8].

ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე თუ რა პოლიტიკურ დატვირთვას აძლევდა ილია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას:

„... თქვენო ბრწყინვალებავ, რუსეთის ფარგლებში ყველა არარუსს (ინოროდეცს) სარწუმუნოებრივი მმართველობის საქმეში საკუთარი დამოუკიდებლობა აქვს. სომხები, მუსულმანები, ებრაელები და ა. შ. თავიანთი აღმსარებლობის მმართველობაში თვითთავადნი არიან. მათ აქვთ საკუთარი სასულიერო სასწავლებლები, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზეა და ყოველდღე მშობლიურ სწავლებას დათმობილი აქვს ფართო ადგილი. მათ დამოუკიდებლად მართავს საკუთარი სამღვდელოება. უცნაურია, რომ ამ სიკეთეს მოკლებულნი არიან მხოლოდ მართმადიდებელი ქართველები, თითქოსდა სასჯელად მათი მართლმადიდებლობის გამო.

მარტოდ მართლმადიდებელი ქართველების უუფლებობამ შეიძლება წარმოშვას აზრი, რომ არარუსებისათვის, ეროვნული გაგებით, მართლმადიდებლურ რუსეთში სახეირო არაა მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებლობა. საქმის ასეთი ვითარება შეიძლება აიხსნას მხოლოდ რაღაც გაუგებრობით, რომელსაც ამდენი ხანია მხოლოდ ზიანი მოაქვს მართმადიდებლობისათვის.

ამგვარი უგნური ვითარების შემდგომი შენარჩუნება ჩემი აზრით, მიჩნეული უნდა იქნეს უდიდეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ შეცდომად.

ამიტომაც განსახილველად წარმოგიდგენთ შუამდგომლობას ქართული ეკლესიისათვის, მის წიაღში უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიის დაბრუნების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ამით ვასრულებთ ჩვენს

მოქალაქეობრივ ვალს და ვსასოებთ, რომ ამ თხოვნამ თქვენი ბრწყინვალების მხარდაჭერა დაიმსახუროს"[9].

XX საუკუნის დასაწყისში აშკარად გამოიკვეთა, რომ ილია ჭავჭავაძეს სურდა საქართველოს ავტონომიის იდეასთან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკავშირება. ეს სურვილი ასახულია ქართველ ავტონომისტთა „კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის" იმ პროგრამაში, რომელიც ილია ჭავჭავაძის ხელით უნდა იყოს შედგენილი. მასში გარკვევითაა დაფიქსირებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და ქართული ეკლესიის ეროვნულ სახელმწიფოებრივ ნიადაგზე მოწყობა. პარტიის პროგრამის მერვე მუხლში საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მოწყობის შესახებ აღნიშნულია: „ივერიის ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს ავტოკეფალიის უფლება და აღდგეს მცხეთა-ივერიის საკათალიკოსო მის წინანდელ ფარგლებში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ოლქი, აფხაზეთისა და სამურზაყანოს შავი ზღვისპირეთის გუბერნიის ნაწილი და ზაქათალის ოკრუგი) კათალიკოსის მეთაურობით.

ა) აღდგეს არჩევითი წესი იმ განთავისუფლებული სასულიერო საეკლესიო-სამომსახურეო ადგილების დაკავებისა, რომელთაც ყველა შემთხვევისათვის ეკუთვნით მოტივირებული ვეტო.

ბ) დაწესდეს კათალიკოსის თავმჯდომარეობით წმიდა სინოდსა და ეპარქიალურ საარქიელოებთან საბჭოები განსაზღვრული ვადით არჩეული სასულიერო და საერო პირებისაგან.

გ) თავმოყრილ იქნეს კათალიკოსთან არსებული წმინდა სინოდის ხელში ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასულიერო-სასწავლო და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მმართველობა.

დ) დაუბრუნდეს ივერიის ეკლესიას საეკლესიო მამული, რომელიც გადასულია სახელმწიფოს მმართველობაში, იმ მიზნით, რომ მოსახლეობა გათავისუფლდეს სამღვდელოებისა და სასულიერო უწყების ყველა დაწე-

სებულების შენახვის ტვირთისაგან"[10].

მართალია, აღნიშნული პარტია, რომელიც მომავალი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩანასახს წარმოადგენდა, ამ პერიოდში ვერ გაფორმდა როგორც დამოუკიდებელი პარტია, მაგრამ მოტანილი დოკუმენტური მასალიდან გარკვევით ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხს უკავშირებდა.

წმიდა ილია მართალმა ავტოკეფალიის საკითხი უმაღლეს ინსტანციებშიც დააყენა. დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე იგონებს: 1905 წლის მიწურულისათვის ილია პეტერბურგში აპირებდა გამგზავრებას და მისგან იღებდა კონსულტაციებს ავტოკეფალიის საკითხებში სრულყოფილად გარკვევისათვის. მართლაც, 1905 წლის შემოდგომაზე პეტერბურგში ყოფნის დროს ილია ჭავჭავაძე გიორგი ჟურულთან ერთად შეხვედრია უწმინდესი სინოდის ობერპროკურორ ა. დ. ობოლენსკის, რომელსაც, როგორც კალისტრატე ცინცაძე გადმოგვცემს, დაწვრილებით განუმარტა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში. ღვთისმსახურების სლავურ ენაზე დაწესებას და სასწავლო პროცესის რუსულ ენაზე წარმართვას, ილიას დასკვნით, სარწმუნოებისა და ზნეობის დაცემა მოჰყვა[11]. პეტერბურგშივე ილია შეხვედრია იმხანად იქ მყოფ ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილს, რომელიც საინტერესო ცნობას გვაძლევს ობერპროკურორთან მისი ვიზიტის შესახებ. ალ. ობოლენსკის ილიას მონათხრობის საფუძველზე თითქოს შეუწყნარებია ქართველი ერის გასაჭირი და ქართველი დეპუტაციისათვის შეუთავაზებია, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდი ეგზარქოსად დანიშნავდა ქართველ მღვდელმთავართაგან ერთ-ერთს და „ამით უაპელაციოდ გადაწყდება ყველა იქაური საქმეებიო". როგორც კირიონ ეპისკოპოსი გადმოგვცემს, ილიას განუცხადებია: „ცოტაშიაც დაგვითმეთო, ეგზარქოსის ამორჩევაც მოგვანდეთო, რადგან ამორჩევითი წესი

გსურთ რუსეთის ეკლესიაში განახორციელოთო"[12]. საბოლოოდ, ობერპროკურორს არც თავისი დანაპირები შეუსრულებია და არც ილიას წინადადებაზე დათანხმებულა, რადგან იგი იმპერიის ტიპური მოხელე იყო და კიდევაც რომ მოენდომებინა, ქართველთა მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებდა. აღნიშნული შეხვედრის შესახებ 1905 წლის დეკემბერს ილია ჭავჭავაძე ალექსანდრე ხახანაშვილს წერდა: „ძმაო ალექსანდრე, ვიყავით ობოლენსკისთან, მთელი ორი საათი ვილაპარაკეთ ჩვენი ავტოკეფალიისათვის... როგორც ეტყობა ობოლენსკი არ თანაუგრძნობდა ავტოკეფალიას საქართველოსას, მაინცდამაინც ის დასკვნა გამოიყვანა ობოლენსკიმ, რომ ჯერ სანამ სახელმწიფოს „დუმა" შედგება და სამღვდელოების კრება საერთოდ რუსეთის ეკლესიის გამო გაიმართება, იმ დრომდე ზოგიერთი ცვლილება მოხდებაო საქართველოს ეკლესიის გამგეობაში და მერე დუმამ და კრებამ იცისო, რასაც დააწყობენო"[13].

1906 წლის აპრილიდან, სახელმწიფოს საბჭოს წევრად არჩევის შემდეგ, ილიამ იდევ უფრო გააქტიურა ბრძოლა ავტოკეფალიის მოპოვებისათვის. სახელმწიფო საბჭოში იგი შედიოდა, ე. წ. „მემარცხენეთა ჯგუფში", რომელიც რუსეთში დემოკრატიული გარდაქმნების მომხრე იყო. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ილია გამოვიდა სიტყვით სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ. სხვა იურიდიულ არგუმენტებთან ერთად იგი სიკვდილის დასჯას ქრისტიანული პოზიციებიდან უარყოფდა, რადგან სიკვდილის დასჯა, მისი აზრით, „ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე"[14]. პეტერბურგში ილია ხშირად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე ეთათბირებოდა სახელმწიფო საბჭოს წევრებს და მაღალ თანამდებობის პირებს. მას შემდეგ, რაც წინა საეკლესიო სათათბიროს სხდომაზე უშედეგოდ დამთავრდა ლეონიდესა და კირიონ ეპისკოპოსების, აგრეთვე პროფესორების ალექსანდრე ცაგარელისა და ნიკო მარის

მცდელობა იურიდიულად დაესაბუთებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება, ილიამ გადაწყვიტა ვრცელი მოხსენება მოემზადებინა და წარმდგარიყო სახელმწიფო საბჭოს წინაშე. სათანადო კონსულტაციებს კი იმხანად პეტერბურგში მოღვაწე ალექსანდრე ცაგარელისგან იღებდა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ უწმიდესმა სინოდმა ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობის შესაჩერებლად გადაწყვიტა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაცია მოეხდინა. ამ მიზნით, 1906 წლის ივლისში ახალ ეგზარქოსად დანიშნეს ნიკონი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართველმა სამღვდელოებამ იმავე წლის 27 ივნისს პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს წევრ ილია ჭავჭავაძეს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „ქართველი სამღვდელოება ღრმად დარწმუნებული, რომ მხოლოდ თავისუფალ და დამოუკიდებელ ეკლესიას შეუძლიან განკურნოს საუკუნეობით დარჩენილი წყლულები, რომელიც მას ეგზარქოსების გამგეობის დროს დააჩნდა, მტკიცედ და შეურყვნელად ადგას, როგორც სალი კლდე, იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ქართველმა სამღვდელოებამ გამოთქვა თავის პეტიციაში. ამისათვის ქართველი სამღვდელოება გთხოვთ, გადასცეთ ახლად დანიშნულ ეგზარქოსს ნიკონს, რომ იგი საქართველოსაკენ არ გამოემგზავროს ეგზარქოსად. ამასთან ერთად გთხოვთ, ამ ჩვენი დეპეშის შინაარსი აცნობოთ დაუყოვნებლივ მიტროპოლიტ ანტონს"[15].

დეპეშა, მართალია, ქართველი სამღვდელოების სახელით იყო გაგზავნილი, მაგრამ როგორც წყაროებით დასტურდება, ტექსტს ხელს აწერდა ანჩისხატის მღვდელი პოლიევქტოვ კარბელაშვილი. ამ საქციელის გამო იგი დაისაჯა. საეგზარქოსის განკარგულებით პ. კარბელაშვილი დედაქალაქიდან სოფელ მარტყოფში გადაიყვანეს. თვით დასჯილმა არც კი იცოდა მარტყოფში გადაყვანის ნამდვილი მიზეზი. ეტყობა უწმიდეს სინოდს საიდუმლოდ სურდა მეამბოხე მღვდლის უმტკივნეუ-

ლოდ მოშორება ყოველგვარი ხმაურის გარეშე. ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსეთში მყოფი ეპისკოპოსი კირიონი მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს. აღნიშნული ფაქტის შესახებ ატყობინებდა: დეპეშის მიღებისთანავე „ილია იმ წამსვე წასულიყო ცაგარელთან და იმასაც აბჯარ-იარაღი აესხა და გამგზავრებულიყვნენ მიტროპოლიტ ანტონთან. ილიას ეთქვა, რომ ეგზარქოსმა თავისი წასვლა საქართველოში ცოტა შეაგვიანოს, მანამდის იქ არეულობა არ დაწყნარდებოდაო, ამ დროს ილიას თურმე დეპეშა ხელში ეჭირა. მიტროპოლიტს ეთხოვა დეპეშა, შესულიყო თავის კაბინეტში, გადმოელო, ალბათ მისი პირი, გამოეტანა და ისევ გადაეცა ილიასათვის. ამას მოჰყვა პოლეს (პოლიევქტოვ კარბელაშვილი – ე. ბ.) გადაყვანა ქალაქიდან სოფელში. იქნებ პოლემ არც კი იცის, რის გამოც გადაიყვანეს იგი მარტყოფში"[16].

ილია ჭავჭავაძეს და ალექსანდრე ცაგარელს დიდხანს უსაუბრიათ მიტროპოლიტ ანტონთან. 1906 წლის 4 ივლისს გაზეთი „შრომა" (№72) იტყობინებოდა: „ეგზარქოსად დანიშნული ნიკონი, როგორც გავიგეთ, თბილისში აღარ ჩამოვა. სახელმწიფოს საბჭოს წევრი თავადი ილია ჭავჭავაძე მიტროპოლიტ ანტონთან იყო. ჭავჭავაძემ დაარწმუნა მიტროპოლიტი არ გამოგზავნონ საქართველოში ეგზარქოსი"[17]. მიტროპოლიტ ანტონთან ვიზიტის შემდეგ ილია ჭავჭავაძე საბოლოოდ დარწმუნებულა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე უნდა გაეტანა განსახილველად, მაგრამ არ დასცალდა – ქვეყანაში მიმდინარე რეაქციამ და მისმა ვერაგულმა მკვლელობამ ეს განზრახვა ჩაშალა.

თავი IV. ილია ჭავჭავაძე და ქართველი სამღვდელოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XIX საუკუნის ბოლოს ბურჟუაზიის პერიოდში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის წყალობით ქართველმა სამღვდელოებამ თავისი ისტორიული ფუნქცია დაკარგა. ქართველ სასულიერო პირებს მოსახლეობა აღიქვამდა როგორც მეფის ერთგულ მოხელეებს. სასულიერო პირების ასეთი გაუცხოება იმით იყო გამოწვეული, რომ სახელმწიფოს ჯამაგირზე დამოკიდებული ქართველი სამღვდელოება საგრძნობლად დაშორდა თავის მრევლს. უცხო ძალის გავლენის ქვეშ მოქცეული სასულიერო პირები ვეღარ პასუხობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს. სამღვდელოების ანგარების გამო მოსახლეობა ეკლესიის მიმართ გულგრილი გახდა, მრევლსა და სამღვდელოებას შორის აღარ იყო კეთილგანწყობა. ცარიზმის პოლიტიკის წყალობით, სამღვდელოების უმეტესობა რუსული პოლიტიკის გამტარებლად იქცა. სასულიერო პირთა ავტორიტეტის დაცემის შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში უამრავი მამხილებელი პუბლიკაციები გამოქვეყნდა. ქართველი საზოგადო მოღვაწეები დაუნდობლად აკრიტიკებდნენ სამღვდელოების იმ ნაწილს, რომელიც საეკლესიო წეს-ჩვეულებებს გარკვეული საფასურის გაღების გარეშე არ ასრულებდნენ, მიუთითებდნენ იმ მოსალოდნელ მძიმე შედეგებზე, რაც შესაძლებელია ამას მოჰყოლოდა[1].

წმიდა ილია მართალი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ქართველ სასულიერო პირთა გადაგვარება რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგი იყო. ეკონომიკურად სახელმწიფოზე დამოკიდებული ქართველი სასულიერო პირები იძულებული იყვნენ დამპყრობლის სამსახურში ჩამდგარიყვნენ. რუსულ სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული ქართველი სასულიერო პირები მშობლიურ ენაზეც კი ვერ მეტყველებდნენ. ილიას აზ-

რით, თუკი სწავლებისადმი დამოკიდებულება არ შეიცვლებოდა, მაშინ „... თითონ მოძღვრობის საქმეც იქამდის მივა, რომ ჩვენი ერი იძულებული შეიქმნება „პერევოჩიკის" შემწეობით გაენდოს ხოლმე თავის მოძღვარსა"[2]. წმიდა ილია მართალი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საეპარქიო სამღვდელოების დეპუტატებმა არაერთხელ დასვეს საკითხი თავიანთ კრებებზე, რომ განათლებული მოძღვრის აღზრდის მიზნით სათანადო ყურადღება დათმობოდა სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას, მაგრამ მათ კანონიერ მოთხოვნას ყურადღებას არავინ აქცევდა. სასულიერო განათლების ხელმძღვანელთა გასაგონად იგი წერდა: „ნუთუ მთავრობის უუწმიდეს მოვალეობას არ შეადგენს, რომ ერს იმისთანა მოძღვრები მოუმზადონ, რომელთაც ღონისძიება ჰქონდეთ სამწყსოსა, გააგებინონ რამე და თვითონაც სამწყსოსი გაიგონ. მოძღვრის ფარხმალი ენაა და ამ ენას, ქართულ ენას, ეკლესიას არ აძლევენ"[3].

ქართველი სასულიერო პირების პროგრესულმა ნაწილმა კარგად გაითავისა უცხო ქვეყნის მონობაში მყოფი ქართველი ხალხის გასაჭირი და რუსული იმპერიული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ ისინი აქტიურად იბრძოდნენ მათი სარწმუნოებრივი და პოლიტიკური უფლებების დაცვისათვის. წმიდა ილია მართალი აღფრთოვანებული იყო ასეთი ქართველი სასულიერო პირების მოღვაწეობით და მათ აქტიურ დახმარებას და სულიერ თანადგომას უწევდა, რადგან ისინი ცარისტული რუსეთის მიერ სასტიკად იდევნებოდნენ.

წმიდა ილია მართალს ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ წმიდანად შერაცხილ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძესთან (1824-1907 წწ.). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის (1960-1972 წწ.) გადმოცემით, მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე წმიდა

ილია მართლის სულიერი მოძღვარი ყოფილა. ილია ჭავ-ჭავაძე თავის ტრადიციულ ხუთშაბათობებზე თავის მოძღვარს საგანგებოდ იწვევდა და, როგორც გადმოგვ-ცემენ, თვინიერ მისი კურთხევისა სუფრაც არ გაიშლე-ბოდა. ცნობილია

რამდენიმე ისტო-რიული ფოტო, რომელიც მემუა-რისტთა გადმო-ცემას ადასტუ-რებს. საგურამო-ში თავისი ანგე-ლოზის ილიაობის აღნიშვნის დღეს სუფრის კურთხევის შემდეგ წმიდა ალექსანდრე მღვდელმთავარს ილია მაგიდის თავში დასვამდა და გვერდით მიუჯდებოდა. თავის მხრივ, ალექსანდრე ეპის-კოპოსს დიდად ჰყვარებია იგი და მაღალ შეფასებას აძ-ლევდა თავისი სულიერი შვილის გარჯას ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ. თითქოს ბედის განგებაა, 1907 წლის აგვისტოში წიწამურში გავარდნილი ტყვიით განგ-მირული ილიას მოწამებრივი აღსასრული, უკვე მოხუცე-ბულმა, შიომღვიმის მონასტერში განმარტოვებულმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა მძიმედ განიცადა. დაკრძალ-ვის დღეს იგი თბილისში ჩამოვიდა, დამსწრე საზოგადო-ების წინაშე უკანასკნელი სიტყვით გამოეთხოვა თავის სულიერ შვილს (სამწუხაროდ ამ სიტყვას ჩვენამდე არ მოუღწევია), გულით დაიტირა და უფალს შეავედრა წმი-და ილია მართლის უკვდავი სული[4]. იმავე წლის ნოემბერ-ში ისიც გამოეთხოვა წუთისოფელს.

თავის მხრივ, წმიდა ილია მართალი დიდად აფასებ-და ალექსანდრე ოქროპირიძის ღვაწლს ერისა და ქვეყ-ნის საკეთილდღეოდ. ისტორიამ შემოგვინახა ფართო სა-ზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი წმიდა ილია მართლის სიტყვა, წარმოთქმული 1898 წელს ალექსანდ-

რე ოქროპირიძის გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველად დანიშვნასთან დაკავშირებით, რომელშიც მოკლედაა შეფასებული ქართველი მღვდელმთავრის მოღვაწეობა. აღნიშნულ სიტყვაში წმიდა ილია მართალმა მაღალი შეფასება მისცა ალექსანდრე ეპისკოპოსის ღვაწლს ქართველი ხალხის სულიერების ამაღლებაში. ილია აზრით, იგი თავისი „სათნოებით და კეთილ-მოქმედებით მაღალი ზნეობის პიროვნებაა". სწორედ ასეთი პიროვნებები „...ჰქმნის ამ წუთისოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს ადიდებენ, და სამოთხედ, საცა ბედნიერება ადამიანისა ჰსადგურობს"[5]. ცნობილია, რომ ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე სულიერ მესაჭეობასთან ერთად დიდ საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა ქართველი ერის სასარგებლოდ. მისი უშუალო მონაწილეობით არაერთი გაპარტახებული ეკლესია-მონასტერი აღდგა. მანვე თავისი ხარჯით გამოსცა ქართული წიგნები, მისივე ხელშეწყობით ნოტებზე გადაიღეს გაქრობის პირას მყოფი უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლები. ყოველივე ეს ჰქონდა მხედველობაში წმიდა ილია მართალს, როდესაც იგი ღვაწლმოსილ ქართველ მღვდელმთავარს მიმართავდა: „თქვენის ცხოვრების წმიდათ-წმიდა ორი დიდი საგანია: ერთი ღმერთი და მეორე თქვენი სამშობლო-ქვეყანა. ღმერთს ღმერთისას აძლევდით და ქვეყანას ქვეყნისას და ორსავ ემსახურებოდით ერთმანეთს დაუკლისად გულმხურვალობით და სიყვარულით"[6].

წმიდა ილია მართალს აგრეთვე ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმერეთის ეპისკოპოს წმინდანად შერაცხულ გაბრიელ ქიქოძესთან. იგი დიდად აფასებდა მის ღვაწლს ერის სულიერ ფორმირებაში და აღნიშნავდა: „მთელი თავისი სიცოცხლე იმის სამსახურში იყო, თუ ვით მოსწმინდოს ერის თვალთაგან ცრემლი ნუგეშის ცემითა და მადლის ფენითა"[7]. 1891 წლის 8 თებერვალს წმიდა ილია მართალმა წერილობით მიმართა გაბრიელ მღვდელმთავარს, საიდანაც კარგად ჩანს ის კეთილშობილური დამო-

კიდებულება, რომელიც ამ ორ დიდ მოღვაწეს შორის არსებობდა.

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ! – წერდა ილია გაბრიელ ეპისკოპოსს – „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრთა საერთო კრებამ 21 ნოემბერს 1890 წელს ერთხმად აღიარა უღრმესი პატივისცემით და გულითადის მადლობით თქვენი მრავალგვარი სამაგალითო მოღვაწეობა საზოგადოდ და ქართულის მწიგნობრობის გავრცელებისათვის საკუთრად და ერთხმადვე დაადგინა უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ამ „საზოგადოების" საპატიო წევრობა, რათა თქვენი ბრწყინვალე სახელი ჩაერთვას მისთა საქმეთა და თქვენმა მონაწილეობამ გაუადვილოს „საზოგადოებას" გზა მისაღწევად მისდა დანიშნულებისა.

უმორჩილესად მოგახსენებ რა თქვენს ყოვლად უსამღვდელოესობას ამ განაჩენს ჩვენის „საზოგადოების" ვალად ვრაცხ ზედ დავძინო, რომ „საზოგადოების" გულწრფელი ნატვრაა ინებოთ მისი საპატიო წევრობა მისდა სასიქადულოდ და თავმოსაწონებლად.

თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობის უღრმესი და უგულითადესი პატივისმცემელი თავმჯდომარე „საზოგადოებისა" ილია ჭავჭავაძე"[8].

ამ თხოვნის პასუხად იმავე წლის 15 თებერვალს ეპისკოპოსი გაბრიელი წმიდა ილია მართალს წერდა:

„თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფევ,
თ. ილია გრიგოლის ძევ!

უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჩემგან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებას, რომ დიდ პატივად და ჯილდოდ ვრაცხ ჩემს მათგან საპატიო წევრად აღრჩევას, ამისათვის მზადა ვარ მივიღო ჯეროვანი მონაწილეობა მაგ საზოგადოებაში, რომელსაც ამისთანა მოწოდებისათვის შევწირავ უგულითადეს მადლობას. ხოლო თქვენს ბრწყინვალებას ვთხოვ მიიღოთ ჩემგან უღრმესი და უწრფელესი მადლობა თქვენ წერილში გამოთქმული პატი-

ვისცემისათვის. მე არ ვრაცხ ჩემს თავს ღირსად იმ ქებათა, რომელიც ამოვიკითხე თქვენს წერილში და ვგონებ, რომ მხოლოდ მეგობრულმა ჩემდამი განწყობილებამ შეგაგონათ თქვენი ამოდენა ჩემი ქება.

თქვენი ერთგული და გულწრფელი პატივისმცემელი მდაბალი გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა"[9].

წმიდა ილია მართალი გაბრიელ ეპისკოპოსს 1864 წლიდან იცნობდა, როცა საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით ქუთაისში იმყოფებოდა. იგი მოხიბლული იყო გაბრიელის ენციკლოპედიური განათლებით და მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივ-განმანათლებლური საქმიანობით. საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა. იმერეთის მღვდელმთავარი საზოგადოებრივი მოღვაწეობით თავისებურად ეხმაურებოდა იმ ბრძოლას, რომელსაც თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით აწარმოებდნენ ცარიზმის რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ. ცნობილია გაბრიელ ეპისკოპოსის უკომპრომისო გამოსვლა იანოვსკ-ლევიტსკის ანტიხალხური საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო სასულიერო სასწავლებლიდან ქართული ენის განდევნა. გაბრიელ ეპისკოპოსი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინაც საკადრისი პასუხი გასცა გიორგი მუხრანსკის ნაშრომს, რომელიც ქართველ ერს გაქრობასა და ასიმილაციას უქადდა. ასეთმა უკომპრომისო ქმედებამ გაბრიელ ეპისკოპოსს „მებრძოლი ბერის" სახელი მოუპოვა[10]. გაბრიელ ეპისკოპოსის მტრებმა 1885 წელს ვერაგულად მოკლეს მისი მდივანი, ცნობილი პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი), ხოლო მღვდელმთავარს მოკვლით დაემუქრნენ, რის გამოც მას გადაწყვეტილი ჰქონდა სამშობლოს დროებით დატოვება. ილია ჭავჭავაძის „ივერიამ" ხმა აღიმაღლა გაბრიელ ეპისკოპოსის მტრების წინააღმდეგ და ამხილა მათი ზნეობრივი დაცემა. საზოგადოების მხარდაჭერით გამხნევებულმა მღვდელმთავარმა თავისი გადაწყვეტი-

ლება შეცვალა და განაცხადა: „მართლა სწუხს საზოგადოება და არ ჰსურს ჩემი მოშორება, რომ კიდეც გადაწყვეტილი მქონდეს წასვლა, მაინც აღარ წავალ და ვეცდები გადავიხადო მცირედ მაინც ეს დაუმსახურებელი პატივისცემა"[11].

წმიდა ილია მართლის ინიციატივით 1895 წლის 8 სექტემბერს ქუთაისში უნდა გადაეხადათ გაბრიელ ეპისკოპოსის მღვდელმთავრად მოღვაწეობის 35 წლის იუბილე, მაგრამ მისი მძიმე ავადმყოფობის გამო ეს წამოწყება ჩაიშალა. წმიდა ილია მართალმა ავადმყოფ იუბილარს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა: „გამსჭვალული გულწრფელად პატივისცემით თქვენი მოღვაწეობისადმი ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ეპისკოპოსის ხარისხში, ღრმად პატივისცემის გრძნობით გილოცავთ დღევანდელ დღეს"[12].

წმიდა ილია მართალმა გაბრიელ ეპისკოპოსის სრულყოფილი დახასიათება მოგვცა იმ ისტორიულ სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა ქუთაისში 1896 წლის 10 მარტს, მისი დაკრძალვის დღეს. ილიას თქმით, გაბრიელ ეპისკოპოსი თავისი შრომითა და გარჯით ხელს უწყობდა ერში სულიერების ამაღლებას, ხმალამოღებული იცავდა მის ინტერესებს. მან განსვენებულს „საისტორიო კაცი" უწოდა, რომელიც „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა". თავისი სამეცნიერო და სარწმუნოებრივი მოღვაწეობით, ილიას აზრით, გაბრიელ ეპისკოპოსმა პრაქტიკულად აჩვენა, რომ ისინი ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ორივე ერთად ხელს უწყობენ ჭეშმარიტების დადგენას. „განსვენებული – ამბობდა ილია – ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრითა, მისი აღმატებულობა, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგან ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა"[13]. წმიდა

ილია მართალი გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედრის წინაშე შეკრებილ საზოგადოებას მიმართავდა, რომ „დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და სულის ხსენება მისი ჩვენდა საწრთვნელად"[14].

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ ახალგაზრდა ქართველ სასულიერო პირებს: კირიონ საძაგლიშვილს, ამბროსი ხელაიას, ლეონიდე ოქროპირიძეს, კალისტრატე ცინცაძეს და სხვებს. მისი ხელშეწყობით ისინი პერიოდულ პრესაში ხშირად აქვეყნებდნენ საინტერესო მასალებს ეკლესიის საჭირობოროტო საკითხებზე. ქართველი სასულიერო პირთა ახალი თაობა თერგდალეულთა იდეებზე იყვნენ აღზრდილნი და მათი შეხედულებების გავრცელებას უწობდნენ ხელს. ამ მხრივ, გამოირჩეოდა დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე (შემდგომ კათოლიკოს-პატიარქი), რომელმაც არაერთი საინტერესო მოგონება შემოგვინახა წმიდა ილია მართალზე. მისი დახასიათებით „ყველა ქართველს ილია მიგვაჩნია არათუ მარტო დიდებულ მწერლად, ანუ ფასდაუდებელ მგოსნად, გინა თუ გამოჩენილ და სასიქადულო მოღვაწედ, არამედ უმთავრესად გზის მაჩვენებლად, ჭკუის მასწავლებლად. „ჭმუნვასა და სიხარულში" იგი იყო ნუგეშის შთამაგონებელი და შვების მიმცემი, ხოლო ფიქრის, საქმის, შრომის დროს ხომ იმას ბადალიც არ ჰყავდა. მისი რჩევა და დარიგება „უსასოდ ქმნილს" იმედს ჩაუნერგავდა გულში"[15].

წმიდა ილია მართალს სამართლიანად მიაჩნდა, რომ ავტოკეფალიაწართმეულ საქართველოს ეკლესიას ეროვნულ სულს ალექსანდრე ოქროპირიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი, კირიონ საძაგლიშვილი, ამბროსი ხელაია და მათი მსგავსი სასულიერო პირები უნარჩუნებდნენ.

თავი V. ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება არამართლმადიდებელი ქართველებისადმი

მართალია, წმიდა ილია მართალი მართლმადიდებლური ქრისტიანობის მტკიცე დამცველი იყო, მაგრამ იგი თანაგრძნობით ეკიდებოდა სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ქართველთა მძიმე ხვედრს, რომელთა მდგომარეობა რუსეთის იმპერიის პირობებში არასახარბიელო იყო. ცარიზმმა ისარგებლა იმით, რომ ქართველთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებდა. ქართველთა რელიგიურ-კონფესიურ ჯგუფში მართლმადიდებელთა გარდა შედიოდნენ ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები და ქართველი მაჰმადიანები. რუსმა მოხელეებმა თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის კარგად გამოიყენეს ქართველთა სარწუმუნოებრივი განსხვავება: ქართველი გრიგორიანები და ქართველი კათოლიკეები სომხებად მიიჩნიეს, ქართველი მაჰმადიანები თურქებად და შეეცადნენ ისინი ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ.

რუსეთის ცარიზმის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ წმიდა ილია მართალი იმთავითვე მიხვდა, რომ სარწმუნოებრივ სხვაობას და მასზე აქცენტის გაკეთებას შესაძლებელია საზიანოდ ემოქმედა არამართლმადიდებელ ქართველთა მომავალზე, რაც უეჭველია გაართულებდა მათ კონსოლიდაციას მართლმადიდებელ ქართველებთან. ამ მიზნიდან გამომდინარე, წმიდა ილია მართალი სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ქართველთა შეკავშირებისათვის უკვე ყურადღებას აღარ ამახვილებს სარწმუნოებრივ ერთიანობაზე. ამის რეალური ფაქტები უკვე სახეზე იყო. ახლადშემოერთებული აჭარელი ქართველი მაჰმადიანები რელიგიური ფანატიზმის გამო ქრისტიანულ სარწმუნოებას ეჭვის თვალით უყურებდნენ. ასეთ ვითარებაში მყოფ ქართველ მაჰმადიანებს სარწმუნოებრივი ერთიანობის ქადაგება მტრულად განაწყობდა თავისი თანამოძმეების მიმართ. სწორედ ამიტომ, ჯერ

კიდევ 1877 წელს, როცა საქართველოს ძირძველი კუთხის, აჭარის შემოერთების ბედი წყდებოდა, წმიდა ილია მართალმა გაზეთ „ივერიაში" ხაზგასმით აღნიშნა, რომ „...არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან როგორც ერთობა ისტორიისა"[1].

ცარიზმი სხვა მხრივაც ცდილობდა არამართლმადიდებელი ქართველების მიმართ რეაქციული საეკლესიო პოლიტიკის გატარებას. 1881 წლის იანვარში გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ „შინაურ მიმოხილვაში" ილია აკრიტიკებს რუსეთის ხელისუფალთა შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოს „სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია... იქ სადაც ერთსა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო". წმიდა ილია მართალი მათ გასაგონად აღნიშნავდა: „რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია; დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირს საძირკვლიდამ ერთ ქვასაც ვერ გამოაცლის"[2].

წმიდა ილია მართლის გაფრთხილების მიუხედავად, „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების" მეშვეობით ცარისტული რუსეთი თავისი დიდმპყრობელური პოლიტიკის გატარების მიზნით XIX საუკუნის 80-90-იან წლებში შეეცადა სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ქართველების მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე მოქცევას, მაგრამ მარცხი განიცადა.

წმიდა ილია მართალი არამართლმადიდებელი ქართველების მტკიცე დამცველად მოგვევლინა და მკაცრად გაილაშქრა ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. რუსეთის ხელისუფალთა საწინააღმდეგოდ იგი ცდილობდა სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ქართველების ერთმანეთთან შეკავშირებას, რადგან ხედავ-

და, რომ სარწმუნოებრივმა სხვაობამ ერთიანი ეროვნული სულის დაქუცმაცება გამოიწვია. რუსეთის ცარიზმი ყოველგვარი ხერხების გამოყენებით ცდილობდა ამ პროცესის კიდევ უფრო გაღრმავებას. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ სარწმუნოებრივად განსხვავებული ქართველობა ერთმანეთის მიმართ გაუცხოვებული დარჩენილიყო.

წმიდა ილია მართალი სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ქართველების შეკავშირებით მიზნად ისახავდა გაბზარული ეროვნული სულის გამთლიანებას და ეროვნული ძალების კონსოლიდაციას. როგორც ჩანს, არამართლმადიდებელ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ წმიდა ილია მართალი და მისი თანამებრძოლები – თერგდალეულები ექომაგებოდნენ და იცავდნენ არამართლმადიდებელი ქართველების – ქართველი გრიგორიანების, ქართველი კათოლიკეების და მაჰმადიანი ქართველების უფლებებს რუსეთის ხელისუფალთა ძალმომრეობისაგან.

წმიდა ილია მართალმა კარგად იცოდა, რომ ისტორიული ბედუკულმართობის გამო სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მიზეზით ჩვენში გაჩნდა არამართლმადიდებელი აღმსარებლობის ქართველები. რუსეთის ცარიზმის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მათი ეროვნული ვინაობა საფრთხის წინაშე დადგა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი დამპყრობელმა არაქართველებად გამოაცხადა და ცდილობდა მათ მოწყვეტას ერთიანი ქართული ეროვნული სხეულიდან. ასეთ პირობებში ჩავარდნილ არამართლმადიდებელ ქართველებს წმიდა ილია მართალი ქომაგად დაუდგა და თერგდალეულებთან ერთად აქტიური ბრძოლა დაიწყო მათში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის.

ცნობილია, თუ რა სიხარულით შეხვდა ილია ჭავჭავაძე 1878 წელს აჭარის შემოერთებას და იქაური ქარ-

თველების ერთიან ძმურ ოჯახში დაბრუნებას, მაგრამ გამაჰმადიანებულ ქართველთა ეროვნული ცნობიერება დაბალი იყო. მაჰმადიანური ფანატიზმის გავლენის ქვეშ მოქცეულ აჭარელ ქართველ მაჰმადიანებს სათუთი მოპყრობა სჭირდებოდათ, რადგან როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა: „მათ საერთოდ არ ესმოდათ თუ რას ნიშნავდა ეროვნება, ნაციონალობა"[3]. გამუსლიმანებული აჭარელი მოსახლეობა თავიანთ თავს ქართველად აღარ თვლიდა, რადგან მათი წარმოდგენით, ყველა ქრისტიანი ქართველი გიაური იყო. უფრო მეტიც, აჭარის მოსახლეობა „მიდრეკილებით, ხასიათით, ჩვეულებით, გონებით და გულით ნამდვილი მაჰმადიანია... ფანატიკოსია თავის სარწმუნოებაში". გაზეთ „დროებაში" მისი რედაქტორი სერგეი მესხი გულისტკივილით წერდა: „საქართველო", რომ უთხრა აქაურ კაცს თითქმის გინებად ჩამოგართმევს, რადგან „ქართველი" და „მართლმადიდებლობა" ამათ ვერ გაურჩევიათ"[4].

ასეთ პირობებში მყოფ აჭარელ ქართველ მაჰმადიანებს სათუთი მოპყრობა და თანადგომა სჭირდებოდათ. წმიდა ილია მართალი ხედავდა, რომ ქართველ საზოგადოებას დიდი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა ქართველ მაჰმადიანებთან მიმართებაში. წინაალმდეგ შემთხვევაში რელიგიური ფანატიზმის გამო გამორიცხული არ იყო, რომ ისინი თავიანთ სამშობლოს მტრებადაც კი ქცეულიყვნენ. სწორედ ამიტომ, იყო, რომ ილიას „ივერია" რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მიმდინარეობის პერიოდში სათანადო ადგილს უთმობდა „ოსმალოს საქართველოს" ამბების გაშუქებას. 1877 წლის იანვარში ილია გაზეთის საშუალებით ქართველ საზოგადოებას მიმართავდა: „არ გვაშინებს... ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი

არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი"[5].

1878 წელს აჭარის შემოერთების შემდეგ მოწოდებასავით გაისმა წმიდა ილია მართლის სიტყვები: „აბა ქართველობამ, ახლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათა ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!" ეხლა გამოჩნდება ეს ანდერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა"[6].

წმიდა ილია მართლის მოწოდებას ქართველმა საზოგადოებრიობამ მხარი დაუჭირა და ოსმალებისაგან გადაგვარებული აჭარელი მოსახლეობისადმი დახმარება და თანადგომა ღვიძლ საქმედ გაიხადეს. მათ კარგად გაითავისეს, რომ თვით ქართველ ხალხს უნდა ეზრუნა თანამოძმეების ბედზე, რადგან ცარიზმი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდა ახლად შემოერთებულ ქართველ მაჰმადიანთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. პირიქით, ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკა კრძალავდა დედა-ენაზე განათლების მიღებას. ქართველ მაჰმადიანებს თათრებად მიიჩნევდა.

მართალია, წმიდა ილია მართალი არ დასწრებია თბილისში არყოფნის გამო, 1878 წლის ნოემბერში აჭარიდან საგანგებოდ ჩამოსულ დელეგაციის პატივსაცემად გამართულ ბანკეტს, მაგრამ იგი იზიარებდა და ემხრობოდა შეხვედრის დროს გამოთქმულ გადაწყვეტილებას, რომ „ქართველი მაჰმადიანების... სჯულს და საოჯახო წესებს და ადათებს არასოდეს არავინ შეეხებოდა"[7]. თავის მხრივ, წმიდა ილია მართალი აჭარელ ქართველ მაჰმადიანებს შთააგონებდა, რომ რჯული ეროვნების განმსაზღვრელი არ არის, ქართველი ყოველთვის ქართველია, რა სარწმუნოებასაც არ უნდა აღიარებდეს იგი.

წმიდა ილია მართალი გაზეთ „ივერიის" ფურცლებ-

ზე ხშირად აქვეყნებდა წერილებს რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გაპარტახებული აჭარის შესახებ. განსაკუთრებით მას გულს უკლავდა ის ფაქტი, რომ შემოერეთების შემდეგ აჭარის მაჰმადიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ტოვებდა თავის მშობლიურ კერას და თურქეთში მიდიოდა საცხოვრებლად. ამის მიზეზად იგი რუსი მოხელეების თავაშვებულობას მიჩნევდა და ქართველ საზოგადოებრიობას მოუწოდებდა, რომ როგორმე შეეჩერებინათ აღნიშნული დამღუპველი პროცესი[8]. წმიდა ილია მართალს მიაჩნდა, რომ ფრთხილი ეროვნული პოლიტიკის წყალობით შესაძლებელი იქნებოდა მაჰმადიანი ფანატიკოსი ქართველების ერთიან ძმურ ოჯახში დაბრუნება. ამ მიზნის განსახორციელებლად იგი დიდ ყურადღებას უთმობდა მათში მშობლიურ ენაზე განათლების გავრცელებას. მის ინიციატივით, 1881 წელს ბათუმში გაიხსნა ქართული სკოლა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართველი მაჰმადიანების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში.

წმიდა ილია მართალმა განსაკუთრებით გაითავისა ქართველ კათოლიკეთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი პრობლემა. უდაოა, რომ ევროპელმა კათოლიკე მისიონერებმა საუკუნეების განმავლობაში პროგრესული როლი შეასრულეს საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ XIX საუკუნის შუა ხანებში (1845 წელს), ისინი გაძევებულნი იქნენ და ბედის ანაბარად მიტოვებული ქართველი კათოლიკეების მწყემსმთავრობა, ზოგიერთ შემთხვევაში, იმპერიის რეაქციონერი მოხელეების ზურგს უკან ამოფარებულმა სასულიერო პირებმა ითავეს. თბილისისა და ქუთაისის რომაულ-კაოლიკურ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულ-ლათინურად სრულდებოდა და იქაური ქართველი კათოლიკეების მდგომარეობა შედარებით კარგი იყო. მძიმე ვითარება შეიქმნა სამხრეთ საქართველოში. ცარიზმის მიერ თურქეთიდან გადმოსახლებული კათოლიკე სომხების ხარჯზე ძალზე

შეიზღუდა ადგილობრივი, მესხეთის ქართველების უფლებები. რუსი მოხელეების ხელშეწყობით, სამხრეთ საქართველოს ქართველ კათოლიკეებს მწყემსმთავრად, კათოლიკე სომეხი მღვდლები მოევლინენ. ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში წირვა-ლოცვის სომხური რიტის შემოღებით დაიწყეს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის გასომხება[9]. საფრთხე ძალზე დიდი იყო. მესხეთის ისტორიულად მკვიდრ ქართველობას ეროვნული გადაგვარების საფრთხე დაემუქრა. რეაქციული ძალების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს ისევ მესხთა წრიდან გამოსულმა ქართველმა კათოლიკე მოღვაწეებმა: პეტრე ხარისჭირაშვილმა, ივანე გვარამაძემ, მიხეილ თამარაშვილმა და სხვებმა, მაგრამ მათ მოღვაწეობას ფრთები შეაკვეცა რუსეთის ხელისუფლებამ, რის გამოც პეტრე ხარისჭირაშვილი კონსტანტინოპოლში გაემგზავრა და იქიდან ცდილობდა ქართველ კათოლიკეთა სასარგებლოდ ეღვაწა, ხოლო მიხეილ თამარაშვილი რომში ჩავიდა და მეცნიერული თუ პრაქტიკული საქმიანობით ცდილობდა დაეცვა თავისი თანამოძმეების ეროვნული ინტერესები[10]. ახალციხეში დარჩენილი კათოლიკე მღვდელი ივანე გვარამაძე დაუნდობლად ამხელდა რეაქციული ძალების აღვირახსნილობას. უნდა ითქვას, რომ ქართველ კათოლიკე მოღვაწეთა ბრძოლა ეროვნულობის შენარჩუნებისათვის მძლავრად შეერწყა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ნაკადს, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა.

წმიდა ილია მართალი თანაგრძნობით ეკიდებოდა მესხ ქართველ კათოლიკეთა გასაჭირს. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ივანე გვარამაძესთან და თავის გაზეთის ფურცლებზე „ვინმე მესხის" ფსევდონიმით ხშირად აქვეყნებდა მის ნარკვევებს თუ ფელეტონებს ქართველი კათოლიკეების ეროვნულობის, მესხეთის ისტორიული წარსულის თუ სხვა საკითხთა შესახებ. 1896 წელს ივანე გვარამაძე გულისტკივილით წერდა წმიდა ილია მართალს: „არავინ არის გულშემატკივარი, რომ მუდამ თა-

ნაზიარი იყვეს ყოველ შემთხვევაში, მომავალი თაობის სამაგალითოდ. მე ხომ მოხუცებული ვარ და ახლა სამშობლოს რაღას ვარგებ? თოთოოროლა კრინტს თუ ვძრავთ, იმასაც იმისათვის, რომ ეგებ გაიღვიძონ ჩვენი მხარის ღრმად მიძინებულმა ხალხმა, თავს უშველონ რამე. კეთილი მწყემსი სჭირიათ და არავინ არის"[11].

განსაკუთრებით საინტერესოა მიხეილ თამარაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობა. მართალია, მათ პირადი ნაცნობობა და მიწერ-მოწერა არ ჰქონიათ, მაგრამ, ამისდამიუხედავად, ერთმანეთს დიდ პატივს სცემდნენ. 1897 წლიდან, ილიას განკარგულებით, რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილს უფასოდ ეგზავნებოდა გაზეთ „ივერიის" ნომრები. ამასთანავე, მიხეილ თამარაშვილმა, როგორც მკვლევარმა, ფეხი ილიას „ივერიაში" აიდგა, სადაც 1897 წელს მისი პირველი წერილი გამოქვეყნდა ქართველი კათოლიკეების შესახებ[12]. ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილის თავდადებულ შრომას ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილი ნატრობდა ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებას. ივანე გვარამაძისა და ზაქარია ჭიჭინაძისადმი გაგზავნილ წერილებში იგი გამოთქვამდა სურვილს როგორმე ახლოს გაეცნო ილია. მიხეილ თამარაშვილმა თავის მიერ 1902 და 1904 წლებში გამოცემული წიგნები „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" და „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც ჰუარყოფენ ქართველთა კათოლიკობის არსებობას", თბილისში მოღვაწე მღვდელს პავლე ყალაიჯოვს გამოუგზავნა, ილიასათვის გადასაცემად. მიხეილ თამარაშვილის საჩუქრით ილია კმაყოფილი დარჩენილა. სურვილი გამოუთქვამს, რომ მატერიალური დახმარება გაეწია რომში მოღვაწე მამულიშვილისათვის. ამ ფაქტთან დაკავშირებით, პავლე ყალაიჯოვი 1905 წლის 24 იანვარს მიხეილ თამარაშვილს რომში წერდა: „იგი დამთანხმდა თქვენთვის შემწეობის აღმოჩენას ბანკიდან და

იქვე ანტონ ფურცელაძეს გადასცა ამ საქმის სისრულეში მოყვანა". ანტონ ფურცელაძე ამ დროს ბანკის დირექტორი იყო, მაგრამ მან ილიას დავალება ვერ შეასრულა. იგი დააპატიმრეს[13].

მიხეილ თამარაშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. იგი აღტაცებული იყო მისი პოლემიკური ნაშრომით „ქვათა ღაღადით", რომლის შესახებ ცნობილ მწიგნობარსა და საზოგადო მოღვაწეს ზაქარია ჭიჭინაძეს წერდა: „მე მსურდა, რომ პირდაპირი წერილები მეახლებინა და დიდი მადლობა მომეხსენებინა მისთვის, მისი ყოვლად საყურადღებო წერილის გამო, რადგან დაახლოება და პიროვნული ცნობა არა მაქვს მაგ დიდად პატიოსან და ჩვენდა სასიქადულო პირისა, ამისათვის ვერ გავბედე, რომ პირდაპირი წერილი მიმერთმია"[14]. მიხეილ თამარაშვილს, როდესაც მოპაექრე სომხების წინააღმდეგ წერდა შრომას „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც ჰუარყოფენ ქართველთა კათოლიკობის არსებობას", როგორც თვითონ წერს: „ქვათა ღაღადი" სახარებასავით ჰქონია წინ გადაშლილი, „თვალს ვადევნებდი ძალა, მემატებოდაო"[15].

ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადით" კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობაც დაინტერესებულა. 1902 წელს კონსტანტინოპოლის ქართულ კათოლიკური სასწავლებლის მოსწავლე ივანე გველესიანს, იმხანად იქ მყოფ ნეაპოლელი ქართველოლოგის ავრელიო ასომპიონისტთან ერთად, ფრანგულად უთარგმნია „ქვათა ღაღადი" და მისი გამოქვეყნება ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში ნდომებიათ[16].

აქვე უნდა ითქვას ერთი უზუსტობის შესახებ, რომელიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში შეინიშნება. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ, თითქოს, ილია ჭავჭავაძემ მეორე „ქართლის ცხოვრება" უწოდა მიხეილ თამარაშვილის 1902 წლის გამოქვეყნებულ ნაშრომს „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის"[17], რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. 1902 წელს გაზეთ

„ივერიის" ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა მოსე ჯანაშვილის ვრცელი რეცენზია მიხეილ თამარაშვილის დასახელებულ ნაშრომზე, სადაც იგი „მეორე ქართლის ცხოვრებად" იწოდება[18]. ამ რეცენზიასთან და იმდროინდელ გაზეთ „ივერიის" რედაქციასთან ილიას არაფერი აკავშირებდა. იგი უკვე გაზეთის რედაქტორი აღარ იყო. მიუხედავად ამისა, როგორც მემუარისტები გადმოგვცემენ, ილია მაღალ შეფასებას აძლევდა მიხეილ თამარაშვილის გამოქვეყნებულ შრომას.

XX საუკუნის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე აქტიურად ჩარეულა ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოებრივი საკითხის გადაწყვეტაში. როცა 1903 წელს ქართველი კათოლიკეების ეროვნულ-სარწმუნოებრივი პრობლემის შესასწავლად თბილისში ჩამოსულა ტირასპოლის კათოლიკური ეპარქიის (რომელსაც ქართველი კათოლიკეები ექვემდებარებოდნენ) არქიეპისკოპოსი ედუარდ როპი. ილია მას შეხვედრია, საუბარიც ჰქონია, ხოლო გამომშვიდობებისას, სტუმრისათვის საჩუქრად გადაუცია რუსულად თარგმნილი „ქვათა ღაღადი". სტუმარი დარწმუნებულა ქართველ კათოლიკეთა კანონიერ მოთხოვნაში და საკითხის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტაც უცდია, მაგრამ, როგორც ჩანს, ცარიზმმა ედუარდ როპი არასასურველ პიროვნებად მიიჩნია. მალე იგი ეპარქიის მმართველობიდან გადააყენეს და ბალტიისპირეთში გადაიყვანეს. ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა კი უცვლელი დარჩა. მიხეილ თამარაშვილი ინფორმირებული ყოფილა საქართველოში მიმდინარე მოვლენებით. იგი მოხარული იყო, რომ ქართველ კათოლიკეთა პრობლემების გადაწყვეტაში ილია ჭავჭავაძეც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა[19].

თავი VI. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ტრაგედია და ქართველი სამღვდელოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წმიდა ილია მართლის მკვლელობამ ქართველი ხალხის დიდი აღშფოთება გამოიწვია. გარდაცვლილის პატივსაცემად და მისი ღვაწლის დასაფასებლად ქართულ პრესაში უამრავი სტატია გამოქვეყნდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან დამკრძალავი კომისიის სახელზე სამძიმრის დეპეშები მოდიოდა. გაზეთმა „ისარმა" ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით 1907 წელს გამოსცა კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება".

აღსანიშნავია, რომ ილიას მკვლელობის მიმართ ქრისტიანული შემწყნარებლობა გამოიჩინა გარდაცვლილის ქვრივმა ოლღა გურამიშვილმა, რომელმაც განაჩენის გამოტანამდე წერილით მიმართა თბილისის გენერალ-გუბერნატორს და სთხოვა დამნაშავეთათვის მოსალოდნელი სიკვდილით დასჯა გაეუქმებინათ, რადგან, როგორც თვითონ წერდა: „მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის ხსოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილის დასჯით დაიჩრდილება. ის საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი"[1].

ოლღა გურამიშვილის ამ მიმართვას იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. პროგრესულად მოაზროვნე რუსი საზოგადოებრიობის მიერ იგი ზნეობრიობის უდიდეს გამოხატულებად იქნა მიჩნეული[2].

ქართველმა სამღვდელოებამ დიდი პატივი მიაგო 1907 წლის 30 აგვისტოს წინამურთან ვერაგულად მოკ-

ლული ილია ჭავჭავაძის ნათელ ხსოვნას. მათი მოთხოვნით, მკვლელობის ადგილზე აღიმართა ხის დიდი ჯვარი. იმავე წლის პირველ სექტემბერს ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გორის ეპისკოპოსმა პეტრემ (კონჭოშვილი) თბილისის სამღვდელოების თანამლოცველობით გადაიხადა პანაშვიდი, რომელსაც ილია ჭავჭავაძის ღვაწლის დამფასებელი მრავალრიცხოვანი საზოგადოებრიობა დაესწრო. ქაშუეთის ეკლესიის სივიწროვის გამო პანაშვიდებს შემდგომ სიონის საკათედრო ტაძარში იხდიდნენ[3].

ილია ჭავჭავაძის მკვლელობას გამოეხმაურა იმერეთის სამღვდელოებაც. ორ სექტემბერს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) პანაშვიდის წინ ილიას ღვაწლის წარმოსაჩენად სიტყვით მიმართა მრავალრიცხოვან მრევლს. მან იმერეთის ეპარქიის სახელით სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა დამკრძალავ კომისიას.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კორპორაციამ შემდეგი სიტყვებით გამოხატა თავისი გულისტკივილი უღვთოდ მოკლული მამულიშვილის მიმართ: „ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კორპორაცია ცხარე ცრემლით გლოვობს საშინელ დანაკარგს, საუკეთესო პოეტსა და დაუღალავ საზოგადო მოღვაწეს, ძვირფას ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს. ჩვენს ცრემლს ვუერთებთ ივერიის დაობლებულ მამულიშვილთა ცრემლებს“[4].

ბორჯომიდან ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი)

სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გულისწყრომას თავის აღშფოთებას უერთებდა და გულდათუთქული წერდა: „მე და ჩემი მრევლი ვგლოვობთ მხეცურად მოკლულ ილია ჭავჭავაძეს, თავის ხალხის ბედის დიდებულ მოჭირნახულესა და მის ძვირფას მასწავლებელს, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავის ერს უღვიძებდა სიყვარულს თავისი სამშობლოსადმი. ნუთუ შეურაცხყოფილი ეროვნული გრძნობა ეხლაც დაუკმაყოფილებელი დარჩება საძაგელ მკვლელთა სასიხარულოდ, წასაქეზებლად?"[5]

ილიას მკვლელობა განსაკუთრებით მძიმედ განიცადეს თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებმა. ისინი კარგად იცნობდნენ ილიას შემოქმედებას და დიდად აფასებდნენ მის ღვაწლს. მათთვის ცნობილი იყო, რომ ილია თავის თანამებრძოლებთან ერთად მკაცრად ილაშქრებდა თბილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებული ანტიქართული რეჟიმის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ სემინარიის აღსაზრდელები სამძიმრის დეპეშაში სინანულით წერდნენ: „ქართველი ერის ისედაც დაწყლულებულ გულს დღეს ერთი ძლიერი ლახვარი კიდევ მოხვდა. ილია ჭავჭავაძე ხელიდან გამოგვტაცეს ვიღაც უგვანოებმა. გამხეცებული ავაზაკის ტყვიამ შეაჩერა ის გულისცემა, რომელმაც ბევრი გული გაიტაცა წმიდა იდეალისაკენ, არ დააცალეს სიბერის ხანს დაესვენებინა თავისი მრავალტანჯული სული. ტყვიით განგმირეს შუბლი, დიდებული გვირგვინის ღირსი და მით დააძმარეს ქართველი ერი. აღშფოთებულნი ასეთის მხეცურის საქციელით, ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფენი უღრმეს გულისწყრომას ვუცხადებთ იმ ნაძირალთ, რომელთაც წაგვართვეს დაუვიწყარი მგოსანი"[6].

კოვნოში (დღევანდელი კაუნასი, ლიტვის რესპუბლიკა) ექსორიობაში მყოფმა ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილი) ილიას დაღუპვა ქვეყნის სულიერ ზნედაცემულობად მიიჩნია. მან ადგილობრივ საკრებულო ტა-

ძარში სხვა ეროვნების სასულიერო პირებთან ერთად გადაიხადა პანაშვიდი, ხოლო დამკრძალავ კომისიას შემდეგი შინაარსის სამგლოვიარო დეპეშა გამოუგზავნა: „ღრმად დამაღონა ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავმა. ჩვენი სამშობლოსათვის აუნაზღველი დანაკარგია. ვილოცე მისი სულისათვის. თქვენთან ერთად ვგლოვობ მხცოვან მგოსანს“[7].

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან დამკრძალავი კომისიის სახელზე მოდიოდა სამგლოვიარო დეპეშები, რომელთა უმეტესობა სასულიერო პირების მიერ იყო გამოგზავნილი. ისინი თავიანთ მრევლთან ერთად აღშფოთებას ვერ მალავდნენ და დიდ წუხილს გამოთქვამდნენ ილიას ვერაგულად დაღუპვის გამო.

ქართველმა სამღვდელოებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ილია ჭავჭავაძის დამკრძალავი კომისიის საქმიანობაში. მის გადმოსვენებამდე თბილისის ეკლესიებში დილით და საღამოთი ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა თუ კერძო პირების შეკვეთით იხდიდნენ პანაშვიდებს. საგურამოში გაგზავნილი იქნა რამდენიმე სასულიერო პირი გარდაცვლილის გასაპატიოსნებლად. საგურამოში გადმოსვენების დღეს, 7 სექტემბერს, დილის ექვს საათზე გადაიხადეს პირველი პანაშვიდი, მეორე – რვის ნახევარზე. ლოცულობდა ექვსი მღვდელი და გალობდა მცხეთის დედათა მონასტრის მონაზონთა გუნდი[8]. თბილისისაკენ მომავალ პროცესიას თან მოჰყვებოდა სასულიერო პირები, საეკლესიო დროშებით, ანთებული სანთლებით და ხატებით. მკვლელობის ადგილზე, ჯვრის მონასტრის ახლოს, პროცესიას შეუერთდა მცხეთის მოსახლეობა სამი სასულიერო პირით, საეკლესიო დროშებითა და გვირგვინით, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „ჩვენს მეზობელსა და დიდ მოღვაწე პოეტს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს მცხეთის საზოგადოებისაგან“[9]. გზადაგზა სასულიერო პირები იხდიდნენ მცირე პანაშვიდებს. სამ საათზე ვერაზე პროცესიას

დახვდნენ ქართველი ეპისკოპოსები მრავალრიცხოვან სამღვდელოებასთან ერთად. მცირე ლოცვის შემდეგ გარდაცვლილს სხვებთან ერთად სიტყვით მიმართა დიდუბის ტაძრის წინამძღვარმა ნ. თალაკვაძემ, რომელმაც თავისი გამოსვლა ამაღელვებელი სიტყვებით დაამთავრა: „ივერიის ეკლესიის დიდებულო, ჭეშმარიტო ღვიძლო შვილო, მუხლს იდრეკს შენს მოწამებრივ ნაშთთა წინაშე ქართველი სამღვდელოებაც, თაყვანს სცემს შენ ზეგარდმო მადლით ცხებულ შუბლს, მარად და მუდამ აღბეჭდილი იქნება ჩვენს გულში შარავანდედით გასხივოსნებული შენი ხატება, შენი მოძღვრება მისწრაფებანი, რომ შენი „ანდერძი" აღვასრულოთ და მით წამებულმან სულმან შენმან გაიხაროს... ამინ"[10].

ხუთ საათზე ცხედარი მიასვენეს სიონის ტაძარში. პანაშვიდამდე ეპისკოპოსმა ლეონიდემ მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „...ჩვენ რომ ილია თავის დროზე გვეცნო, ჩვენ რომ ილიას ნამცნები მოძღვრება ურთ-ერთის სიბრალულ-სიყვარულისა სამშობლოსათვის თავდადებისა და ქართველი ერის განვითარებისა მშობელი დედის რძესთან ერთად გვექცია ჩვენი არსებობის სისხლად და ხორცად, მაშინ არც დღევანდელი მარცხი შეგვემთხვევოდა. მაგრამ დამნაშავე ვართ ყველანი დიდიდან პატარამდე შენ წინაშე, სულო მაღალო! არც კაცი და არც ქალი, არც სწავლული და არც უმეცარი, არც დიდი და არც პატარა, არ გაფასებდით ღირსეულად, არ გესარჩლებოდით თავდადებულად და სწორედ ამან გახადა შესაძლოთ შენი ძვირფასი სიცოცხლის მოსპობა ვერაგი სულისაგან"[11].

სიონში დასვენებული ილიას ცხედრის პატივსაცემად მთელი ღამის განმავლობაში რამდენიმე სასულიერო პირი ფსალმუნს კითხულობდა და ლოცულობდა. რვა სექტემბერს დილით ღვთისმშობლის დღესასწაულის წირვაზე შეიკრიბნენ სასულიერო პირები მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად, მაგრამ ილიას დაღუპვის გამო, როგორც გაზეთი „ისარი" წერდა: „სიონის საკრებულო



ტაძრის დღესასწაული ღვთისმშობლობა სამგლოვიაროდ შეიცვალა“[12]. წირვის შემდეგ გადახდილი იქნა პანაშვიდი, რომელიც დასრულდა არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას სიტყვით: „... ღმერთო მაღალო და ძლიერო, გვაკმარე ეს უბედურება, ეს იყოს უკანასკნელი მსხვერპლი სამშობლოს საკეთილდღეოდ და ჩვენთა ეროვნულ ცოდვათა სახსრად შეწირული ეროვნულ ტრაპეზად. სიდიადე ამ მსხვერპლისა თავდებია, რომ მომავალში ჩვენი უკუღმართობა, ჩვენი შეუგნებლობა მოსპობილ იქნება და ერთობლივი ძალით შევუდგებით პირნათლად სამსახურს სამშობლო მხარის აღორძინებისას“[13]. ამბროსი ხელაიას გამოსვლას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე საზოგადოებაზე.

1907 წლის 9 სექტემბერს, დაკრძალვის დღეს მრავალრიცხოვან საზოგადოებრიობასთან ერთად ქართველი სამღვდელოება უკანასკნელად ეთხოვებოდა თავის სათაყვანებელ მოღვაწეს. დაკრძალვას ესწრებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სასულიერო პირთა დელეგაციები. პანაშვიდის შემდეგ, ტაძრიდან გამოსვენების წინ, განსვენებულს გამოსათხოვარი სიტყვით მიმართეს ილიას სულიერმა მოძღვარმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა, დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემ და მღვდელმთავარმა პეტრე კონჭოშვილმა. მამადავითისაკენ მიმავალ პროცესიას ზღვა ხალხთან ერთად მიაცილებდა სამღვდელოება ძვირფასი გვირგვინებითა და ხატებით. ქართლ-კახეთის სამღვდელოების ვერცხლის ხატს ამშვენებდა წარწერა: „შეუნდე, არ იციან ღმერთო,

რას იქმან". ხოლო იმერეთის სამღვდელოების ხატს: „ცხოვრებას აცისკროვნებს სული საქმით მეტყველი". აქვე იყო ეპისკოპოს ლეონიდეს საგანგებო დაკვეთით შესრულებული მაცხოვრის ვერცხლის ხატი[14]. თბილისის სამღვდელოება წმ. ნინოს ხატით მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე ილია ჭავჭავაძეს[15]. აღნიშნული ხატები ამჟამად დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში[16]. მრავალრიცხოვან გვირგვინებს შორის გამოირჩეოდა ქუთაისის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასწავლებლის გვირგვინი წარწერით: „არ დაგივიწყებთ არა, ვიდრე ფეთქს გული, ვიდრე გვიდგია ძარღვში სისხლი და პირში სული". თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლეებმა ილიას მიმართ პატივისცემა მისივე სტრიქონებით გამოხატეს:

„მე არ გთხოვ, – მანდ წამება
აქ წამებით შემიმცირო,
მე გთხოვ, – სისხლი აქ დაღვრილი,
ჩემი სხვისთვის შეიწირო".

მცხეთის მონასტრის სასულიერო პირებმა თავიანთ გვირგვინს ილიასეული სიტყვები წააწერეს: „კაცი უნდა კაცად იყოს, სანთელივით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათებდეს"[17].

მთაწმინდაზე მისვენებისას მცირე ლოცვის შემდეგ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს ქუთაისელმა მღვდელმა მელიტონ კელენჯერიძემ და მამა-

დავითის ტაძრის წინამძღვარმა ნიკოლოზ მაჭარაშვილმა (ამ უკანასკნელის სიტყვას ქვემოთ გთავაზობთ). ილიას დაღუპვის გამო საქართველოს სხვადასხვა კუთხის თითქმის ყველა მოქმედ ეკლესიაში აღევლინა მისი უკვდავი სულის მოსახსენებელი ლოცვები, სასულიერო პირების მიერ წარმოითქვა გარდაცვლილის პატივსაცემად მიძღვნილი სიტყვები. ამ სიტყვების მცირე ნაწილი გაზეთმა „ისარმა" გამოაქვეყნა, შემდეგ კი დაიბეჭდა გარდაცვლილისადმი მიძღვნილ კრებულში „ილიას სიკვდილი და დასაფლავება". წარმოთქმული სიტყვების უდიდესი ნაწილი გამოუქვეყნებელი დარჩა. გთავაზობთ ჩვენს მიერ მოძიებულ ზოგიერთ უცნობ მასალას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის წინაშე ილიას ღვაწლის დასაფასებლად საინტერესო სიტყვა წარმოთქვა დეკანოზმა ანტონ თოთიბაძემ:

„სიტყვა

თქმული 5 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ქართული ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების მოსწავლეთა წინაშე ილიას პანაშვიდზე.

„და დავარდნენ იაკობის ძენი პირსა ზედა მამისა
თვისისა
და სტიროდნენ მას ზედა და ამბორს უყოფდნენ
მას" (შექმ. 50,1).

ესრედ მოიქცენ შვილები და შვილიშვილები მამამთავრის იაკობისა, შეიკრიბნენ რა გარდაცვალებულის მამის ცხედრის გარშემო უკანასკნელის ამბორის საყოფელად და გამოსამშვიდობებლად, ესრედვე გვმართებს მოქცევა ჩვენც, შეკრებილნო ამ წმ. ტაძარში პატივისსაცემლად მოულოდნელად და უდროოდ სიცოცხლეს მოწყვეტილის ილიასი! „დავარდეთ და ვიტიროთ..." თვით ილია მოგვმართავს ჩვენ ამ აუტანელის მწუხარების დროს შემდეგის წმ. ეკლესიის სიტყვებით:„ სტიროდეთ ჩემთვის ძმანო და მეგობარნო, მოყვასნო და მეცნიერნო, რამეთუ გუშინ თქვენთანა მზრახველ ვიყავ და მეყსეულად მოიწია ჩემზედა ჟამი სიკვდილისა".

დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველი საქართველოს შვილი გრძნობს, თუ რისთვის უნდა ვსტიროდეთ და ვგოდებდეთ და ვგლოვობდეთ, თუ როგორი მეტად ღირსეული ადამიანი, სიამაყე და დიდება ჩვენის სამშობლოქვეყნისა დავკარგეთ! მთელი საუკუნის განმავლობაში დაუცხრომელის ნაყოფიერის შრომით ილია ჭავჭავაძემ ისეთი დიდი განძი შეიტანა ჩვენი ერის სალაროში, რომ ჩვენ უბრალო მომაკვდავთ, არ ძალგვიძს მისი დაფასება; ჩვენ მხოლოდ გვსურს მივაქციოთ თქვენი ყურადღება ერთ მხარეს იმ მიზეზთა, რომელთაც გამოიწვიეს ისეთი კაცის სიცოცხლის მოსპობა, როგორიც იყო ჩვენი მგოსანი, ჩვენი მოძღვარი, დიდი ილია.

მართლა და, რა იყო მიზეზი ილიას სიცოცხლის მოსპობისა? ვის ესაჭიროებოდა სიკვდილი მისი, რომელიც 50 წლის განმავლობაში ქადაგებდა ჩვენში ძმობას, ერთობას და სიყვარულს? ვის დასჭირდა გაქრობა იმ ლამპრისა, რომელიც გვინათებდა ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში? ვინ მოგვისპო ის, რომელმაც განამრავლა ჩვენი სულიერი საუნჯე, რომელიც იღვწოდა ჩვენში როგორც მწყემსი კეთილი, ხალხისათვის თავდადებული?! და ამნაირად კიდევ ვიკითხავთ: რა იყო მიზეზი ამ დიდი უბედურებისა? არავინ და არა რა, გარეშე ჩვენის უვიცობისა და ჩვენის სულიერების სიბნელისა! ბნელი ძალა, დამყარებული ადამიანის განუვითარებლობაზე, სულმოკლეობაზე, ადამიანის ცრუ თავმოყვარეობაზე და მავნე ამაყობაზე, თავიდან იყო მტერი კაცობრიობისა, მისი ნორმალური წინსვლისა, მისი პროგრესისა. თვით მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, მოსრული ქვეყნად ჩვენდა საცხოვნებლად, საუნჯე ყოველის კეთილისა, მსხვერპლი შეიქმნა ამ სიდუხჭირისა; იგი ჯვარს აცვეს, მოჰკლეს და ამრიგად, როგორც ფიქრობენ დუხჭირნი ამა სოფლისანნი, შეასრულეს მათ თავიანთი მოვალეობა.

ბოროტი მოვლენა თითქოს თანდაყოლილი აქვს კაცობრიობას, მაგრამ საუკუნის შვილნი კაცობრიობისა, მუდამ ებრძოდნენ ამ ბოროტ ძალას დამყარებულს უვი-

ცობაზე, გაუნათლებლობაზე. ერთი უკეთეს მებრძოლთაგანი სიბნელის წინააღმდეგი იყო თვით ილია. ჩვენი სიბნელის მიზეზი არ არის ერთი ან ორი... იგი მრავალია. ამიტომ ჩვენ ყველას, მეტადრე თქვენ, ჩვენო ახალგაზრდობავ, მომავალო ჩვენო იმედო და ნუგეშო, გმართებს აღჭურვა ჭეშმარიტის იარაღით საბრძოლველად ყოვლის ბნელის მოვლენის წინააღმდეგ. მერმე იცით რა იარაღია ეს? ეს არის ცოდნა, ჭეშმარიტი მეცნიერება. შეთვისება ჭეშმარიტი სწავლისა, მეცნიერებისა სინათლეა და, როგორც ვიცით, სინათლის წინაშე ქრება ყოველი სიბნელე: „ნათელი იგი ბნელსა შინა ჰსჩანს და ბნელი იგი ვერ უზამს რას“ (იოანე 1,5).

თვით ილია მუდამ ამ იარაღის შეძენას გვიქადაგებდა ჩვენ და თავის მაგალითითაც გვიჩვენა ეს. დრო, შრომა და ტანჯვა არ დაუზოგავს განსვენებულს ილიას ამ იარაღის შეძენისათვის. თქვენც, ჭაბუკნო, ნუ დაზოგავთ თქვენს სულიერსა და ხორციელს ძალას, შეიმეცნეთ ჭეშმარიტი სწავლა, გაავრცელეთ განათლება თქვენს მოძმეთა შორის და მერწმუნეთ, ჩვენს ცხოვრებაში აღარ ექნება ადგილი ამნაირ საზიზღარ მოვლენას. ამით თქვენ აღასრულებთ ილიას ანდერძსაც და თუკი ეს ასე მოხდება, მაშინ სიკვდილი ილიასი სიცოცხლის განახლების მომასწავებლად შეიქმნება. და მუდამ სულგრძელი ილია გვაპატიებს ამ საშინელ ბოროტმოქმედებას, მის უღმერთოდ ჩვენის ხელით მოწყვეტას. მაშინ სურათი შეიცვლება და ტირილის მაგიერ მხიარულება წარმოიშობა ჩვენის გულიდგან და მაშინ თვით სულმნათი ილიაც შეგვავედრებს მამა ზეციერს:

„ღმერთო, ღმერთო!
გთხოვთ, მიწყალო, შემიბრალო,
რაც გადამხდა, განკითხვის დღეს
მადლად მე არ ჩამითვალო.
მე არ გთხოვ, – მანდ წამება
აქ წამებით შემიმცირო,
მე გთხოვ, – სისხლი აქ დაღვრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სხვისთვის შეიწირო.
ღმერთო, ღმერთო!..
თვალწინ მიდგა
დიდტანჯული მე ძე შენი...
ვით ძით ყველა, ესეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი".
დეკანოზი ა. თოთიბაძე"[18].

დიდი პატივი მიაგო ილიას თავისმა მშობლიურმა კუთხემ – კახეთმა. თელავის მიძინების ტაძარში პანაშვიდის გადახდის შემდეგ, მეტად საინტერესო სიტყვა წარმოთქვა, სოფელ კურდღელაურის მიძინების ეკლესიის მღვდელმა დიმიტრი დეკანოზოვმა (დეკანოზიშვილი).

„სიტყვა თქმული თელავის საკრებულო ტაძარში, ილიას მოკვლის გამო.

ძმანო ქრისტიანენო! შვილთა ურჯულოებისათა სისხლით ჩააქრეს ღადღადა ლამპარი მანათობელი ჩვენი შავ-ბნელი ცხოვრებისა. მოკლეს ილია ჭავჭავაძე, დიდებული მამა ქართველთა, მოციქულთა სწორი მოძღვარი, ჩვენი ჭირის და ლხინის თავის უბე-კალთაში მატარებელი.

ილიას მკვლელთ მარტო იგი არ დააზიანეს, ილიას გულში გავლილმა ტყვიებმა შორს უწიეს, დიდი მანძილი განვლეს და მოხვდნენ ქართველის შვილთ დაწყებული შავი ზღვიდგან, ვიდრე კასპიის ზღვამდე. მათ განგმირეს თვითეული ქართველის გული, ღრმა ჭრილობა დააჩნიეს, მწველი ცეცხლი მოუდეს, ამის გამო მოისმის კვნესა და გოდება ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდამ. ამისათვის იბდღვნის ქართველი თმა-წვერს, იღადრის ლოყებს, გულზე მჯიღს იცემს და ეძიებს ილიას მკვლელებს.

ვინ მოჰკლა ილია? ვინ შეაგინა, დაასახიჩრა სათაყვანებელი გვამი? ვისთან რა დანაშაულობა ჰქონდა ამ ღვთის კაცს? ნუთუ ესოდენ დიდი იყო ილიას დანაშაულობა ვისთანმე, რომ ნახევარი საუკუნის დაუღალავმა ღვაწლმაც, სამშობლოს ასაყვავებლად გაწეულმა მის მიერ, ვერ გამოისყიდა 70 წლის რამდენიმეღა დაშთენილნი

დღენი?

თუ ყაჩაღებმა მოკლეს ილია, ისეთი რა ყაჩაღები იყვნენ, რომ „კაკო ყაჩაღი“ არ ნაეკითხოთ და მასში გამოთქმულმა მჩაგვრელთადმი უფლის წყრომამ ხელი არ დაუდუნათ, დაჩაგრულთა მოსარჩლის, ილიას მოსაკლავად აღმართული.

ან იქნებ ილია გლეხებმა მოკლეს? მაგრამ ისეთი რა გლეხები იყვნენ გიორგისა არაფერი ეცხოთ, ოთარაანთ ქვრივის შვილისა? ან კი რას ემართლებოდნენ? განა ილია მფარველი ანგელოზი არ იყო; სხვას ვის უყვარდა გლეხი ისე, როგორც ილიას? სხვამ ვინ გამოსთქვა გლეხის ჭირი და მწუხარება ილიაზედ მჭერ-მეტყველად? არა, გლეხი ილიას ვერ მოკლავდა! ვის მოუკლავს თავისი მოსიყვარულე მამა?

ან იქნებ ილიას მკვლელნი ნასწავლები იყვნენ? მომავალ ბედნიერებას, უკეთეს მერმისს შესწირეს ილიას სიცოცხლე მსხვერპლად? ჭეშმარიტი ნასწავლი ძლიერ შორს არის მკვლელობიდან, უბრალო შურისა და მტრობიდანაც კი. ჭეშმარიტი ნასწავლები, არჩილთან და კესოსთან ერთად სტირიან წოდებათა შორის ჩატეხილს ხიდზე. ისინი ცდილობენ ერთობისა და სიყვარულის ხიდი გადონ მათ შორის, არამც თუ მტრობა სთესონ და სისხლი ღვარონ.

შეიძლება ილიას მკვლელნი სამღვდელოთაგანნი იყვნენ? თვალს ეკლად სჩხვლეტდეთ მათ ილიასაგან დახატული ექვთიმე მღვდელი და განდეგილი? რადგანაც იგინი ცოცხალი საყვედურნი არიან მათი დღევანდელი დავრდომილი და თავის მაღალ დაუსაბამო ცხოვრებისა? თუ ასეა, სად გაექცევიან იგინი სვინდისის მხილებას? რატომ თვალწინ არ უდგიათ თმა-გაწეწილი განდეგილი, მყინვარის დაბლა ხევ-ხუვში მსბოლვარე, სიკვდილის ფერი რომ გადასდებია?

ან იქნებ, თავადაზნაურნი იყვნენ ილიას მკვლელნი? უწინდელი შური რომ იძიეს, რადგან ილიამ იგინი სამარცხვინო ბოძზედ მიაკრა თავის თხზულება „კაცია-

ადამიანში“. არა, თუკი მათ ილიას მოკვლა მაშინაც ვერ გაბედეს, როცა ჯერ კიდევ ლეკების სისხლში ჰქონდათ ხელი შესვრილი და ძალ-ღონე შესწევდათ, დღეს როგორ გაბედავენ, როდესაც ასე დაეცნენ და სიქა გამოელიათ.

მაშ, ვინ არიან ილიას მკვლელნი? ნუთუ ვერასოდეს ვერ გავიგებთ? ნუთუ შერჩებათ მათ ილიას სისხლი და ჩვენი ესოდენი შეურაცხყოფა და თავზედ ლაფის დასხმა?

ღვთის სულიერნო შვილნო! ებრაელებს ძველად ასეთი წესი ჰქონდათ: როდესაც სადმე მოკლულ კაცს იპოვიდნენ და მკვლელებს ვერ აღმოაჩენდნენ, შეიკრიბებოდნენ იმ არემარის მცხოვრებნი და თვითეულად ფიცს მიიღებდნენ მიცვალებულის გვამზედ, რომ არ ერიენ მის სისხლში. ჩვენც ასე მოვიქცეთ, წარვსდგეთ გონებით ილიას დასისხლიანებულს გვამთან და შევფიცოთ, რომ უბრალონი ვართ მისის სისხლისაგან. ეს ემჯობინება უბრალოდ ცრემლის ღვრას. ამით ჩვენს ერთგულებას და მამობრივ სიყვარულს მაინც დავუმტკიცებთ ჩვენს მგოსანს, თუ მის მკვლელებს ვერ აღმოვაჩენთ.

მაგრამ თქვენ ბრძანებთ: რა გვაქვს ჩვენ დასაფიცი, ილია ოთხმა შეიარაღებულმა მოკლა და არა ჩვენ, რა გვაქვს ჩვენ საერთო იმ იუდეებთან და კაენებთანაო?

მაშ, ნება მიბოძეთ, გკითხოთ: საიდან გაჩნდნენ ილიას მკვლელნი? მიწიდგან ამოძვრნენ თუ ციდგან ჩამოცვივდნენ? ესენი ჩვენში არ დაიბადნენ, აღიზარდნენ და განისწავლნენ, ესენი იმ ნივთიერი და ზნეობრივი საზრდოთი არ იკვებებოდნენ, რომელსაც ჩვენ, ჩვენი საზოგადოება აწვდიდა? მაგრამ რას ვამბობ? იმათ ჩვენ ნივთიერს და სულიერს საზრდოს კი არ ვაწვდიდით, პირიქით, ვძარცვავდით, თუ რამ ებადათ საცხოვრებლად. ჩვენ მათ პურის მაგიერ ქვა მივეცით; თევზის მაგიერ გველი. წავართვით მათ ყოველივე სიცოცხლის მასულდგმულებელი და მასაზრდოებელი ძალები, ნივთიერი და ზნეობრივი, რითაც კაცი კაცობს და ღმერთს ევედრება.

ეს რომ ასეა, ამაზე მოვისმინოთ თვით ჩვენი დიდებული მგოსნის სიტყვები, რომელსაც ეუბნება მკვლელს ყაჩაღის პირით, თავის მოთხრობაში „სახრჩობელაზედ“: „ჩვენი ცოდვა ყველას გადევთ კისერზედ. მარტო მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვცარცვეთ... ყველამ მოგვიღეთ ბოლო. ყველანი ხედავდით, რომ თვალ-ცხადად გვცარცვადნენ, არავინ მოგვეშველენით, ხმა არავინ ამოიღეთ. მძულს ქვეყანა და ნამეტნავად ადამიანები. ჩემსა და თქვენ შუა ხიდი ჩავტეხე. მე აქეთ ნაპირას გამოვირიყე მარტო, თქვენ იქით დარჩით მრავალნი. მშვიდობით! თუ როდესმე ჩემი ნახვა მოინდომო, მოდი სახრჩობელაზედ და აქ მნახავთ ჩემ ჩამოხრჩობილ ძმასთან ერთად... ჩემი ბოლო ეს არის... განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემი დამღუპველი მამინაცვლისა? განა შენ კი არ გამცარცვე? შენ კი არ დამიხრჩე ჩემი ერთადერთი საყვარელი ძმა? მეც შენ არ მიგყევარ სახრჩობელისკენ?“ დღეს უფრო მეტს მეტყველებენ ილიას დადუმებული ბაგენი. ისინი გეუბნებიან თვითოეულს ჩვენგანს: „განა შენ კი არ ურევიხარ ჩემს სისხლში? შენ კი არ მტყორცნე გულში ცხელი ტყვიები? შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემი მკვლელისა?“

ეხლაც ვიტყვით, ილიას მკვლელებთან საერთო საქმე არა გვაქვს რაო? მისი სისხლიდგან უბრალონი ვართო! როგორც მოკლულის სისხლი, ისე მკვლელის ცოდო ჩვენც გვადევს კისერზედ, ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, მაგრამ ყველას კი.

მართლადაც, ჩვენში არ ითესება თესლი მტრობისა, შეურიგებლობისა და სიძულვილისა, წოდებათა და მდგომარეობათა შორის? გლეხსა და თავადში, მღვდელსა და მრევლში, პატრონსა და მუშაში, მოსწავლესა და მასწავლებელში, თითქმის ცოლ-ქმართა და მამა-შვილშიაც კი? რა არის ეს, თუ არა მკვლელობის ხელის მომართვა?

განა გულწრფელად ვყვირით მაღალ სიტყვებს – ძმობა-ერთობისას, პიროვნების ხელშეუხებლობას, სიკ-

ვდილით სასჯელის გაუქმებას, თუ ის სიკეთენი გვემეტება და გვენატრება არა ადამიანისათვის საზოგადოდ, არამედ მარტო ჩვენთვის და ჩვენიანებისათვის? თუ ესე არ არის და ყველა ძმად მიგვაჩნია, რაღად იღვრება ჩვენს გარშემო ეს ამოდენი რუი სისხლისა?

ჩვენ არ უნგრევთ საძირკველს ადამიანის სიცოცხლეს, როდესაც უარს ვყოფთ ღმერთს ქვეყნის გამგეს, სიცოცხლის ერთადერთ პატრონსა და მომცემს, ჩვენ არ ვუსპობთ სიცოცხლეს ერთადერთ მის აზრის მომცემს – გონებრივს და ზნეობრივს საფუძველს, როდესაც უარს ვყოფთ ცოდო-მადლს, სულს, საიქიოს, შებრალებას, ნამუსს, ნათესაობას, ეროვნებას, ენას, ისტორიას და ყველა იმას, რაც მუცელში არ ჩაიდება და ტანთ არ ჩაიცმის, ხოლო ურომლისოდაც ადამიანი პირუტყვდება, სიცოცხლეს აზრი ეკარგება, ფასი ეცემა?!

მათს გარდა რაღა რჩება სიცოცხლეს საწაღმართო? რჩება გაუმაძღრობა, ქიშპობა და შეურიგებელი ბრძოლა, რჩება ძალმომრეობა, შური, მტრობა და სისხლის ღვრა. რჩებიან საუკუღმართო ძალნი, არა აღმშენებელნი და შესამწენი სიცოცხლისა, არამედ მისი დამაქცეველნი და მომსპობელნი. საზოგადოების ასეთი ზნეობრივი ვითარებითგან სხვა რა კეთილი წარმოსდგება, თუ არა შემწეობა და დახმარება სიკვდილისა? და აკი კიდეც ეკაფება გზა სიკვდილს. დავრევივართ ერთმანეთს და ვულტეთ ვინც ვის მოვერევით... ისე აგვბმია თვალები, ისე დაგვშხობია სვინდისი, რომ საუკეთესო მამულიშვილებსაც არ ვზოგავთ. უღვთოთ ვხოცავთ ერთმანეთს. თუ არა ღვთისწყრომით, სხვით რით აიხსნება ჩიტაძეებისა, ხიზანოვებისა, ვოლსკებისა, ხუდადოვებისა და ილიეების ხოცვა? ცოდვა გაგვიმრავლდა, ლამის სისხლმა წაგვლეკოს. მტრობა, ბრძოლა და სისხლის ღვრა ბედნიერებას ვერ მოგვიტანს, უკეთეს მერმის ვერ შეგვიქმნის. „არა მოჰკრიფიან ყურძენი ეკალთაგან“. მსგავსი მსგავსს შობს. მტრობა ერთმანეთს ამოწყვეტს და გადაშენებას მოგვიტანს. თუ ხალხის სამსახური გვინდა,

სულ სხვა გზას უნდა დავადგეთ. არა მტრობისას, არამედ სიყვარულისას. ტყუილად კი არ დასწერა სულმნათმა ილიამ: „ყოველთვის ასე ყოფილა: ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“.

მაშ, შევიგნოთ, რომ გადაშენების გზაზედ ვდგევართ და არა აშენებისაზედ. შევიგნოთ, რომ ერთმანეთის ცოდვაში ვდგებით, ერთმანეთს ვლუპავთ სულითა და ხორცითაც. ისე ყოველი დაღვრილი ადამიანის სისხლი ჩვენც გვედება კისერზედ. შევიგნოთ, რომ ჩვენი ხელით მოვკალით ჩვენი სათაყვანებელი მამა და მოძღვარი. შევიგნოთ, რომ ჩვენ თვითონ დავისხით თავზედ ლაფი და შევარცხვინეთ ქართველი ერის სახელი. შევიგნოთ, შევისმინოთ, ვიგლოვოთ და ვიტიროთ. ვიგლოვოთ არა მარტო ილია, არამედ და უფრო კიდევ ჩვენი სიბრმავე, ცოდვანი და დანაშაულობანი წინაშე ღვთისსა და კაცთა წინაშე ჩვენ მიერ შეგინებულის და დასახიჩრებულის ილიას გვამისა.

დღეს მის გვამს, მრავალტანჯულს და გაწამებულს შავ მიწას მიაბარებენ, იქ, სადაც განისვენებს მასავით წამებული დიმიტრი ყიფიანი და სხვანი კაცთ სიავით დახოცილნი. დღეს იქ იღვრის მდინარე ცრემლთა. ჩვენც ვიგლოვთ და ვტირით. დეე, ჩვენი ცრემლიც მიემატოს საქართველოს სხვა შვილებთა ცრემლს. ჩვენ, კახელებს, უფრო მეტი გვმართებს მწუხარება და გლოვა. ის იყო ჩვენი მშვენიერი კახეთის სახელოვანი შვილი, ჩვენში დაბადებული და აღზრდილი. ვიტიროთ, ცრემლიც ვღვაროთ. ილიას ახარებს ეს ცრემლი, რადგან ამეებით განიბანება სული და გული ჩვენი ცოდვათა და ურჯულოებათაგან, შურისა, მტრობისა და ყოვლის ბოროტისაგან. ილიას დაატკბობს ეს ცრემლები. მას სჯერა, რომ ესეთი ცრემლები უკან სწვავს და სპობს ყველა იმას, რაც ეღობება კაცთა ერთმანეთთან დაახლოებას. ილია დარწმუნებულია, რომ ცრემლთა მდინარი, ქართველების თვალთაგან დღეს გარდმოდენილი მოიტანს ტივებს და გაიდე-

ბა ხიდი კაცთაგან ვიდრე კაცამდე... და დაამყარებს მათ შორის ძმობას, ერთობას და სიყვარულს, რაცა მოგვმადლის ჩვენ ღმერთი. ამინ. ამინ.

მღვდელი კურდღელაურის მიძინების ეკლესიისა დიმიტრი დეკანოზოვი. 1907 წელი"[19].

1907 წლის 6 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის დამკრძალავ კომისიას საჩხერიდან მღვდელმა სერგი მაჭარაშვილმა გაუგზავნა მრევლის წინაშე წარმოთქმული სიტყვა:

„ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული სიკვდილის გამო

დაობლებულო საქართველოვ!

ღრმა მწუხარებით მოგისამძიმებრ და შენთან ერთად მწარედ ვსტირი შენი სასიქადულო შვილის ტრაგიკულად და უდროვოდ დაკარგვას.

დაგვიბნელდა საქართველოს მზე, დავჰკარგეთ დიდებული მწერალი, ფასდაუდებელი მგოსანი, ჩვენი მოამაგე და მოჭირნახულე, ჩვენი ენის ამომდგმელი და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ერის დიდება ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე; დავკარგეთ, მაგრამ როგორ შერცხვენილად დავკარგეთ! ნაცვლად იმისა, რომ მისი დიდი ამაგი და მოღვაწეობა სიცოცხლეშივე ქება-დიდებითა, მადლობითა და გვირგვინებით შეგვემკო, მისი გრძნობითა და აზრებით გამშვენებული შუბლი განგმირულ იქმნა ლახვრითა და ცხელი ტყვიებით. ვაი, ჩვენს შესწრებას, ვაი, ჩვენს სირცხვილს! რა პასუხი მივცეთ ღმერთს, სინდისს, ჩვენს წინაპრებსა და მომავალს, უკეთუ ილიას ძვირფასს სიცოცხლეს, მახვილითა და ტყვიებით ქართველის ხელი შეეხო და გამოასალმა იგი წუთისოფელს! სტიროდე ქართლის დედავ, რომ შენი საუკეთესო შვილი შეუბრალებლად გამოგაცალეს ხელიდან; ვსტიროდეთ ყველანი, ქართველო ერო აუნაზღველი დანაკლისის გამო, ვსტიროდეთ მხოლოდ, ჩვენს ცრემლსა და მწუხარებას მხნეობა შევუერთოთ და ვეცადოთ, რომ ილიას ნაანდერძევი საქმედ ვაქციოთ, რისთვისაც მღვდელმა და ერმა, ქალმა თუ კაცმა, ნასწავლმა თუ უსწავლელმა ჩვე-

ნი წვლილი შევიტანოთ და საერთო ფონდი შევქმნათ, მისი თხზულებები და საერთოდ ქართული ლიტერატურა ხალხში გავავრცელოთ. მის სახელზე სტიპენდიები დავაარსოთ სწავლა-განათლების გასავრცელებლად და მით ჩვენი თავიც ვანუგეშოთ. მისი სული გავახაროთ და მისი დიდებული სახელი უფრო უკვდავი ვყოთ სამარადისოდ. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, ღირსო ნეტარებისაო, ჩვენო მამა და პატრონო, საქართველოს სახელოვანო შვილო ილიავ!

მღვდელი სერგი მაჭარაშვილი"[20].

1907 წლის 6 სექტემბერს პანაშვიდის გადახდის შემდეგ ჭიათურის რკინიგზის სადგურზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდა მღვდელი ბესარიონ ვაშაძე:

„არა მოვკვდე, არამედ ვსცხონდე და განვსთქვნე
მე საქმენი უფლისანი" (ფსალმუნი).

დღეს კეთილმორწმუნე ქართველი ერი ღრმად მწუხარეა და მწარედ გლოვს თავისს სიყვარულს და სახელოვანს დიდებულ პოეტს, ნიჭიერ პუბლიცისტს და საუკეთესო საზოგადო მოღვაწეს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს.

დღეს მთელი საქართველო აღშფოთებული და შეურაცხყოფილია იმ ბოროტქმედებით, რომლითაც მოუსპეს სიცოცხლე უძვირფასეს მამულისშვილს, დღეს ჩვენს საერთო მწუხარებაში თანამონაწილეა არა მარტო ქართველი ერი, არამედ ის შეგნებული საზოგადოებაც, ის გარეშე ხალხოსნები, ვინც კი ილიას დიად მოღვაწეობას და ფართო ნიჭს იცნობდა და თაყვანს სცემდა.

დღეს მთელი საქართველო ზიზღსა და სიძულვილს უცხადებს ილიას მკვლელებს იმიტომ, რომ ილიას მკვლელები ქართველი ერის მკვლელები და მოღალატეები არიან. ილიას სიკვდილით ჩვენ ქართველების ეროვნული თავმოყვარეობა და სიამაყე სამუდამოდ შეილახა, შებღალულია და ფეხქვეშ გათელილია ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ. დღეს ილიას სიკვდილით მთელი

ქართული ლიტერატურა უნუგეშოდ დაობლდა.

ვინ იყო ილია ჭავჭავაძე?! ილიას გაცნობა აღარავისთვის საჭირო აღარ არის, რადგანაც საქართველოს დიდებულ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს მთელი შეგნებული ქვეყანა იცნობდა, მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც მოგახსენებთ:

ილია ჭავჭავაძე იყო მესამოცე წლების ნიჭიერი პოეტი, დიდი ნიჭიერი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. ილიამ მესამოცე წლებში შექმნა ახალი ხანა, ახალი ლიტერატურა, დაგვიარსა იმ დროს სალიტერატურო დაწესებულებანი. ილიამ პირველად გაკაფა ეკლიანი გზა ახალი ლიტერატურისა და ფართო გზა საზოგადო მოღვაწეობისა. ილია ენერგიულად ემსახურა სამშობლო ლიტერატურას თითქმის ნახევარი საუკუნე. ილია ჯერ კიდევ ახალგაზრდა სტუდენტი იყო, როდესაც მან შეადგინა პატარა ჯგუფი ქართველი ნასწავლი ყმაწვილებისა, თუმცა მესამოცე წლებში არათუ უმაღლესი ნასწავლნი, საშუალოდ განათლებულნიც კი ცოტანი გვყავდენ და იმ ჯგუფს ქართველებისას და სხვა მრავალ ახალგაზრდა ქართველებს მან აღუძრა გულში სამშობლოს სიყვარული, სიყვარული პოეზიისა, სიყვარული საზოგადო მოღვაწეობისა და მშობლიური ენისა; ილიამ ზედიზედ და ზედმიწევნით გამოსცა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჟურნალები და გაზეთები. შექმნა თავისი გონიერი და უკვდავი თხზულებები და სხვა... ილიამ პირველად იწინასწარმეტყველა მესამოცე წლებში ბედკრული გლეხების განთავისუფლების იდეა და კიდეც შესრულდა; ილია ყოველთვის გაბედულად და უშიშრად იცავდა სამშობლო ქვეყნის ინტერესებს და მშობლიურ ენას; ილია იყო ღრმა მცოდნე ქართული ენისა; არცერთ პოეტს საქართველოში არ გამოუხატავს თავის ლექსებში მამულის სიყვარული და სამშობლო ენის ტრფიალება, როგორც ილიას. კიდევ გადავიკითხოთ მისი ლექსები, მისი ნაწარმოებები, მისი თხზულებები, ისტორიული გამოკვლევა და მისი პოლემიკური წერილები და უფრო დავრწმუნდებით, თუ

როგორი მაღალი ტალანტის მქონე კაცი დაჰკარგა საქართველომ. მოკლეს 70 წლის დაღალული, დაქანცული მოხუცი ილია, მაგრამ მისი სახელი, მისი დიდება და დიადი ნიჭი და ხსოვნა საქართველოს გულში არ მოკვდება იმ დრომდის, სანამდისაც ქართველები ჭეშმარიტ ქართველებად დარჩებიან.

არა მაქვს ეჭვი, რომ თვით ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი ქალწული მარიამი, რომლის წილხდომილი ბედკრული საქართველოა, სასტიკ პასუხს მოსთხოვს ილიას მკვლელებს, რადგანაც მისს წილხდომილ ქვეყანას მახვილით მოსტაცეს საუკეთესო შვილი. ჩვენ, ქართველებს, ღმერთმა მოგვცეს ნუგეში და მოთმინება ჩვენს საერთო მწუხარებაში, საქართველოს მანათობელს დაკარგულს ილიას – საუკუნოდ სასუფეველი და ხსოვნა და ილიას მკვლელებს კი საუკუნოდ მოუბანელი ჩირქი, საუკუნოდ ზიზღი და საშიშარი პასუხისგება"[21].

ილიას დაკრძალვის დღეს, 9 სექტემბერს დაბა ცაგერში გარდაცვლილისადმი მიძღვნილ პანაშვიდზე სიტყვა წარმოთქვა მღვდელმა მ. მარგიანმა:

„დღეს დედაქალაქ თბილისში აბარებენ მიწას გვამს დიდებულის მგოსნის და წარჩინებულის საზოგადო მოღვაწისა, თავად ილია ჭავჭავაძისა... დღეს სამუდამოდ დაიფარავს ლოდითა გვამი „განდეგილის" ავტორს. დღეიდან ვეღარ ვნახავთ ლმობიერ სახეს „კაცია ადამიანის" დამწერისას, დღეს...

ანბანიდან დაწყებული ქართველი ბავშვის გონება იზრდებოდა, იფურჩქნებოდა ილიას მშვენიერი ლექსებისა და მოთხრობათა ზეგავლენით, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრების ნამდვილნი გამომხატველნი არიან, რომელიც ქართველი ხალხის სულისკვეთებას მოგვითხრობენ. ვერც ერთ ნასწავლ ქართველს ვერ ნახავთ, რომ ილიას ნაწერებიდგან არ მიეღოს გონებრივი საზრდო. მისმა კალამმა და უნარმა რამდენიმე წლის განმავლობაში აძლია ქართველ საზოგადოებას გაზეთის საშუალებით სულიერი საზრდო.

მაგრამ მარტო ამით არ არის საქებელი ნეტარხსენებული ილია, არც ერთი საზოგადო დაწესებულება ჩვენში ისე არ გაჩენილა, რომ ილია არ ყოფილიყოს მისი სული და გული. ყოველივე კეთილ საზოგადო საქმეს ის უდგა სათავეში და ამიტომ იყო, რომ მისს ხელში ყოველივე საქმე ხეირობდა, მიზანს აღწევდა და მით ნაყოფი მოჰქონდა.

მაგრამ დახეთ კაცის ვერაგობასა და სიმდაბლეს! ამ დიდებულს პირს, ხალხის მგოსანს, ხალხის მოკეთეს და გენიოსს სიცოცხლე მოუსპო უკუღმართმა ხელმა ისევ ქართველი კაცისა! ძნელად დასაჯერებელია, რომ ასეთი მხეცობა ჩადენილიყოს ქართველთაგან, მაგრამ ვაი, რომ ეს ასეა ჯერ-ჯერობით. წყევლა-კრულვა იმ ხელს, რომელმაც გაბედა ილიაზედ ხელის აწევა! ზიზღი იმ პირთ, რომელთაც სიცოცხლე მოუსპეს დიდებულს პოეტს! სირცხვილი იმ წრეს საზოგადოებისას, სადაც აღიზარდნენ იმისთანა ველურნი პირნი, რომელთაც შეჰბედეს გენიოსის სიკვდილი! დამცირება საშვილიშვილოდ იმ საზოგადოებას, რომელიც ადვილად გადაიტანს ილიას სიკვდილს და მის მკვლელებს ჯეროვანი სასჯელი არ მისცეს.

მოკვდა ილია მხოლოდ ხორციელად, მაგრამ იგი კიდევ იცოცხლებს ჩვენს შორის: მისი ნიჭი, მისი ნაშრომი კიდევ დიდხანს წინაღუდგება ლამპრად ქართველ საზოგადოებას.

დიდება შენს სახელს, ილიავ! თაყვანისცემა შენს ნიჭს, ქართველო პოეტო.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ღირსო ნეტარების, დიდებულო მგოსანო ილიავ!

9 სექტემბერი, 1907წ. დ. ცაგერი"[22].

ილიას მკვლელობით გამოწვეული აღშფოთება ქალაქ ყარსის ქართველობამ დამკრძალავი კომისიის სახელზე გაგზავნილი დეპეშით გამოხატა: „ყარსელი ქართველები ღრმად აღშფოთებული ვართ იმ ბოროტმოქმედებით, რომელმაც უღვთოდ შესწყვიტა ჩვენის ერისთ-

ვის ძვირფასი სიცოცხლე“[23].

გარდაცვლილის პატივსაცემად ყარსში მცხოვრები ქართველები 9 სექტემბერს შეიკრიბნენ ქალაქის სამხედრო ტაძარში. პანაშვიდის შემდეგ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა მღვდელმა ზაქარია ლუკაშვილმა:

„ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა“.

დიდებული დროშა იყო აფრიალებული, ძვირფასო ქართველნო, მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში!..

დიდებულს მამულიშვილს, ქვეყნის ღირსეულ შვილს უბრწყინავდა ვაჟკაცურ მარჯვენაში ეს დროშა, რომელიც მთელ საქართველოს ერს უნათებდა სავალ გზას და მასთან უთრთოლებდა ქართველს გულს სიკეთისათვის საბრძოლველად.

ეს დიდებული დროშა მაშინ ააფრიალა დევგმირის მარჯვენამ, როდესაც საქართველოს მაჯა თითქოს აღარც კი სცემდა მეტისმეტი სისუსტის გამო.

ეს დროშა გულადმა ქართველმა მაშინ ააფრიალა, როდესაც გული ქართლისა ოდნავღა ფეთქდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც ქვეყნის უდაბნოდ გადაქცევა, მისი თითქოს საუკუნო ძილი სიცოცხლეს უწამლავდა ამ მედროშე მამულიშვილს.

ეს მაშინ იყო, როდესაც ამ ბელადის წყლული და თითქმის უიმედობით აღსავსე გულიდან აღმოხდა შემდეგი ნაღვლიანი და მწარე სიტყვები:

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი,
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!..
ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...

ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი!
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!"

ეს დიდებული დროშა დიდებულმა მგოსანმა მაშინ ააფრიალა, როდესაც იგი, გულდამწვარი ქვეყნის უმოძრაობით, მისი უგრძნობლობით, „უკაცობით", გულსაკლავად მოსთქვამდა:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვსცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას, მე ყურს ვუგდებ
სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდება.
დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს
გულში,
და მე არ ვჩივი, – მიხარიან, რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენ სიყვარულში.
მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო!.."

ეს მაშინ იყო საყვარელნო!..

მაგრამ განვლო დრომ და ამ დიდებულმა მედროშემ რა გააკეთა? ახლა რას ვხედავთ?

მთელი საქართველოს ერი გამოღვიძებული, მის მიერ გამოფხიზლებული, კიდით კიდემდე ერთიმეორეს ხმას აძლევს და ამ უდიდეს ქართველის კუბოს წინ მუხლმოდრეკით და ულრმეს მწუხარების გრძნობით გულდათუთქული ეთხოვება თავის ბრწყინვალე მედროშეს, თავის აღმზრდელს, თავის მოძღვარს, თავის მხცოვან ბელადს, თავის სათაყვანებელ ილიას, თავის ეროვნულ სიამაყეს.

აუსრულდა საყვარულნო, მთლად აუსრულდა ჩვენს ძვირფას მგოსანს ის, რასაც მთელი ნახევარი საუკუნე ნატრობდა ძილშიც და ცხადივაც! აუსრულდა ის, რასაც მთელი თავისი სიცოცხლე ეტრფოდა! აუსრულდა ის, რა-

ზედაც შეუდრკელად და თავგანწირვით შრომობდა ლომი ქართლისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი აღარაა ეხლა „მარტოკა“.

„დიდის ღმერთის საკურთხევლის ცეცხლი მისთვის ულვიოდა გულში“, რომ თავის ქვეყნისათვის ეწინამძღვრა, ეს „ცეცხლი“ მისთვისაც გადაეცა და აღენთო მისი გული მამულისადმი სიყვარულით და შეეტანა მასში ეროვნული თვითშეგნების სხივი.

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი“, გულდაწყვეტით მოთქვამდა მაშინ მგოსანი და ... მართალიც იყო!..

მაგრამ ეხლა?

ეხლა საიდგანღა არაა – ეს მითხარით – „ხმა“?

ეხლა საიდგანღა არაა „ძახილი“?

მთელი ერი „ერთხმად“ გადააქცია ილიას ღვთაებრივმა ნიჭმა, სიყვარულმა და დაუღალავმა ღვაწლმა.

დიდბუნებოვანმა ქართველმა ერთის გრძნობით და ერთის აზრით განმსჭვალა სამშობლოს გული და გონება – ერთ დროს მიდუნებულ-მიმქრალი!

დიდი და დიდებულია, საყვარელნო, ის წამი, როდესაც მთელი ერის გული გაიხსნება და ერთნაირის გრძნობით დაიწყებს ძგერას.

ვაი, მისი ბრალი, ვის წინააღმდეგაც ერის ასეთი გულის ძგერა გულის წყრომად იქცევა! და ნეტარება იმას, იმ ბედნიერ ადამიანს, ვისდამიც ეს საყოველთაო გულის ძგერა სიყვარულის გამომხატველია?

ტყუილად კი არაა ნათქვამი – ხმა ღვთისა და ხმა ერისაო. ამისთანა ბედნიერი ადამიანის დაფასება სწორედ გულწრფელი და სრულია, როდესაც ერის გული ამ ადამიანის გულს იცნობს, აამაღლებს მას და ამით თვით ამაღლდება.

აი, საყვარელნო, ამ საერთო ეროვნული გულის ამამოძრავებლად, ქართველი ერის თვითცნობიერების შემქმნელ-აღმზრდელად, მისი თვალამხელად, მისი კეთილ მოძღვრად და ლომ-წინამძღვრად მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში იყო ჩვენი უდიდესი ქართველი,

ჩვენი დიდი ილია.

მისი დიადი ნიჭი, ზეგარდმო მადლით ცხებული, მისი აუარებელი ღვაწლი და დაუცხრომელი შრომა-ჯალმოთაც და საქმითაც, მისი თავდადებული, გმირული მამულიშვილობა, ღვთაებრივი ცეცხლით ანთებული და გაბრწყინებული, იყო საჭირო, საყვარელნო, რომ ჩვენი ერი გონს მოსულიყო და მის „ქართულ" გრძნობას და აზრს ფეხი მოეკიდებია კულტურულ გზაზე მშვიდობიანად სავლელად.

ამისთანა მოჭირნახულეს, ამისთანა ნაამაგდარს დღეს საუკუნოდ ესალმება, ეთხოვება, ემშვიდობება ძაძებში შემოსილი სამშობლო.

დარწმუნებული ვარ, ყარსის ჩემო ქართველო სამწყსოვ, რომ ყველა ჩვენგანიც თანამოაზიარეა ამ საერთო გლოვა-მწუხარებისა და მე აღარ მინდა ეს თქვენი მწუხარება გავაორკეცო იმ „ბარბაროსობის" მოგონებით, რომლის მსხვერპლიც გახდა „დიდება ჩვენის ერისა", არ მინდა გაგახსენოთ ეს საშინელება, რადგან ამ წმიდა ტაძარში ჩვენ შევიკრიბენით არა ვისიმე გასასამართლებლად და წყევლა-კრულვის მოსასმენად, არამედ მისთვის, რომ სახიერს მამაზეციერს გულმხურვალედ შევავედროთ სული ჩვენგან მიცვალებულისა. ამასთანავე, გაიხსენოთ, საყვარელნო, განსვენებულის დიდსულოვანი და მაღალი ქრისტიანობრივი სიყვარულით აღგზნებული ლოცვა-ვედრება, რომელშია იგი გულწრფელად სთხოვდა ცისა და ქვეყნის შემოქმედს:

„უფალო, მწყურს, რომ განმინათლდეს ცით
ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს
გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა
გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, არა იციან, ღმერთო, რას
იქმან!"

აღვენთოთ ჩვენც, საყვარელნო, ასეთი გულმხურ-

ვალე სიყვარულით და შევთხოვოთ უზენაეს მეუფეს:

ღმერთო დიდო და მაღალო! არა ვინ არს კაცი, რომ სცოცხლობდეს და არა სცოდოს, რამეთუ შენ მხოლოდ ხარ და სხვა არავინ უცხო ყოვლისგან ცოდვისა. გევედრებით, მრავალმოწყალეო ღმერთო, შეისმინე ვედრება ჩვენი და განუსვენე სულსა ერთგულის მოსავისა შენისა ილიასასა, რომელმაც შენგან მინიჭებული ხუთი ქანქარი – ხუთივე ტალანტი – კეთილად, შენდა სადიდებლად და ქვეყნის საბედნიეროდ, მოიხმარა. შეიწირე მისი მოწამებრივი სიკვდილი მსხვერპლად იმისა, თუ მან, ვითარცა ხორციელმა, შეგცოდა და სანატრელსა შინა დაძინებასა საუკუნო განსვენება მიმადლე მას, უფალო, იქ სადაცა არა არს ჭირი, არცა მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიყვარული, სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი!..

მხოლოდ, საყვარელნო, გულმოდგინეთ გევედრებით, ვისაც გვიყვარს განსვენებულის უდიდესი ჩვენი ადამიანის და ნაამაგდარი მამულიშვილის სული, ნუ, ნუ დავჯერდებით მარტო დღევანდელი დღის ლოცვასა და კეთილ ნატვრა-სურვილსა, ვინაიდან ყოველივე ეს თვინიერ საქმეთა – მოგეხსენებათ – მკვდარია და უსარგებლო.

ეს ლოცვა-ვედრება ამ წმიდა ტაძარში, მოდით და დავაგვირგვინოთ თვით კეთილი საქმითაც ილიას სახსოვრად. ჩვეულებად არის უცხო ქვეყნებში და ჩვენშიაც გადმოვიდა და გავრცელდა ის ჩვეულება, რომ მიცვალებულისადმი პატივისცემას და თანაგრძნობას აცხადებენ მის კუბოს გვირგვინების შემკობით. ხშირად აუარებელი ფული იხარჯება ამ სწორედ რომ წარმართულ ჩვეულებაზე და როგორც ჩვენში იტყვიან – არც სულს რგებს, არც ხორცს, ამოდენა ხარჯი.

განსვენებულის სახელის უკვდავსამყოფად შევაგროვოთ ხელის მოწერით ფული, რომელიც შემდეგში, სხვა ფულთან ერთად (მოსალოდნელია, რომ საქართველოში დიდი თანხა შეგროვდება ილიას ფონდისათვის)

მოხმარდება იმ ერის განათლებისა და კეთილდღეობის საქმეს, რომელსაც განსვენებულმა შეალია მთელი თავისი სიცოცხლე.

ყარსის ქართველო სამწყსოვ! 15 წელიწადია გიცნობთ და ამიტომ იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი მოწოდება არ დარჩება „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“, ერთერთი თქვენგანი ითავებს ამ კეთილ საქმეს, ხოლო ყველა ჩვენგანი, დიდი და პატარა, განსვენებულის სულის საოხად და მის სახსოვრად გაიღებს თავის წვლილს, ვისაც რამდენი შეუძლია ილიას ფონდის დასაარსებლად.

მწამს რომ, თუმცა თვალი შორსა გვაქვს, გული მაინც არა გვაქვს შორს ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალზე, რომელსაც თავგანწირვით ემსახურებოდა დიდებული ჩვენი მოძღვარი და ესევე გვიანდერძა ყველა ქართველს.

1907 წლის 9 სექტემბერი, ქ. ყარსი, მღვდელი ზაქარია ლუკაშვილი“.

ილიასადმი მიძღვნილ პანაშვიდს ქართველების გარდა დასწრებია სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ყარსის ციხის კომენდანტი, გარნიზონის ოფიცრობა და სამხედრო სასულიერო პირები. პანაშვიდზე მღვდელ ზაქარია ლუკაშვილს ჯერ ქართულ ენაზე უთქვამს სიტყვა, შემდეგ კი არაქართველებს რუსული ენით მიმართა და მათ მოკლედ გააცნო ილიას დამსახურება ქართველი ერის წინაშე. სიტყვის დასასრულს ზ. ლუკაშვილს მადლობა გადაუხდია მოწვეული სტუმრებისათვის „ყარსის ქართველობის სახელით, რომ მათ ასე ძმურად გაიზიარეს ქართველთა ერის დიდი მწუხარება და წირვა-პანაშვიდზე დასწრების პატივი გვცეს ყარსის ქართველობასაც და მთელ საქართველოს ერსაც“[24].

დაკრძალვის დღეს მთაწმინდაზე განსვენებულს გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა მღვდელმა ნიკოლოზ მაჭარაშვილმა:

„სიტყვა

თქმული ილია ჭავჭავაძის საფლავზე 9 ენკენისთვეს 1907 წელს მის სამარეში ჩასვენების წინ

საქართველოს ძენო და ასულნო!

ჩვენი დიდებული მგოსანი, დაუცხრომელი ნაყოფიერი მოღვაწე და მოჭირნახულე ილია მთაწმინდასა და მამა დავითის ეკლესიას ეწვია. მხოლოდ არა სუფთა მთის ჰაერის შესასუნთქად და დაქანცულის 50 წლის მხნე მოღვაწეობით ჯანის დროებით შესასვენებლად, არა თვისი მეგობრის და ძვირფასის მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის საფლავის სანახავად, ან სახელოვან რუსის მგოსნის ალექსანდრე გრიბოედოვის პატივსაცემლად მის საფლავის წინაშე, არა, არამედ მათთან ერთად სამუდამოდ გასასვენებლად. აი, მისი სამუდამო ბინა, როგორც სჩანს, ამ ჩვენს მრავლის უბედურების მოწმეს მამა დავითის მთის განგებამ არგუნა, რომ თავის წიაღში განუსვენოს საუკეთესო და სასიქადულო საზოგადო მოღვაწეთ, რომლებიც შეიქმნენ უსამართლო მსხვერპლნი ბნელ და ბოროტ ძალებისა. იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ დიმიტრი ყიფიანი და ალექსანდრე გრიბოედოვი განგმირულ იქმნენ უცხო ქვეყნებში ბოროტ და საზიზღარ ხელთა და ეს ჩვენი დიდებული მამულიშვილი ილია თავის სამშობლოში, იმ სამშობლოში, რომელსაც ის აღტაცებით შესტრფოდა და თავი მოჰქონდა, რომ საქართველოს შვილი იყო. აქ უნებლიეთ გაგონდება მისი უკვდავი სიტყვები: „აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი, გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი“. ვიმეორებ ვერაგულად მოკლული იქმნა თავის სათაყვანებელ სამშობლოში, რომელსაც თავისი საუკეთესო ნიჭი, ძალა და ენერგია შეალია. საშინელი და ძნელად გამოსაცნობი გამოცანა დაგვატყდა თავზედ ჩვენ შერცხვენილ ქართველებს. 50 წელიწადი ამ ადამიანით ვამაყობდით, მის დიად ნიჭს, საკვირველ გამჭრიახობას და ენერგიას განუზომელ პატივს ვცემდით ყველანი. მისი ღვაწლით და განუზომელის ამაგით ვიყავით მოხიბლულნი, ყველას ილიას სახელი გვეკერა პირზე, თუ რამ საზოგადო საქმე გაგვიჩნდებოდა, მაშინვე ილიას

მივმართავდით. ერთი სიტყვით, ეს იყო ჩვენი მამა და პატრონი და აი, ყოველივე ამას ვივიწყებთ და ქვეყნის სამსახურში მოქანცულს მოხუცებულს, რომელსაც ცალი ფეხი უიმისოდაც სამარეში ედგა ცხელი ტყვიით გაუგმირავთ გულს და შუბლს. ეს საზიზღარი და სამარცხვინო მკვლელობა იმის ცხადი ნიშანია, რომ ჩვენ ზნეობით დავკნინებულვართ, გავხრწნილვართ და სინდისი დაგვჩლუნგებია იქამდის, რომ ჩვენი კარგი და ავი ველარ გაგვირჩევია. როგორც დიადი და წარჩინებული იყო ამ ჩვენის მამულის ბურჯის სიცოცხლე ახსავსე მოძღვრებით და დარიგებით, ისე დიადია თავის საშინელებით და საზიზღრობით ამის უღმრთო სიკვდილი! დეე, ამ დიდმა მსხვერპლმა გამოგვაფხიზლოს და ჩაგვაგდოს გონებაში, რომ უარესი უბედურება და მარცხი არ დაგვატყდეს თავს. თუ ამ საშინელმა განსაცდელმა არ იმოქმედა ჩვენზე და არ აგვიხილა თვალები და ზნეობით არ გაგვასწორა და არ გამოგვაფხიზლა, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ცუდად და საშინლად ყოფილა ჩვენი საქმე.

შენ კი, წამებულო უძვირფასესო ჩვენო ილიავ! სულით გაბრწყინებული და ნეტარ ხარ და მარად ჩვენს გულში დამკვიდრებულ და უკვდავი, მხოლოდ ჩვენ შენგან დაობლებულნი დავრჩით შენთან პირშავნი და უმადურნი. მოგვიტევე ჩვენო დიდსულოვანო და დარბაისელო ჩვენო მოძღვარო, რომ შენმა სამშობლომ, რომლის მუდმივი ფარ-ხმალი იყავი, თავისი ძეთა დაუდეგრობით და ურთიერთშორის ქიშპობით გაგვიმწარა უკანასკნელნი დღენი შენი ცხოვრებისა, დაქანცულო მხცოვანო მოღვაწე, შვილს მფარველობა და პატივისცემა ვერ გაგიწია, რომ ქრისტიანული და მშვიდობიანი სიკვდილი გღირსებოდა. ნუ გაგვირისხდები ჩვენო სულმნათო დიდებავ! შენი ბრწყინვალე სულით გაგვიწიე მანდედამ ჩვეულებრივი მფარველობა. აუწყე დიმიტრი ყიფიანს მის საყვარელ და ძვირფასის სამშობლოს დაკნინება, გათახსირება და მოძმეთა ურთიერთშორის ქიშპი და უთანხმოება. დარწმუნებულნი ვართ, რომ მისი სული შეწუხ-

დება. გააორკეცეთ ორთავემ ერთად მხურვალე ლოცვა და ვედრება ჩვენი ქვეყნის მფარველის ღვთისმშობლის წინაშე, სთხოვეთ დახმარება ჩვენი ქვეყნის განმანათლებელთ და სიბნელიდან გამომყვანელთ სულით გაბრწყინებულთ წმიდა ნინოს და დავით გარეჯელს, რომ თავიანთი ღირსეული მეოხებით დაატკბონ ჩვენზე განრისხებული დედა მაცხოვრისა ჩვენისა, რომ მან განგვიახლოს თავის მფარველობა და წყალობის თვალით გარდმოხედოს თავის წილხდომილს წამებულს ქვეყანას და გვაკმაროს ამნაირი საშინელი უბედურება, ჩამოაგდოს ჩვენს შორის თანხმობა და ძმობა, დაგვაყენოს ჭეშმარიტ გზაზე, აგვაშოროს ჩვეულებრივი დაუდევრობა და ჩაგვინერგოს მხნეობა და ერთსულობა, განამტკიცოს ჩვენ ქართველთა გაციებულ გულში ქრისტიანული სარწმუნოება და ზნეობა, რომლებიც შეადგენენ უტყუარ იარაღს ყოველი ერის დღეგრძელობისა, წარმატებისა და ბედნიერებისათვის.

აქ კი ჩვენთვის შენი სამარადისო სახელი, შენი ბრწყინვალე გონების ნაწარმოები და ეს საფლავი იქნება ჩვენი მუდმივი გამამხნევებელი სამოძღვრო და დამრიგებელი. თუ ეს წმიდა მთა საყურადღებო, ძვირფასი, საყვარელი და ისტორიული ადგილი იყო ჩვენთვის. ეს იქნება ჩვენი სამოძღვრო და უწმინდესი ადგილი როგორათაც შენის ძვირფასის ნაშთის შემნახველი და მტვირთველი.

მშვიდობით დიდბუნებოვანო მამულისშვილო ილიავ, მუხლმოდრეკით ვეთხოვებით შენს წმიდა ნაშთს, უამბორებ რა უკანასკნელად და ვსთხოვ ზეციურს მამას, რომ განუსვენოს შენს დიდებულ და საყვარელ სულს მართალთა თანა.

1907 წელი 9 სექტემბერი, მამა დავითის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ მაჭარაშვილი"[25].

წმიდა ილია მართლის დაკრძალვის კარგა ხნის შემდეგ დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი აღშფოთებული წერდა: „...უმძიმეს ტრაგედიად უნდა ჩაითვალოს ვერა-

გულად ილიას მოკვლა! ვინ წაიწყმიდა სული და ტყვიით გაუგმირა გული ჩვენს დიდებულ მამულიშვილს? ვინ უღალატა ჩვენს ბედკრულ სამშობლოს მოამაგეს და მოჭირნახულე ადამიანის მხეცურად სიკვდილით? მისი სიკვდილი დიდი საიდუმლოებით არის მოცული და გამოკვლევაც ძნელია. გაზეთებმა დიდი ალიაქოთი ატეხეს, ლიტერატურული ეთიკას უღალატეს და ერთმანეთის ლანძღვა-გინებით ყური გამოგვიყრუეს, რითაც, ჩემის აზრით, ილიასადმი უპატივცემლობა გამოიჩინეს. განა მესამე დასელებს ბრალად ედებათ ილიას მოკვლა? ამის დაჯერება არამც თუ ძნელია, წარმოდგენაშიც საშიშია, რომ მათ დაენთხიოს ილიას უმანკო სისხლი! განა ილიას ხალხი არ უყვარდა? განა მის ნაწერებში ხალხის სიყვარული არ იხატება? განა ბევრნი დასელებთაგანი ილიას ნაწერებზე არ არიან აღზრდილნი? განა მშობლიურ მწერლობის ბედიღბალი მათ არ აინტერესებდათ? განა შეიძლება ამისთანა ბრალდებებით დასელებისადმი მიმართვა? რისთვის ითესება ამისთანა შუღლი და სიძულვილი პარტიებთა შორის"[26].

ილიას ტრაგიკული დაღუპვით გამოწვეული მწუხარება გულთან ახლოს მიიტანეს ქართველი კათოლიკეებისა და ქართველი მაჰმადიანების სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა. ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მრევლმა და მისმა წინამძღვარმა მღვდელმა დამიანე საакაშვილმა გაზეთ „ისარს" სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნა[27].

7 სექტემბერს ბათუმის ქართველ კათოლიკეთა საზოგადოების სახელით პატრი პეტრე მეფისაშვილი დამკრძალავ კომისიას აცნობებდა: „უსაზღვროდ ვწუხვართ ძვირფასის მგოსნის და საქართველოს სასიქადულო კაცის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო. ვუცხადებთ ზიზღს ბოროტმოქმედებას. საზოგადოებამ აირჩია და გამოგზავნა თავის წარმომამადგენლად ილიას ძვირფასი გვამის დაკრძალვაზე პავლე ლუკას ძე მჭედლიშვილი"[28]. ახალციხის ქართველ კათოლიკეთა სახელით ღრმა მწუ-

ხარება გამოხატა „ვინმე მესხმა“ – ივანე გვარამაძემ და სხვებმა. დაკრძალვის დღეს ბათუმიდან, ახალციხიდან, ქუთაისიდან და გორიდან ჩამოსულმა ქართველ კათოლიკეთა დელეგაციამ დიდი პატივი მიაგო ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა განსაკუთრებით მძიმედ განიცადა რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილმა. 1907 წლის 23 სექტემბერს იგი გაზეთ „ისრის“ რედაქტორს ევსტატე ავალიშვილს წერდა: „უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გაუზიაროთ მთელს ქართველ საზოგადოებას ჩემი უღრმესი და უსაზღვრო თანაგრძნობა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო.

ეს შემაძრწუნებელი ამბავი თავის დროზე გამოაცხადეს რომის გაზეთებში, მაგრამ ეჭვი შევიტანე და სახელის შეცვლას თუ შეცდომას მივაწერე, რადგან სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოს უდაბურში იმისთანა მხეცი იქნებოდა, რომელსაც ეგოდენი სისაძაგლე ჩაედინა და უცბად შთაენთქა ყველა ქართველისაგან თაყვანისმცემელი ილია ჭავჭავაძე. დღეს საუბედუროდ გაზეთმა „ისარმა“ დამიმტკიცა, რომ თურმე ეს მართალი ყოფილა. ამ მეტად საუბედუროდ და მოულოდნელმა ამბავმა გული ნაღვლით ამივსო და თვალები ცხარის ცრემლით. საქართველოს დაობლებულ, აღურაცხველ და მრავალნაირ უბედურებამ ბევრგზის დიდად დამაღონეს, მაგრამ ამ წარმოუდგენელ მოვლენამ კი ღრმად დამწყლულა, რადგან საქართველომ დაჰკარგა იმისთანა შვილი, რომელმაც დაიმსახურა ღრმა პატივისცემა. ამისათვის ვერ ვპოვებ შესაფერ სიტყვას, რომ საკმაოდ დავგმო ეგოდენი უღვთოების მომქმედი ბარბაროსი, რომელმაც საქართველო ასე დააობლა და მას გამოჰგლიჯა თავისი დიდების ბრწყინვალე გვირგვინი“[29].

ილიას დაკრძალვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მცხოვრებმა ებრაელების, სომხების და აზერ-

ბაიჯანელების სასულიერო წარმომადგენლებმა და ქართველ ერს ღრმა მწუხარება გამოუცხადეს.

ილიას გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს და წლისთავზე ქართველმა სამღვდელოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა მისი ღვაწლი ერისა და ქვეყნის წინაშე. ამ დღის აღსანიშნავად თბილისის ყველა ეკლესიაში აღევლინა მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი. წარმოითქვა სიტყვები. ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ილიას ორმოცისადმი მიძღვნილ პანაშვიდზე დეკანოზმა დავით გარსიაშვილმა შეკრებილ მრავალრიცხოვან მრევლს მოუწოდა: „თვითეულმა ჩვენგანმა გულის ფიცარზედ დავიწეროთ ღვაწლი ილიასი, პირნათლად აღვასრულოთ მცნებანი მისნი და მით საშვილიშვილოდ უკვდავყოთ სახელი მისი“[30].

ქართველმა სამღვდელოებამ მხარი დაუჭირა იაკობ გოგებაშვილის მოწოდებას, ყოველი წლის 30 აგვისტოს სიონის ტაძარში გადაეხადათ ილიას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, შემდეგ ასულიყვნენ მთაწმინდაზე მისი საფლავისადმი თაყვანსაცემად[31]. კარგა ხნის მანძილზე ქართველი სამღვდელოება იაკობ გოგებაშვილის ამ თხოვნას ასრულებდა.

წმიდა ილია მართლის გარდაცვალების მეათე წელს, 1917 წლის 30 აგვისტოს მის საფლავზე შეიკრიბა ქართველი სამღვდელოება. პანაშვიდის გადახდის შემდეგ თბილისელმა მიტროპოლიტმა ლეონიდე ოქროპირიძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას:

ბატონებო! ჩვენ და ჩვენთან ერთად მთელი საქრისტიანო დღეს დიდი მოწიწებით იხსენიებს ტრაღიკულად დაღუპვას ისეთი შესანიშნი პიროვნებისას, როგორიც იყო იოანე ნათლისმცემელი. ოცი საუკუნე სრულდება, რაც ხსენებულ პიროვნებას თავი მოჰკვეთა უგნურმა მტარვალმა მარტოდ მარტო იმიტომ, რომ იოანემ გაბედულად ამხილა ამ მტარვალს, მაშინდელ მეფეს, უსამართლობა, უზნეობა და უპატიოსნება. მიუხედავად ამოდენ

საუკუნეთა მანძილისა ქრისტიანობა არ ივიწყებს იოანეს სახელს, ყოველი წლის აგვისტოს ოცდაცხრა რიცხვს ქალი და კაცი თვალსაჩინო ლმობიერებით ეამბორება ხმლით მოკვეთილ მისი თავის გამოხატულებას და ეს ასე იქნება, ვიდრე ქრისტიანობა იარსებებს. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე არის მუდმივი და დაუდუმებელი ხმა მაღალი ღაღადი იმ უკვდავი ჭეშმარიტებისა, რომ ადამიანთა არსებობის ერთად ერთი საფუძველი სიმართლეა, ადამიანთა კაცობა მხოლოდ სიმართლეში იხატება, კაცი ის არის, ვინც სიმართლით ცხოვრობს, სიმართლეს ემსახურება და ყოველ წამს მზადაა მსხვერპლად შეეწიროს სიმართლეს.

ასეთია აზრი დღევანდელი დღისა და შესანიშნავია, რომ სრული ათი წელიწადია, რაც ქართველობა სწორედ ამ საგულისხმო დღეს თავს ვიყრით ამ დიდებული საფლავის გარშემო. ამ გვარი საქციელით ვაღვიარებთ, რომ ქართველებსაც გვყავდა საკუთარი ნათლისმცემელი. ეს იყო დიდი ილია. ილია ჭავჭავაძეც, მსგავსად იოანე ნათლისმცემლისა, მტკიცე, მოურიდებელი და მედგარი მცველ-მქადაგებელი იყო სამართლისა და სამართლიანობისა. ყველგან და ყოველთვის ილია ჰქუხდა: მხოლოდ მშობელი მამაა, რომ თვითონ მოიკლებს ლუკმას და შვილს კი არ განაცდევინებს შიმშილს, მარტოდ მარტო მშობელი დედის ჯიგარია, რომ შვილს მტლად დაედება და ასეთი დედ-მამა ყოველივე ქართველისათვის არის მისი სამშობლო, მისი მამული, დედამიწის ის ნაწილი, რომელზედაც ქართველი პირველად ისუნთქავს ჰაერს და ახელს თვალსო; ყოველი ქართველი თავს უნდა ევლებოდეს თავის სამშობლოს, თვითეული ჩვენთაგანი უნდა ცხოვრობდეს მხოლოდ მამულის საკეთილდღეოდ, ყოველ ქართველს უნდა ასულდგმულებდეს უპირველესად სამშობლოს აყვავება, განვითარება, წინსვლა, სამშობლოს ფიზიკური, ქონებრივი, ზნეობრივი, გონიერებრივი და სოციალურ-პოლიტიკური გაძლიერებაო.

სამწუხაროდ, საქართველოს, როგორც რუსეთის

ნაწილს, თავზე აჯდა სიმართლის მოძულე და მდევნელი თვითმპყრობელი იროდი, რომელმაც თავისი უგვანო რეჟიმით იმდენად დაგვაბრმავა, გონება დაგვიხშო და ტკბა დაგვიბნელა, რომ დაგვიკარგა ილიას ნათელი მოძღვრების შეგნების უნარი და ამ ქართველთა სიამაყის შუქმფენი ფართო შუბლი შეგვანგრევინა უწყალო ტყვიით!

მაგრამ სიმართლე ხელშეუხებელი და უკვდავია, ამასთან იგი ისეთი თვისებისაა, რომ უფრო ცისკროვნდება და ცხოველდება ხოლმე სწორეთ მაშინ როდესაც მის მსახურს, მის მოციქულს, მის გუშაგს ეს სიცოცხლე ეხშობა ხოლმე უხეში პირებისაგან. ამაში დაგვარწმუნა ილიას სიკვდილმა დაქსაქსულებს, დაბნეულებს, ურთიერთის არმცნობებს ილიას სიკვდილმა გაგვიღვიძა ეროვნული შეგნება, ილიას მოკვლამ გაგვიღვივა ერთობა, წიწამურის ველზე დანთხეულმა ილიას სისხლის თითოეულმა წინწკალმა ამოისროლა უშველებელი ხე მამულის წინაშე ქართველთა შეერთებ-შეკავშირებისა, ილიას სიკვდილს უნდა მიეწეროს, რომ დღეს ქართველობა ყურძნის მტევნებივით შეკრულია მამულის სიყვარულით, რომ ილიას მოძღვრებას მხარში უდგანან ქართული პოლიტიკური პარტიები და დიდებულ მოძღვარს უპასუხებენ „ახლა აყვავდება მამული საყვარელიო".

დღევანდელი უმაგალითო ომის ზარბაზნების გრიალ-ქუხილი თითქოს ბეჭედს აკრავს ილიას მოძვრებას და გვიკარნახებს: ფეხზე დადექით დიდნო და პატარანო. მოუპოეთ სამშობლოს თავისუფლება და ძილს ნუ მისცემთ თქვენს თვალებს, ვიდრე არ გამოსჭედავთ მის ბედნიერებასო და სხვ.

მაშ ხელი მივცეთ ქალმა და კაცმა, ძვირფასო მსმენელნო, და მხარ და მხარ წავიდეთ სამშობლოს განთავისუფლებისაკენ. ეს გაუმთელებს ილიას ტყვიით განხეთქილ შუბლს, ეს მოგვიხვეჭავს შეგნებული ერის შვილებს სახელს და ეს იქნება თანამედროვე წამთან შეხამებული საქციელი. ისმინე ქართველნო! დღევანდელი დღე დიდებული სიონის ზარის რეკვაა, რომ თავი დასდო საყვარე-

ლი სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის!..."[32]

ქართველმა სამღვდელოებამ ილიას ფონდის დასაარსებლად სათანადო ფულადი შემოწირულობა შეაგროვა. ყარსელმა ქართველობამ მღვდელ ზ. ლუკაშვილის თაოსნობით შეკრებილი თანხა 1908 წლის 3 აპრილს ხაზინადარ ნ. ვაშაკიძეს გადასცა[33]. დაბა ყაგიზმანის ქართველობამ მღვდელ გერმანე ჯაჯანიძის მოწოდებით ხელფასის თითო პროცენტი გადადეს ილიას ფონდისათვის[34]. სამღვდელოებამ აგრეთვე გარკვეული თანხა გაიღო ილია ჭავჭავაძის ძეგლის ასაგებად და მის გახსნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ძეგლის გახსნის დღეს, 1913 წლის 5 მაისს, დილის 9 საათზე, გორის ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) მამადავითის ეკლესიაში წირვა ჩაატარა. თანამწირველები იყვნენ არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), მამადავითის ეკლესიის წინამძღვარი ნიკოლოზ მაჭარაშვილი, ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარი კალისტრატე ცინცაძე, დეკანოზი გიორგი ასათიანი, ტარასი ბერი (კანდელაკი) და მღვდელი კონსტანტინე ხახიშვილი. წირვის დროს ღრმაშინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა დეკანოზმა ნიკოლოზ მაჭარაშვილმა. წირვის შემდეგ სამღვდელოებამ ილიას საფლავთან პანაშვიდი გადაიხადა. აქვე მოვიდა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი იეროფეი, არქიმანდრიტი პიროსი (ოქროპირიძე), დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი ნიკიტა თალაკვაძე. პანაშვიდის დაწყებამდე სიტყვა წარმოთქვა ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე), რომელმაც წარმოაჩინა განსვენებულის დამსახურება ქართველი ერის წინაშე. პანაშვიდის შემდეგ ეპისკოპოსმა ანტონმა აკურთხა ძეგლი, ხოლო გახსნის პატივი წილად ხვდა ილიას თანამებრძოლს აკაკი წერეთელს[35].

წმ. ილია მართალი – წმ. ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი ნათელი გვირგვინია ქართველ წმინდანთა შორის, რომელიც ერისა და ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას შეეწირა. მისი წმინდანად კანონიზაციის დროს წარმოთქმულ ქადაგებაში საქართველოს კათოლიკოს-პატ-

რიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II სამართლიანად ამბობს: „დიდი ილია ჭავჭავაძის წმიდანად შერაცხვა არ არის მხოლოდ აღიარება მისი დამსახურებისა... ეს არის უფრო მეტი, როცა ხდება ამა თუ იმ პიროვნების წმიდანად კანონიზირება, ღვთის ლოცვა-კურთხევით, მას ეძლევა განსაკუთრებული მადლი, განსაკუთრებული ძალა ერის შეწევნისა. ამიერიდან წმიდა ილია ჭავჭავაძე – წმიდა ილია მართალი არის შუამდგომელი წინაშე ღვთისა ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის“[36].

ლოცვა

წმიდისა და მართლის – ილია ჭავჭავაძის მიმართ

ჰოჲ, ღმრთივსათნოო და სულითა წმიდითა განბრძნობილო წმიდაო ილია მართალო, სისხლისა უბრალოჲსა დამთხეველო და მადლითა ღმრთისაჲთა წმიდა და მართალთა თანა შერაცხილო, მსწრაფლშეწევნადითა ლოცვითა შენითა განანათლე და განაბრწყინე ღმრთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი. განაძლიერე მსახურებასა შინა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისი მთავარეპისკოპოსი დიდი მეუფე მამაჲ ჩვენი ილია, ყოვლად სამღვდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღვდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი, სამონაზონი წესი ზიარნი წმიდისა ეკლესიისანი და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი.

ჰოი, ღვთითგანათლებულო და ზეშთაცოდნითა განმდიდებელო წმიდაო ილია მართალო, ევედრე მოწყალესა ღმერთსა ჩვენ, უძლურთა და დაცემულთათვის, რათა გონიერისა სულისა წყაროჲსა ხმევითა დარწყულებულნი და განცოცხლებულნი მოწყლულისა მამულისა ვენახოანსა შინა კეთილმუშაკობად განმზადებულ ვიქმნეთ და ღმერთისა სიყვარულითა სამშობლოჲსა მსახუ-

რებად აღმართულნი ხმითა კეთილითა ვუგალობდეთ შენსა განმაბრწყინვებელსა ქრისტესა ღმერთსა, რომელსაც ჰშვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა თანადაუსაბამოჲთ მამით მისით და სახიერით და ცხოველმყოფელით სულით წმიდითურთ, ყოველივე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

დასკვნა

XIX საუკუნის 60-იან წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულ წმიდა ილია მართლის ნააზრევში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ეკლესიის საკითხებს. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მან დროშასავით წარუმძღვარა სამი ღვთაებრივი სიტყვა „მამული, ენა, სარწმუნოება". წმ. ილია მართალს „მამული, ენა, სარწმუნოება" ერთ მცნებად ჰქონდა წარმოდგენილი, რომლის მკვიდრ საფუძველზე დამოუკიდებელი საქართველოს მყარი კედელი უნდა აშენებულიყო.

დამოუკიდებლობის დაკარგვით და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ „მამულს, ენას და სარწმუნოებას" საფრთხე დაემუქრა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე წმიდა ილია მართალმა თავის თანამზრახველებთან ერთად აქტიური ბრძოლა დაიწყო დამონებული ქვეყნის, გაქრობის წინაშე მდგარი ქართული ენისა და ქართველთა უძველესი სარწმუნოებრივი ტრადიციების შენარჩუნებისათვის.

წმიდა ილია მართლის აზრით, ქრისტიანობამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ერის ცხოვრებაში. მან ხელი შეუწყო ქართველთა კონსოლიდაციას. მისი შემწეობით ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა ენა, მამული და ეროვნება. მას მიაჩნდა, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობა ქართველი კაცისათვის იმდენად იყო გათავისებული, რომ იგი ქართველობის სინონიმად იქცა.

წმიდა ილია მართალი საქართველოს ისტორიული გამოცდილებით აღიარებდა, რომ სარწმუნოებრივი ერთობა ეროვნული ერთობის საფუძველი იყო. ამიტომაც უფრთხილდებოდა და სათუთად ეპყრობოდა ქართველი ხალხი მართლმადიდებელი სარწმუნოებას, რადგან იგი „დუღაბობას უწევდა ერთობას".

ერის ზნეობრიობის ამაღლებასთან ერთად ქრისტიანობა გამარჯვების რწმენას მატებდა ქართველობას მომხდური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. წმიდა ილია

მართალს მიაჩნია, რომ ქრისტიანული რწმენის განმტკიცებასა და მის სულიერ სრულყოფაში დიდ როლს ასრულებდა ქართველი სამღვდელოება, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა ქვეყნისა და ერის ინტერესებს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისტორიულ წარსულში მამული, ეროვნება და სარწმუნოება სამღვდელოების უპირველესი საზრუნავი იყო. მაგრამ რუსეთის მონობის ქვეშ მყოფი, მატერიალურად ხელისუფლებაზე დამოკიდებული ქართველი სასულიერო პირები ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ ვეღარ ასრულებდნენ თავიანთ ისტორიული მისიას. წმიდა ილია მართალი მათ მოუწოდებდა, რომ წინაპრების მსგავსად ეზრუნათ მამულისათვის და სარწმუნოებრივი ტრადიციების შენარჩუნებისათვის.

წმიდა ილია მართალი სამართლიანად მიუთითებდა, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უდიდეს როლს ასრულებდა მამულის, ეროვნებისა და სარწმუნოების მტკიცედ და შეურყვნელად დაცვაში.

მართალია, წმიდა ილია მართალი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, მაგრამ იგი დიდი პატივით ეპყრობოდა სხვადასხვა აღმსარებლობის მიმდევართ.

მან თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ავტოკეფალიაწართმეულ საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვაში. იგი ქომაგად ედგა და დახმარებას უწევდა ქართველ სასულიერო პირებს. ილია დიდ ყურადღებას უთმობდა სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების საკითხს. მკაცრად ამხელდა იქ გამეფებულ ანტიქართულ პოლიტიკას.

წმიდა ილია მართალი აქტიურად ჩაება ავტოკეფალისტთა მოძრაობაში. მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ საეკლესიო მმართველობაში შექმნილი მძიმე სიტუაცია, რაც გამოწვეული იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვით, იყო მიზეზი, ქართველ ერში სარწმუნოების დაქვეითების, ეროვნული თვითშეგნების დაცემის, მოუწესრიგებელი სასულიერო განათლების, ეკ-

ლესია-მონასტრების გაპარტახებისა და ძარცვისა. ავტოკეფალიისათვის ბრძოლა მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა. XX საუკუნის დასაწყისში აშკარად გამოიკვეთა, რომ წმიდა ილია მართალს სურდა საქართველოს ავტონომიის იდეასთან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკავშირება. წმიდა ილია მართალმა ავტოკეფალიის მოთხოვნით არაერთხელ მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს და სინოდის ობერპროკურორს. მასვე გადაწყვეტილი ჰქონდა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი განსახილველად გაეტანა, მაგრამ არ დასცალდა. ქვეყანაში მიმდინარე რეაქციულმა რეჟიმმა და მისმა ვერაგულმა მკვლელობამ ეს განზრახვა ჩაშალა.

წმიდა ილია მართალს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა სამშობლოსათვის თავდადებულ ქართველ სასულიერო პირებთან – წმ. გაბრიელ ეპისკოპოსთან, წმ. ალექსანდრე მღვდელმთავართან და სხვებთან, რომლებიც რუსული იმპერიული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ იბრძოდნენ ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი და პოლიტიკური უფლებების დაცვისათვის. წმ. ილია მართალი დიდად აფასებდა XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ ახალი თაობის სამღვდელოებას: კირიონ საძაგლიშვილს, ამბროსი ხელაიას, ლეონიდე ოქროპირიძეს, კალისტრატე ცინცაძეს და სხვებს. ქართველ სასულიერო პირთა ეს თაობა თერგდალეულთა იდეებზე იყო აღზრდილი და მათი შეხედულებების პოპულარიზაციას უწყობდნენ ხელს. წმიდა ილია მართალს სამართლიანად მიაჩნდა, რომ ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს ეკლესიას ეროვნულ სულს ალექსანდრე ოქროპირიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი, კირიონ საძაგლიშვილი, ამბროსი ხელაია და მათი მსგავსი სასულიერო პირები უნარჩუნებდნენ.

წმიდა ილია მართალი თანაგრძნობით ეკიდებოდა სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ქართველთა მძიმე

ხვედრს, რომელთა მდგომარეობა რუსეთის იმპერიის პირობებში არასახარბიელო იყო. წმიდა ილია მართალი ხედავდა, რომ სარწმუნოებრივ სხვაობას და მასზე აქცენტის გაკეთებას შესაძლებელია საზიანოდ ემოქმედა არამართლმადიდებელ ქართველთა მომავალზე. ამ მიზნიდან გამომდინარე იგი სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ქართველთა შეკავშირებისათვის უკვე ყურადღებას აღარ ამახვილებს სარწმუნოებრივ ერთიანობაზე. რუსეთის ხელისუფალთა საწინააღმდეგოდ წმიდა ილია მართალი ცდილობდა სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ქართველთა ერთმანეთთან დაახლოებას, რადგან ხედავდა, რომ სარწმუნოებრივმა სხვაობამ ერთიანი ეროვნული სულის დაქუცმაცება გამოიწვია. წმინდა ილია მართალი არამართლმადიდებელი ქართველების შეკავშირებით მიზნად ისახავდა გაბზარული ეროვნული სულის გამთლიანების და ეროვნული ძალების კონსოლიდაციას. როგორც ჩანს, სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ქართველებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება მისი ეროვნული პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო. ამიტომ იყო, რომ იგი თავგამოდებით იცავდა არამართლმადიდებელი ქართველების – ქართველი გრიგორიანების, ქართველი კათოლიკეების და მაჰმადიანი ქართველების უფლებებს რუსეთის ხელისუფალთა ძალმომრეობისაგან.

წმიდა ილია მართლის ვერაგულმა მკვლელობამ ქართველი სამღვდელოების დიდი აღშფოთება გამოიწვია. მათ დიდი პატივი მიაგეს წმიდა ილია მართლის ნათელ ხსოვნას. ეკლესია-მონასტრებში გადახდილი იქნა მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდები. მრევლის წინაშე მისი ღვაწლის დასაფასებლად სასულიერო პირებმა საინტერესო სიტყვები წარმოთქვეს.

წმიდა ილია მართალი ერთ-ერთი ნათელი გვირგვინია ქართველ წმიდანთა შორის.

Eldar Bubulashvili

Ilia Chavchavadze and Problems of the Church of Georgia

In the works of St. Ilia the Rightious, who started his public activity in the 60-s of the XIXc., problems of the church of Georgia are sygnificantly concidered.

His famous divine three word expression "Motherland, Language, Faith" was like a banner of national-libereration movement. "Motherland, language, faith" was one notion for St Ilia the Rightious, the base of a solid wall for the future independent Georgia. In his opinion, cristianity playd a great role in the life of Georgian people. Cristianity enabled georgian nation to consolidate and native tongue, motherland and nationality to be preserved. According to the hidtorical experiance of Georgia St. Ilia the Rightious acknowlaged faith unity to be basis of national unification. That is why georgian people guarded and gently cared Orthodoxy as it was "the cement of the unity".

St. Ilia the Rightious was Orthodox himself but his abtitude towards the members of other denominations was full of respect and tolerance.

He was active in defending the rights of unnulled autocephaly Georgian Church. He was defender and supporter of Georgian clergy. St. Ilia paid a great attention to studies of Georgian language in theological schools and stictly used to point out the anti-Georgian ruling politics of the mentioned schools.

St. Ilia the Rightious was activly involved in the movement of autocephalists. He rightly regarded impairing faith and national mentality of georgians, disordering theological education, devastation and robbery of churches and monasterries were caused by hard situation in the administration of the church.

The fight for gaining autocephaly he considered as the part of national-liberation movement. In the beggining of the

XXc. it became obvious that St. Ilia the Rightious wanted to connect the autocephaly of the church of Georgia with idea of autonomy of Georgia itself. Several times he appealed the vice-gerent of the Caucasus and the oberprocuror of the Russian synod for demanding the autocephaly of the church of Georgia. Reactionary processes and his murder prevented St. Ilia's decision to raise the problem of autocephaly of the church of Georgia on the session of the State Councel.

St. Ilia the Rightious was on close personal terms with Georgian Clergymen as: St. Gabriel Bishop of Imereti, St. Alexander Okriadze and others who were fighting against the Russian imperial politics for defending the religious and political rights of Georgian people. He rightly regarded that real defenders of national spirit of unnulled autocephaly Church og Georgia were those clergymen who had fought for the liberty of the motherland.

St. Ilia the Rightious sympathised Georgians of nonorthodox faith whose hard life under Russian Tsarizm was unbearable. Against the will of Russian authorities St. Ilia often tried to bauing together Georgians of different denominations to consolidate the nation.

As it is clear the consolidation of the Georgians of different denominations was a part of his national programme.

The insidious murder of St. Ilia the Rightious caused the great indignation of Georgian clergy. They greatly honoured the blessed memory of St. Ilia the Rightious. In many churches and monasteries requiems were served. Priests were telling their congregations about St. Ilia's deeds in their sermons.

St. Ilia the Rightious is one of the bright stones among other saints, in the crown of the Church of Georgia.

გამოყენებული ლიტერატურა და შენიშვნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

1. ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ტრაგედია და ქართველი სამღვდელოება, თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, I, თბ., 1999, გვ. 65-85.
2. შ. გოზალიშვილი, გამოუქვეყნებელი წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი, ჟურნალი „მნათობი", 1957, №10, გვ. 160-161; ს. სხირტლაძე, ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილისა და გამომწვევი მიზეზის გამო, ჟ „მნათობი", 1959, №10, გვ. 176-178; შ. ბადრიძე, ილია ჭავჭავაძე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", 1987, №1, გვ. 45-47; გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე (1837-1907), ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე, თბ., 1990; მ. ნინიძე, მადლის წყარო, ილია ჭავჭავაძის მრწამსი და მისი შემოქმედება, თბ., 1997; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1997; ქ. პავლიაშვილი, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მოღვაწენი – ილია ჭავჭავაძე და ქართველი სამღვდელოება 1905-1907 წლებში, კრებული, კულტურის ისტორიის საკითხები, V, თბ., 1998, გვ. 134-139.
3. იხ. ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორის დეკანოზ დავით ღამბაშიძის კრიტიკული წერილი ილია ჭავჭავაძის მიმართ „ფუტკრების დედო და თავადი ილია ჭავჭავაძე, გაზეთ „ივერიის" რედაქტორ გამომცემელი" („მწყემსი", 1893 №2, გვ. 1-3; №3, გვ. 1-8). აღნიშნული მასალის გამოქვეყნება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: 1892 წლის დეკემბრის ბოლოს გამოქვეყნდა ცნობა (იხ. „მწყემსი", 1892, №24, გვ. 1), რომ 1893 წელი საიუბილეო თარიღი იყო ჟურნალ „მწყემსის" და მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორისათვის. ჟურნალს უსრულდებოდა 10 წელი, რედაქტორი 50 წლის ხდებოდა. ამავე წელს ემთხვეოდა დავით ღამბაშიძის მღვდლად კურთხევის და ქორწინების 25 წლისთავი. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „ივერიაში" (1892 წელი 31 დეკემბერი) არტემ ახნაზაროვმა ირონიით მოიხსენია ჟურნალი „მწყემსი" და მისი რედაქტორი. თავისი მოსაზრების გასამყარებლად მან მოიშველია გაზეთ „Новое обозрение"-ს (1892, №152) კრიტიკა ჟურნალ „მწყემსზე". გაზეთ „ივერიისა" და „Новое обозрение"-ში ადრეც იბეჭდებოდა ჟურნალ „მწყემსის" კრიტიკა, მაგრამ „მწყემსის" რედაქტორს მასზე რეაგირება არ მოუხდენია. არტემ ახნაზაროვის ზემოთ აღნიშნული კრიტიკის გამო დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ პასუხი უშუალოდ წერილის ავტორს კი არ გასცა, არამედ გაზეთის რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს. რა თქმა უნდა, გაუმართლებელი იყო „მწყემსის" და მისი რედაქტორის წინააღმდეგ მიმართული არტემ ახნაზაროვის სტატიები, რადგან დავით ღამბაშიძის რედაქტორობით 1883 წლიდან დაბა ყვირილაში გამომავალმა ჟურნალმა „მწყემსმა" (იგი 1886 წლიდან რუსულ ენაზე სცემდა აგრეთვე ჟურნალს „Пастирь"-საც) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველ სამღვდელოებასა და მრევლში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში. ამისდამიუხედავად ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია დეკანოზ დავით ღამბაშიძის მკაცრი ტონი ილია ჭავჭავაძის მიმართ. აღსანიშნავია, რომ 1893 წლის 3 იანვარს, როცა მესამე დასელთა ორგანომ ჟურნალმა „კვალმა" დაიწყო გამოსვლა, „მწყემსის" რედაქტორმა ნიშნის მოგებით განაცხადა: „ყველა ჭეშმარიტი ქართველი, დარწმუნებული ვართ, სიხარულით მიეგებება ამ ახალი ჟურნალის დაბადებას, გარდა „ივერიისა", რომელსაც... მტკიცედ სწამს და აღიარებს, რომ არ არსებობს გაზეთი თვინიერ „ივე-

რიისა" და წინასწარმეტყველი მისი არის თავადი ილია ჭავჭავაძე". უფრო მეტიც, „მწყემსის" რედაქტორი გამოთქვამდა იმედს, რომ „კვალი" მაინც კარგად გამოაღვიძებს ამ გაზეთს". დეკანოზ დავით ღამბაშიძის წინასწარმეტყველება გამართლდა. ჟურნალ „კვალისა" და მის გარშემო შემოკრებილმა პიროვნებებმა ილია ჭავჭავაძის დაუნდობელი კრიტიკა დაიწყეს. ამ ფონზე დეკანოზ დავით ღამბაშიძის კრიტიკული გამოსვლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ კარგ შთაბეჭდილებას არ ტოვებს. დეკანოზი დავით ღამბაშიძე არ გამოხმაურებია 1893-1895 წლებში გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდილ ჟურნალ „მწყემსის" და მისი რედაქტორის კრიტიკას. 1897 წელს, როცა განზრახული იყო ილია ჭავჭავაძის დაბადების 60 წლისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის იუბილის აღნიშვნა, ჟურნალმა „მწყემსმა" აღნიშნული ღონისძიებების მიმართ უარყოფითი პოზიცია დაიკავა. ჟურნალის რედაქცია კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „მთავრობა ნებას არ იძლევა ილიას იუბილე გადაუხადონო" (იხ. „მწყემსი", 1898, №1).

XX საუკუნის დასაწყისში, როცა მარქსიზმის მიმდევრებმა აქტიური ბრძოლა გააჩაღეს ილიას წინააღმდეგ, დავით ღამბაშიძემ შეწყვიტა მისი აუგად ხსენება. როგორც ჩანს, იგი მიხვდა, რომ მისი კრიტიკული გამოსვლა ილია ჭავჭავაძის მიმართ იმ შავბნელი ძალების წისქვილზე ასხამდა წყალს, რომლებიც ილიას იდეური მრწამსის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. აღსანიშნავია, რომ დეკანოზ დავით ღამბაშიძის კრიტიკული წერილებისათვის თვით ილია ჭავჭავაძეს პასუხი არ გაუცია. პოლემიკაში მხოლოდ გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტები მონაწილეობდნენ. ეს ფაქტიც ილიას დიდსულოვნებაზე მეტყველებს.

აქვე დავძენთ, რომ დეკანოზი დავით ღამბაშიძე, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, დიდად

აფასებდა ილია ჭავჭავაძეს, რაზეც მეტყველებს 1907 წელს მის მკვლელობასთან დაკავშირებით ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

4. ი. ვართაგავა, ნიმუშები ჩვენის დავადმოყოფებისა, ჟურნალი „განათლება", 1911, №1, გვ. 14; შდრ. მისივე, მოგონებები, ნაწილი მეორე თბილისი, 1962, გვ. 225.
5. გ. ყორანაშვილი, როგორ მზადდებოდა ილიას მკვლელობა, გაზეთი „თბილისი", 2003 წ. 6 მარტი; გამოხმაურება გ. ყორანაშვილის სტატიაზე იხ. „საპატრიარქოს უწყებანი", 2003, №11, გვ. 6-7.

თავი I. ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის როლის შესახებ

1. ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საკითხი, „რელიგია", 1997, №10-11-12, გვ. 45; შდრ. ქ. პავლიაშვილი, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მოღვაწენი – ილია ჭავჭავაძე და ქართველი სამღვდელოება 1905-1907 წლებში, კრებ.: „კულტურის ისტორიის საკითხები", V, თბ., 1998, გვ. 137.
2. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1953, გვ. 22.
3. ილია ჭავჭავაძე, „ქართველი ერი და ღვაწლი წმიდა ნინოსი", „ივერია", 1888, №9, შდრ. „ჯვარი ვაზისა", 1985, №1, გვ. 12.
4. იქვე.
5. იქვე.
6. იქვე.
7. იქვე.
8. იქვე.
9. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 36.
10. იქვე, გვ. 37.
11. იქვე.

12. ილია ჭავჭავაძე, „ქართველი ერი და ღვაწლი წმიდა ნინოსი".
13. იქვე.
14. იქვე.
15. იქვე.
16. იქვე.
17. იქვე.
18. იქვე.
19. იქვე.
20. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1958, გვ. 308.
21. ციტირებული მ. ნინიძის ნაშრომიდან „მადლის წყარო, ილია ჭავჭავაძის მრწამსი და მისი შემოქმედება", თბ., 1997, გვ. 32.
22. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. კარბელაშვილის პირადი საარქივო ფონდი №11, ფურცელი 15.
23. ალ. ყიფშიძე, „ლიტერატურის მატიანე", I, 1940, გვ. 188.
24. გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის არქივი, №17501; შდრ. მ. ნინიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 41.
25. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. კარბელაშვილის პირადი საარქივო ფონდი, საქმე №68.
26. ილია ჭავჭავაძე, „ქართველი ერი და ღვაწლი წმიდა ნინოსი".
27. იქვე.
28. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 27.
29. ილია ჭავჭავაძე, „ქართველი ერი და ღვაწლი წმიდა ნინოსი".
30. მ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
31. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, გვ. 211.

თავი II. ილია ჭავჭავაძე ავტოკეფალია წართმეულ საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ე. ბუბულაშვილი, ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები (XIX ს. II ნახევარი), ჟურნალი „რელიგია", 2003, №1-2-3, გვ. 13-14.
2. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VIII, თბ., 1957, გვ. 308.
3. А. Натроев, Иверский монастыр на Афоне, Тифлис, 1909, стр. 218.
4. ილია ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 309.
5. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, თბ., 1955, გვ. 205.
6. იქვე, გვ. 206.
7. იქვე, გვ. 189-190.
8. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი, საქმე №476, ფურცელი 1.
9. თუ როგორ ვიპატივეთ ქართული ენა სრული განადგურებისაგან ახალციხის წმინდა მარინეს ეკლესიაში, გამოცემული ვასილ გამრეკელის მიერ, ახალციხე, 1905, გვ. 31.
10. ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „რელიგია", 1997, №10-11-12, გვ. 51.
11. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, თბ., 1955, გვ. 136.
12. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 440, საქმე №1348, ფურცელი 200.
13. იპოლიტე ვართაგავა, მოგონებანი, თბ., 1956, გვ. 181.
14. შ. გოზალიშვილი, გამოუქვეყნებელი წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი, ჟურნალი „მნათობი", 1957, №10, გვ. 160.
15. იქვე, გვ. 161.
16. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი, №432; შდრ. შ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

თავი III. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. შ. ბადრიძე, ილია ჭავჭავაძე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, „ჯვარი ვაზისა", 1987, №1, გვ. 45.
2. გ. შარაძე, საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე, თბ., 1986, გვ. 163; შდრ. მისივე, ილია ჭავჭავაძე (1837-1907), ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე, თბ., 1990, გვ. 306.
3. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქართველოლოგიის განყოფილება, ნიკო ნიკოლაძის არქივი, საქმე №40, 1762; შდრ. გ. შარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.
4. გაზეთი „Возрождение", 1905, №5.
5. ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებანი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1986, გვ. 250; შდრ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, იხილეთ საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1998 წ., გვ. 385; მისივე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003, გვ. XXXIII.
6. ციტირებული გ. შარაძის ნაშრომიდან „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კურძულზე", თბ., 1986, გვ. 153.
7. ექვთიმე თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 250.
8. შ. ბადრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45; შდრ. გ. როგავა, რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX-XX სს., თბ., 2002 წ., გვ. 181.
9. იქვე, გვ. 46.
10. ვ. აბაშმაძე, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ნათელი პროგრამა, ცისკარი, 1985, №12, გვ. 142.
11. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის პირადი საარქივო ფონდი №109,

ფურცელი 40; შდრ. კალისტრატე ცინცაძე, მოგონება ილიაზე, ნ. პაპუაშვილის პუბლიკაცია, „მნათობი", 1958, №2, გვ. 173.
12. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი ფონდი, №108, ფურცელი 1.
13. ქრ. რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1937, გვ. 108.
14. „ჯვარი ვაზისა", 1987, №1, გვ. 73.
15. „მწყემსი", 1906, №11-12, გვ. 21; გაზ. „შრომა", 1906, №68; გაზ. „მუშა", 1906, №20.
16. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კირიონ საძაგლიშვილის პირადი საარქივო ფონდი №108.
17. გაზეთი „შრომა", 1906, №72.

თავი IV. ილია ჭავჭავაძე და ქართველი სამღვდელოება

1. ე. ბუბულაშვილი, ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში და მისი შედეგები, ჟურნალი „რელიგია", 2003, №1-2-3, გვ. 12.
2. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, გვ. 109; შდრ. ც. ბენდელიანი, ილია ჭავჭავაძე და ღვთისმსახურების ენა, ქართველური მემკვიდრეობა, V, 2001, ქუთაისი, გვ. 51.
3. იქვე, გვ. 110.
4. ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „რელიგია", 1997, №10-11-12, გვ. 47.
5. სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე, შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1907, გვ. 38.
6. იქვე, გვ. 40.
7. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, გვ. 253.

8. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. X, თბ., 1981, გვ. 132.
9. იქვე, გვ. 513-514.
10. ს. სხირტლაძე, ილია ჭავჭავაძის ერთი უტანობი წერილისა და გამომწვევი მიზეზის გამო, მნათობი, 1959, №10, გვ. 176.
11. გაზეთი „დროება", 1885, №141.
12. ს. სხირტლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.
13. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, გვ. 252.
14. იქვე, გვ. 255.
15. ილიას სამრეკლო, თბ., 1987, გვ. 31.

თავი V. ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება არამართლმადიდებელი ქართველებისადმი

1. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, თბ., 1955, გვ. 15.
2. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, თბ., 1955, გვ. 81.
3. ვ. ტარტარაშვილი, მეფის რუსეთის საეკლესიო-საგანმანათლებლო პოლიტიკა აჭარაში და ქართველი საზოგადოებრიობის ბრძოლა მის წინააღმდეგ (1878-1917 წწ.), რელიგიის, ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, VI, თბ., 1980, გვ. 26.
4. გაზეთი „დროება", 1878, №146; შდრ. ს. მესხი, წერილები, I, თბ., 1963, გვ. 89.
5. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, გვ. 13-14.
6. იქვე, გვ. 31.
7. გაზეთი „მიწა", 1920, №10.
8. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, გვ. 30-31.
9. დაწვრილებით იხილეთ შ. ლომსაძის ნაშრომი „გვიანი შუა საუკუნეების ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები", თბ., 1979, გვ. 80-83.
10. ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძე და ქართველი კათოლიკეები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 1999, გვ. 191; შდრ. მისივე, ილია ჭავჭავაძე და ქართველი კათოლიკენი,

გაზეთი „საბა", 1997, №10.
11. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი, №479.
12. შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984, გვ. 196.
13. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, მიხეილ თამარაშვილის პირადი ფონდი, №1909.
14. ახალციხის სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე №161.
15. იქვე.
16. გაზ. „ივერია", 1902, №5; შდრ. „ცნობის ფურცელი", 1902, №2690.
17. მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბ., 1995, გვ. 330.
18. გაზეთი „ივერია", 1902, №254.
19. ე. ბუბულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

თავი VI. წმიდა ილია მართლის მკვლელობის ტრაგედია და ქართველი სამღვდელოება

1. „ჯვარი ვაზისა", 1987, №1, გვ. 74.
2. აკაკი გაწერელია, ლევ ტოლსტოის ერთი გამოუქვეყნებელი ბარათის გამო, ტ. I, თბ., 1962, გვ. 559; შდრ. „ჯვარი ვაზისა", 1987, №1, გვ. 77.
3. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, თბ., 1907, გვ. 25.
4. გაზეთი „ისარი", 1907, №194.
5. იქვე.
6. იქვე.
7. გაზეთი „ისარი", 1907, №197.
8. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 146.
9. იქვე, გვ. 147.
10. იქვე, გვ. 163.

11. იქვე, გვ. 171.
12. გაზეთი „ისარი", 1907, №197.
13. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 175.
14. იქვე, გვ. 243-244.
15. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. კარბელაშვილის პირადი ფონდი, №26, ფურცელი 96.
16. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", 1987, №1, გვ. 60.
17. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 252.
18. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი, №48.
19. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი, №48; შდრ. ე. ბუბულაშვილი, ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა და ქართველი სამღვდელოება, გაზეთი „კალმასობა", 1988, №9; ჩვენს პუბლიკაციას გამოეხმაურა პროფესორი აპოლონ ცანავა, „ილიას მოკვლის გამო", გაზეთი „თბილისი", 1988, №86.
20. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი, №89.
21. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი, №83.
22. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი, №87.
23. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 261.
24. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე №79, ფურცელი 16-19.
25. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი ფონდი, №88.
26. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე №105.
27. გაზეთი „ისარი", 1907, №199.

28. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 260.
29. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, მიხეილ თამარაშვილის პირადი ფონდი, №200.
30. დეკანოზი დავით ზაქარიას ძე გარსიაშვილი, გაზეთი „კალმასობა", 1997, №9.
31. ილიას სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 275.
32. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 3, საქმე №11; შდრ. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", 1917, №35, გვ. 2-3.
33. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე №79, ფურც. 19.
34. გაზეთი „ამირანი", 1908, №128.
35. გაზეთი „სახალხო გაზეთი", 1913, №888.
36. „ჯვარი ვაზისა", 1987, №1, გვ. 23.

შინაარსი

შესავალი..... 5

თავი I. ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის როლის შესახებ..... 10

თავი II. ილია ჭავჭავაძე ავტოკეფალიაწართმეულ საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში..... 20

თავი III. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები..... 31

თავი IV. ილია ჭავჭავაძე და ქართველი სამღვდელოება..... 42

თავი V. ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება არამართლმადიდებელი ქართველებისადმი..... 50

თავი VI. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ტრაგედია და ქართველი სამღვდელოება..... 60

დასკვნა..... 98

Ilia Chavchavadze and Problems of the Church of Georgia..... 102

გამოყენებული ლიტერატურა და შენიშვნები..... 104

ეროვნული
ბიბლიოთეკა